



K277.199  
K 3






ა. დ ა ბ ი ა შ ვ ი ძ ი



უ ე რ ს ა რ  
ვ ე რ ა ნ ი

1567



• 6 • 5 • 3 • 5 • 9 • 4 • 9 • 0 •

თბილისი

1972

902.7(c41)

902.7(47.922+663.2(47.922)(09)

Բ 413

7-6-3



Կ277.199  
3

ՑԵՆՏՐԱԼ

ՑԱՌԱ ՌԱԶԵՎ ՑԱՌԵ



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ Ազգային Գրադարան  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

საქართველო ვაზისა და ღვინის კლასიკური ქვეყანა, სადაც „ვენახის ჰეშმარიტი სამშობლო“ ეგულებათ, სადაც ვაზ-ყურძნის უთვალავი ჯიში გამოუყვანიათ, სადაც „ისეთ ჩინებულ ღვინოს სეამენ, როგორსაც არსაღ“, სადაც „ცოცხლია მე-ვენახობა-მელვინების ისეთივე არქაული წესები, როგორსაც ძველი ბერძნული და რომაული თხუ-ლებები აგვიწერენ“.

საქართველოს მევენახეობის ათასწლოვან ტრა-დიციებზე მოგვითხობს ეს ნარკვევები.

ჩვენ ვეწვევით ქართლსა და კახეთს, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმს, გურიასა და სამეგრელოს. და-ვიყლით აქაურ ზევარ-ვენახებს, მოხუც მევენახე-ებს მოვუსმენთ, გაზის მოვლა-მოშენების მამა-პა-ბურ წესებს გავეცნობით.

ამ მოვზაურობის დროს ქართლ-კახურ მარან-შიც შეიიხდავთ, ლია ცისქვეშ გამართულ იმე-რულ ჭურისთავზეც შევდგამთ ფეხს. აქ თავმოყ-რილ ნაირგვარ საღვინე ჭურჭელსა და ხელსაწყო-იარაღს მოვინახულებთ...

ჩვენ თვალწინ ჩაივლის სართვლო სამზადისის, ყურძნის კრეფისა და დაწურვის სურათები... გა-ცოცხლდება ღვინის დაყენების მრავალსაუკუნო-ვანი ხელოვნება.

ჩვენ გადავუურცლავთ ისტორიკოსთა და ენათ-  
მეცნიერთა, ვაწომუდნე-ამპელოგრაფთა თხზუ-  
ლებებს, ძველ ქართულ მატიანეებსა და მწერლო-  
ბის სხვა ძეგლებს, უცხოელ მოგზაურთა ჩანაწე-  
რებს.

გავყვებით საუკუნეთა სიღრმეში მევენახეთა  
თაობების ნაკვალევს, იმათ ნაკვალევს, ვისაც მი-  
წის წიაღში ბრინჯაოს სავაზე-სასხლავი დარჩენია,  
ვარძიის მიუგად კლდეებში გიგანტურ საწნახლე-  
ბი გამოუკვეთია, ეკლესია-ტაძრები ვაზ-ყურძნის  
ჩუქურთმებით შეუმკია.



## სადაც „ვენახის ჭეშმარიტი სამშობლო“ ეგულებათ

უძველესი ლურსმული წარწერები გვამცნობენ. რომ სამხრეთ შუამდინარეთის მიწა-წყალზე უკვე ხუთი ათასი წ'ლის წინათ მისდევდნენ მევენაზეობას. შუმერთა ქვეყნის ჰაერა არა სწყალობდა „სიცოცხლის ხეს“, მაგრამ ამ ქვეყნის ხელისუფალნი ძალას არ იშურებდნენ ვაზის კულტურის დასანერგად. ზელოვნურ ტერასებზე ვაშენებულ ვაზებს დასტრიალებდნენ შუმერი მევენაზეები, რათა მათ მბრძანებლებს სუფრაზე არც ღვინო ჰქონდოდათ და არც სანუკვარი ხილი.

პირამიდების ქვეყანაშიც უძველესი ხანებიდან იცნობდნენ ვაზის კულტურას. კურჭელი, რომელშიც ოდესდეც „სამეფო ვენახების“ ღვინო ესხა, საწნაზღლის გამომხატველი იეროგლიფი, სამარხში ჩაყოლებული ყურძნის ჩხა...

ეგვიპტეში ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულების მიერთ  
ზე განვითარებული მევენახეობის უტყუარი მოწმეა.

მართალია, მევენახეობის უტველს კვალს ეგვიპტისა და მესანიტების  
მიწა-წყალზე მივყავრთ, მათი მკვიდრი მაინც ვერ დაიჩინებლენ და დასავალი  
პიონერთა სახელს. ვაზის კულტურა მათ სხვებისაგან ათვისეს: არც შუამდინა-  
რეთში და არც ნილოსის ველზე არასოდა ველური ყურძენი.

მაში, სად უნდა ვექებოთ ვენახეობა და ღვინის თავდაპირველი სამშობლო?  
სადაც მაღალი სამიწათმოქმედო ცივილიზაციის ის უტველესი კერა, რომლის  
მკვიდრმა პრეისტორის გარეტრაზზე ტყეს ველური ყურძენა გამოსტაცა და  
ვენახების მოშენებას მიჰყო ხელი? ისტორია იდასტურებს, რომ მევენახეობა და  
მოუკიდებლად არ ჩასახულა ყველგან, სადაც სამისო პირობები იყო. ამის მა-  
გალითაც დასავლეთი ევროპა, სადაც ტყიური ყურძენი უხსოვარი დროიდან ხა-  
რობდა. ამავდა გვიწვევენ ძველი ელაზის მითები საბერძნეთში, „ბასუსის წვე-  
ნის“ თითქოსდა უპირველეს სამშობლოში. ბერძნებმა, ევროპული მევენახეობის  
პიონერებმა, ვაზის კულტურა მეზობელი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, სირი-  
იდან ან მცირე აზიიდან გადაიღეს.

მცირე აზიას მევენახეობის ისტორიაში უფრო მნიშვნელოვანი როლიც  
ენიჭება: ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მისი ტერიტორია მევენახეობის წარმო-  
შობის ერთ-ერთ უმთავრეს კერად იღიარეს მკვლევარებმა. მაგრამ მხოლოდ  
მცირე აზიას არა ხვდა წილად ასეთი პატივი. ის წინა აზიის ზოგ სხვა ქვეყანას-  
თან ერთად საქართველომაც გაიზიარა.

სწორედ რომ სავენახედ იყო დალოცვილი ეს ქვეყანა. რა უხვად ხარობდა  
იქ ველური ყურძენი. მქლავის სიმსხო, გიგანტური სიმაღლის კრიკინა ვაზი  
ერთანად მოსდებოდა ტყეებსა და ჭალებს, კოლხეთსა და კახეთში, დაბლო-  
ბებსა თუ მთის პირებში. საქართველოს ზოგ მხარეში თითქმის თავის ნებაზე  
მიშვებული ვაზები იმდენად უხვად ისხამდა ყურძენს, რომ მის დაკრეფას ერთ-  
კი აუდიოდნენ. ამ პატარა ქვეყნის ვენახები ყურძნის ჭიშების არნახული სიმ-  
რავლით გამოიჩინეოდა, ხოლო ღვინოები — უბალო ღირსებით. ბოტანიკო-  
სებს, კულტურის ისტორიკოსთ ისიც კარგად მოესხენებათ, თუ რა ლრმად მი-  
დის ქართული მევენახეობის ტრადიციები. ძველებრძნული წერილობითი ძეგ-  
ლები ხომ ანტიკურ კოლხეთს მეღვინეობის ქვეყნად წარმოგვიდგენენ. და განა-  
საქართველოში დაქვიდრებული ვაზის მოვლა-მოშენებისა და ღვინის დაყენე-  
ბის წესები განსაკუთრებული სიძველის დაღს არ ატარებს?

გასული საუკუნის გამოჩენილმა შვეიცარიილმა ბოტანიკოსმა დეკანოლმა  
მცირე აზიასთან ერთად საქართველოც მოაქცა იმ არეალში, სადაც ვაზის  
კულტურა თავდაპირველად ჩაისახა. ასევე, ცნობილ გერმანელ კულტრის:

ისტორიკოსს პენს „ვენახის ჰეშმარიტი სამშობლო“ ეგულებოდა „ქანეთისა და სამეგრელოს“ მიწა-წყალზე, იქ, სადაც „უღრან ტყეებში მკლავის სიმსიონ ვრცელ ვეება ხეთა კენწეროებამდე აცოცებულა და თვალს იზიდავს ზორბა მცვევიშინი“. სადაც „დღემდე ცოცხლობს ისეთივე ძველთაძველი წესები, მევენენების—უღრ ვინობისა, როგორსაც ბერძენთა და რომელთა თხზულებები გაცენობენ... იქ ხარობს ქარევისფერი, თაფლივით ტკბილი ყურძნის ჯიშები, ხოლო უკეთობრივი ბილესი კახური საფრავი ძძლევა იმდენად მუქი წითელი ფერის წვენს, რომ ქალები წერილებს წერენ“...

შვალევარები დღესაც იმავე აზრს ადგანან მევენენების თავდაპირველი სამშობლოს შესახებ. „სამხრეთ კავკასია“, საქართველო — ი, ის უმთავრესი კერა, სადაც პირველად მოაშინაურეს ველური ვაზი და ყურძნის წვენისაგან დვინონ დააყინეს.

კულტურულ-ისტორიული ხასიათის ზოგი ფაქტი კიდევ უფრო განამტკიცებს ამ შეხედულებას.

ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანგელო ლაპ-ზერტი თავის წიგნის, „სამეგრელოს აღწერის“ ფურცლებზე იმოწმებდა ნოეს შესახებ ბიბლიურ გადმოცემას, როგორც საქართველოში მიწათმოვმედების შორეული ტრადიციების დამადასტურებელ საბუთს. ამ გადმოცემის თანახმად შევენახობა თავდაპირველად ამიერკავკასიაში ჩაისახა. აქ, არარატის მთის სანახებში, გადმოვიდა თუ არ კიდობნიდან, „იწყო ნოე კაცმან საქმედ ჭვეულსა, და დაასხა ვენახი და სვა ღვინისაგან და დაითრო“, — გვაუწყებს ბიბლია, „შესაქმეთა წიგნი“.

ლეგენდები ვაჩისა და ღვინის წარმოშობის შესახებ არაერთ უძველეს ხალხს შეუქმნია. ამ ლეგენდებში ძევლი ხალხები მევენახობა-მეღვინეობის პირველამომაჩენთა დამსახურებას ჩემულობენ. ეგვაძტური თქმულების მიხედვით, მევენახობა პირველად პირამიდების ჭვეულაში ჩაისახა. ბერძნული გადმოცემების თანახმად, ვაზის, ღვინის სამშობლო საბერძნეთის რომელიმე მხარეა. ერთ-ერთო გადმოცემით ყურძენს პირველად ცხვარებ მიაგნო. კალედონიის მეფის ონეუსის მწყემსა შეამჩნია თურმე, რომ ერთი ცხვარი ტშირად ფარილან გარბოდა და ფარებშიც გვიან ბრუნდებოდა. მწყემსმა ცხვარს თვალთვალი დაუწყო და ნახა, რომ უცხო მცენარის ნაყოფს კორტნიდა. ერთხელ თვითონაც დაკრიფა უცნობი მცენარის ნაყოფი, დაწურა და წვენს წყაროს წყალი შეურია. სითხემ რადგენიმე ხანში გემო იცვალა და მისგან მათრობელა სამელი დადგა. მწყემსმა სასმელი მეფეს მიართვა ძლენად. მეფე ონეუსს იმდენად მოეწონა სამელი, რომ მას თავისი სახელი დაარქვა.


თუ სპარსულ გადმოცემას დავუკერებთ, ირანია ღვინის სამშობლო. ღვინის

გაჩენის გადმოცემა მეცე ჯემშიდის სახელს უკავშირებს. ყურძნის მოყვაოსულმა მეცემ კაზირს უბრძანა, ბლომად დაეწურათ ყურძნი და წვენი თავდასურულ ქვევრებში. შეენახათ, რომ ზამთარშიაც არ მოჰკლებოდა ირანის შეჩრდნებელი საყარაელი ხილის წვენი.

ერთხელ მსახურებმა მეფის სასმელის მოპარვა განიზრახეს. შეიპარნენ მარანში, სადაც ქვევრები ინახებოდა, მაგრამ მოღულარი ტკბილის ოქშივარმა ქურდები დახოცა. ამის შემდეგ „მომაკვდინებელ“ სასმელს შეშით აღარავინ ეკარებოდა. მხოლოდ სასომიხდილმა გულარამ, მეფის ასულმა, გამეტა თავი და „საწამლავს“ დაწერა, ვინაიდან მამამ მას მოქნურშე გათხოვების ნება არ დართო. მოგეხსენებათ, რაც ამას მოჰკლებოდა. მეფის ასული გვარიანად გამოიბრუება, გულს მწუხარება გადაეყარა და მხიარული სიმღერით მიაშურა მამას. როცა მეფემ მხიარულების მიზეზი შეიტყო, თვითონაც იგემა კადოს სური სასმელი. ღვინომ გაახალისა პირქშეშ მბრძნებელი და ასულს გათხოვების თანხმობა მისცა. თვითონ კი მას შემდეგ ღვინის მოტრფიალე გახდა..

✓ ასე რომ, მრავალრიცხვან ლეგენდათა შორის ერთადერთი ბიბლიური გადმოცემა, რომელიც მეენახეობის წარმოშობას ამიერკავკასიას უკავშირებს...

მაგრამ, ი, ამ ცოტა ხნის წინ უძეველეს სპარსულ ხელნაწერთა კრებულში კიდევ ერთი გადმოცემა აღმოჩნდა. „სპარსეთში ღვინის გაჩენის ამბავი“ შემდეგს შოვეითხრობს: ხორასნის მეფის შემირანის ვაჟმა, უბადლო მშეილდოსანმა, სიკვდილს გადააჩინა არწივი, რომელსაც ყელზე გველი შემოპარეოდა. თავის მხსნელს ფრინველმა მადლობის ნიშნად უცხო მცენარის თესლი მოუტანა. თესლიდან მეფის ბალში ხეები წამოიზარდა, ნაყოფიც დაისხა. შემოდგომაზე უცხო მცენარე ფერადი მტევნებით დაისუნდლა. მაგრამ მწიფე ნაყოფს შეშით პირი არავინ დააკარა. მტევნები დაწურეს დაწვენი თიხის ჭურჭელში ჩაასხეს, ცოტა ხანში წვენმა დუღილი დაიწყო, შემდეგ კი დაშოშმინდა და ლალისფერი მიიღო. რაღაც ნებით



მისი დამლევი არავინ აღმოჩნდა, სასმელი სიკვდილმის-ჭილ პატიმარს დაალევინეს. პატიმარმა პირველი თასი გა-მოსცალა და შეორებ მოითხოვა, მერე მესამეც მიაყოლა და ორმა ძილს მიეცა. როცა გონს მოვიდა, მეფეს მოახსე-ნა: სასმელის დალევის შემდევ ჩემს თვალებს განაჩენის აჩრდილი, გულს კი მწუხარება, მოსცილდა. ასე მომეჩევე-ნა, თითქოს ჩემსა და მეფეს შორის არავითარი განსხვავე-ბა არ იყო. მეფის სწავლულებმა აღიარეს ღვინის უპი-რატესობა სხვა სასმელებით შედარებით და მეფემაც წესად შემოიღ ღვინის სმა და ნადიმების გამართვა...

ამ გადმოცემაში უჩევეულო თითქოს არაფერია. ის იმასცე იმეორებს, რასაც სხვა სპარსული ლეგენდები: ღვინის სამშობლო ძეველი ირანია. მაგრამ მყვლევრის თვალმა ამ თქმულებაში უჩევეულო, თავისებური მაინც დაინახა:

ეს მეფე შემირანია, რომელსაც თქმულება ქალაქ შემირანის დაარსებასაც მიაწერს; „აქ ჩენს წინაშეა იმავე შამირამის სახელი, რომელიც ორგანულად უკაუშირდება ურარტულ სამყაროს, რომელსაც მიეწერება ურარტუს დედაქა-ლაქის ავება, დიდი არხების გაყვანა და სწრ. ამიტომაც ეს ლეგენდა შეიძლება თვედაპირეული სახით მევენახეობის სამშობლოდ სწორედ ძეველი ურარტუს მიწა-წყალს მიიჩნევდა“, — წერს ავადმიყოსა გოორგი მელიქიშვილი. ურარტუ კი სამხრეთ ამიერკავკასიის ძლიერი სამეფო იყო (ძვ. წ. IX-VII სს.), რომელსაც ნაწილობრივ თანმედროვე სომხეთის ტერიტორიაც ეკავა.

ახლა შეცნიერების განკარგულებაში უკავ ორი ძეველთაველი გადმოცემაა, რომელიც შეიცავს უაღრესად საგულისხმო მითითებას მიწათმოქმედების ამ უმაღლესი დარგის წარმოშობის შესახებ.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ კულტურულ მონაპოვარს ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, ხალხიდან ხალხში გადასულის დროს შისი აღმნიშვნელი თავ-დაპირეველი სახელწოდებაც თან მიიყვება. საუკუნეთა მანძილზე წარსული ვი-თარების კვალი წაიშლება, დარჩება მხოლოდ სახელი, როგორც წარსულის უტყუარი მოწმე. იქნებ ღვინის წარმოშობის საიდუმლოსაც ენობრიემა მონა-ცემებმა მოჰყვინოს შუქი? ეს კითხვა კარგა ხანია ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრში დგას. მით უმეტეს, რომ მათ წინაშე მართლაც საგულისხმო ფქტია: თვით განსხვავებული სისტემის ენებშიც კი ღვინო მსგავსი სახელებით აღი-წენება. არასპეციალისტისთვისაც აღვილი დასანახია ამ სიტყვათა მსგავსება. ინდოევროპულ ენებში: ბერძნული ოინოს, ლათინური ვინუმ, ხეთური ვი-




ა ნ ა, სომხური გინი, რუსული ვინო, გერმანული ვაინ, და ა. შ. სიმეტრული ენებში: არაბული ვაინუ 6, ებრაული იაინ, ასურულ-აბილონური ინუდა სხვა. ამ სახელწოდებათა საერთო წარმოშობა უდაო იყო. გასარკვევები მხოლოდ ის, თუ საიდან მომდინარეობდნენ ისინი. გამოჩენილი ფრანგი შეცვილები ა. მერი ინდოევროპისტთა საერთო აზრსაც გამოხატავდა, როცა „ლვინის“ სახელწოდება ინდოევროპულ ენებში ნასესხებად მიიჩნია. სემიტური ენების მიმართ ანალოგიურ დასკვნამდე მიეციდნენ სემიტოლოგებიც. იქნებ ლვინის აღმნიშვნელი სიტყვა ქართული წარმოშობისაა? — გამოთქვა მრავალმა მკვლევარმა ერთი და იგივე აზრი.

ასეთი მოსაზრება საფუძვლიანი აღმოჩნდა. ყადემიკოსი გიორგი წერეთელი ქართველური, სომხური და სემიტური ენების მონაცემთა შედარებითმა ანალიზმა მიიყვანა საგულისხმო დასკვნამდე: ქართველურ ენებში ლვინის აღმნიშვნელი სახელწოდების სომხურიდან, აგრეთვე სემიტური ენებიდან შესატანად კირი დახშული იყო, სამაგიეროდ გზა ბსნილი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ მთელ მსოფლიოში ქართულიდან გავრცელებულიყო „მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ლვინო“.

კვლევა-ძიება გრძელდება, ვენძხის თავდაპირველი სამშობლის საკითხი კვლავ მეცნიერთა ცხოველი ინტერესის საგანია. ახალ ფაქტებსაც მოუთმენლად ელის მეცნიერება.

უთუოდ, კულტურის ისტორიის ამ საიდუმლოს საბოლოოდ ფარდას ახდის ის ნივთიერი ნაშთები, რომელსაც არქეოლოგის ბარი მიწის წიაღში წააწყდება..





## ათასწლეულების სიღრმეში

ამ ოციოდე წლის წინათ შუაგულ კახეთში არქეოლოგებმა გათხრების დროს მოლუნული ბრინჯაოს დანები იძოვეს. მათ მაინცდამინც არ გაძნელებიათ პატარა ნამგლისებური იარაღის დანიშნულების გამოცნობა. ამგვარ რკინის დანას უკანასკნელ ხანებში ვაზის სასხლავად იყენებდა კახელი მევნახე. უანგმოდებულ ბრინჯაოს სასხლავთა ხნოვანება დაახლოებით სამი ათასი წლით განისაზღვრა.

სამი ათასი წელი ის ქრონოლოგიური მიზნაა, სადამდეც მივყავართ მევნახეთა თაობების უტყუარ ნაკვლევს. თუმცა ცოტა როდია საგრძნობლად უფრო ძეველი განათხარი მონაპოვარი, რომელიც ალბათ ლეინის კულტურას უკავშირდება. მიწის წიაღში აღმოჩენილია მრავალფეროვანი თიხის კურკელი, სამნახევარითი ათასი წლის წინ საქართველოს მკვიდრთა სუფრას რომ ამშვენებდა. ნუთუ ლეინი არ უგემია ამ მოხდენილ დოქტებსა და ხელადებსა, ჯამებსა და

ფილებს? თრიალეთის ყორღანულმა სამარხეა მავე ხანგბის ვერცხლისა და ოქროს ორი ულამაზეცი თასი შემოგვინახა. საფიქრებელია, რომ ვერცხლის თასზე გამოსახულია ლეინის კულტურან დაკავშირებული რიტუალური ნიღბოსან მამაკაცებს საკარტულზე მჯდომი ლეინის ლეთაების დადგინდებული აღუმართავთ მაღალი კათები.

უეჭელი მომავალი გახსრები საქართველოს ტერიტორიაზე მევენახეობის უფრო შორეულ კვალსაც გამოავლენს. სადღესოდ კი ჩენთვის ძელი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულია ის უცველესი ხანა, რომელიც მთელი ხმით ამერტყველა განათხარმა ნაშობმა.

დაწმუნებით შეიძლება თქვებას, რომ აღნიშნულ ხანაში მევენახეობა როგორც დასაცლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოშიც მეურნეობის დაწინაურებული დარგია. მრავალ ადგილს თვით ყურძნის წიპწებია ნაპოვნი. უძეველესი მათვანი დაახლოებით სამი ათასი წლისაა. უფლისიციხის სანახების მკვიდრს ხასხვერბლოზე პატარა დოქით ფშატის კურქებთან ერთად ყურძნის ხუნწყალიც მიუტანია. თუმცა ოცდათ საუკუნეს იძღვნად უცვლია წიპწებისთვის თავდაპირველი სახე, რომ გაურკვეველია, კულტურული ყურძნისაა თუ მისი ველური წინაპრისა. ხუთა-ექვსი საუკუნით უფრო იხალგაზრდა წიპწები შემოგვინახა კახეთისა და აფხაზეთის მიწა-წყალმა: ამჯერად ეჭვს არ იწვევს, რომ წიპწები კულტურული ყურძნის ნაშობია. კახეთში მოპოვებულ წიპწებში ყურძნის ორი სხვადასხვა ჭიში გამოირჩევა, აზხაზეთში ნაპოვნი ყურძნის წიპწები კი დასაცლეთ საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ყურძნის სახეობას — კაჭის ემსგავსება.

არქეოლოგის ბარმა ვენახის უმთავრესი იარაღიც — სასხლავიც — მრავალგან აღმოაჩინა. დროთა განმავლობაში სასხლავს არსებითი ცვლილება განუყდია: თუ პირველ ხანებში მევენახე ბრინჯაოს დანას ხმარობდა, მოგვიანებით მას უკვე რკინის სავაჭე აუღია ხელში.

კლდეში ნაკვეთი საწახლებია მიყვლეული უფლისციხეში. აქ ანტიკური ხანის „შიდაქალაქის“ გათხრების დროს არქეოლოგთა ყურადღება მიიქცა კლდეში გამოკვეთილმა რამდენიმე ვეებერთელა აუზმა. თითოეული მათვანი ვიწრო ღრაით იქვე საგრძნობლად უფრო პატარა აუზს უკავშირდება. დიდი აუზი ყურძნის საწნახელია, მირიე კი „სატკბილე“ — გამოწურული წვენის, ტებილის დასალექი. საწნახლებს ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანებს მიაკუთვნებენ. ეს მონაპოვარი არქეოლოგებს იმდროინდელი უფლისციხის სანახებში თვალუწვდენელი წვრების არსებობას აფიქრებინებს.

სუფრის ჭურჭელი ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მონაპოვარში განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოიჩევა.

ამ ხანიდან თიხის წვრილი ჭურჭლის გარდა მოზრდილმა ქვევრებმაც შრომწიგ როგორც სხვა უძველესი ქვეყნების მაგალითიდან ვიცით, ქვევრში ღვვნის გარდა მარცვლეულს ან ზეთს ინახავდნენ. უცილობელია დანიშნულება მშორმელი ერთი ქვევრისა, რომელიც იმერეთის ტერიტორიაზე (ვანში) იპოვეს (ძ. წ. III ს.). მის ფსკერზე დაჩრდინილ ნალექში დიდი რაოდენობით ღვვინის შეავა აღმოჩნდა: ქვევრში ოდესლაც ღვვინო მღვარი, სასმელი დროთა განმავლობაში დამშრალა და ჭურჭლის ფსკერზე დალექილა.

ამ ხანის კიდევ ერთი განათხარი საგანი დავკრჩა მოსახენებელი. ეს არის, სამარხში ჩატანებული ბრინჯაოს ქამარი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნით თარიღდება. ქამარზე სმის სცენაა გამოსახული. ორი მამაკაცი ერთმანეთს სასმისებს უჭახუნებს...

ჩვენს განკარგულებაშია აგრეთვე უძველესი წერილობითი ცნობები, რომლებიც ძველებრიზული მწერლობის ძველებმა შემოვინახა. ეს ცნობები ეხმაურება და თავისებურად ხორცს ასხამს არქეოლოგიის მონაცემებს.

ტრადიციული შეხედულების თანახმად, უკვე პომეროსის „ოდისეაში“, სამიათასი წლის წინანდელ პოემაში, იხსენიება კოლხური ღვინოები. პოემის ერთ-ერთი „ქება“ კუნძულ აიააზე ოდისეესის სტუმრობის ამბავს მოგვითხოვს. ოდისეესმა მთელი წელი დაპყო გრძელეული კირკეს კუნძულზე. ოორმეტი თვას-მანძილზე ყოველდღიურად საუკეთე-სო ხორცით და „საამო სასმელით“


უმასპინძლდებოდა კირკე ოდისეესსა და მის თანამგზავრებს. ვერცხლის თასებით „ლალისფერ ცერიალა ღვინოს“ შეიძლებოდნენ ბერძნები კირკეეს სასახლეში. თვით პომეროსი გვაქცნობს ოდისეესის პირმშვენიერი მასპინძლის ვინაობას: ჭადოქალი დაა მრასხანე აიეტისა. აიეტი კი ბერძნულ მწერლობაში მრავალგზის მოხსენებული კოლხთა მეცე ანუ წინამძღოლია. მყვლევარებს კოლხი ასულის სამკვიდრებელი კოლხების უგულის სხმივე ეგულებათ. ისიც საგულის-ხმია, რომ კირკეს კუნძულის სახელწოდება იმეორებს კოლხეთის უძველეს ბერძნულ სახელწოდებას -- აიას.



ანტიკური ხანის კოლხეთის მიწა-წყალზე მივყავართ აგრეთვე თბოლონითხ  
როლოსელის მითოლოგიურ პოემას „არგონავტიებს“ (ძვ. წ. III ს.), რომელიც  
კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცების უძველეს ბერძნულ მითს ემუსიური  
პოემაში აღწერილია კოლხთა მეფის აიეტის ზღაპრული სასახლურავის  
(დღვევანდველ ქუთაისში). აქ საწმისის მაძიებელმა არგონავტებმა იხილეს მრავა-  
ლი საოცრება და მათ შორის ვაზის ტალავერი, რომლის ქვეშ ღვინის „დაუშ-  
რეტელი შაღრევანი მოჩაუხჩებდა“. პოემაში კონკრეტული სინამდვილე  
ზღაპრულ-ფანტასტიკური საბურველით წარმოგვიდგება: აიეტის სასახლის აღ-  
ნიშნული საკვირველება კოლხეთში ღვინის სიუხვის თავისებური ანარეკლია.

საგულისხმო ცრიბას გვაწვდის მოსინიკების ღვინის შესახებ ქსენოფონტის  
სახელგანთქმული ისტორიული თხზულება „ანაბაზისი“. ქსენოფონტი თვით  
წინამძღოლობდა ბერძნთა ლაშქარს, რომელმაც დაახლოებით ოცდახუთი  
საუკუნის წინ სამხრეთ-ქართველური ტომის — მოსინიკების მიწა-წყალზე  
გაიარა. ჭანების უშუალო წინაპართა სოფლებში ბერძენ მეომრებს სხვა პრო-  
დუქტებთან ერთად დიდაღი რაოდენობით ღვინოც დახვდათ. ღვინის მოყვა-  
რულ ბერძნებს გაუსინჯავი არ დარჩათ სასმელი. ქსენოფონტის სიტყვით,  
ბერძენთ ის „უწყლოდ ძელვი და მწყლარტე ეჩვენათ, წყლით გაზიარებული  
კი — სურნელოვანი და საამო“. ეს თითქოსდა უცნაური შეფასება მოსინიკების  
ღვინისა გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ძველ საბერძნეთში წყალნა-  
რევი ღვინის სმა ჰქონდათ წესად...





## და იურ ქართლს შინა პური და ღვინო ფრიადი

იქ, სადაც მტკვარი და არავეი ერთმანეთს ერთვის, უძველესი დროიდან ხალხმრავალი სამოსახლო გაჩნდა. ახალი წელთაღრიცხვის ზღურბლზე მდინარეთა შესაყართნა მდიდარისა და მორქმულ ქალაქს ვხედავთ მეცე-ტრის-თავთა სასახლეებით, „სამოთხე“-ბაღებით, ბანინი სახლებით, ქუჩებითა და მოედნებით, რომელსაც ირგვლივ მიუვალი ზღუდე-გალვანი არტყია, ეს მცე-თაა, იბერიის დედაქალაქი, „სადა ღმერთი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. ამ ქალაქში მრავალგან ხარობს ვაზი, ხოლო მცხეთის სასოფლო უბნები, მოგაბრული „დაბანი და აგარანი“ თვალუწვდენელი ზერებითაა დაფარული. ათეულ კილომეტრებზე გადაჭიმული არხი წყალს აწვდის მცხეთის მამულებს.

ქნის ციხის ძირში დღესაც შეიძჩნევა ნასტაგისის არხის ნაკვალევი. მეც-ტრე საკუნის ქართული მატიანე მის გაყვანას ალექსანდრე მაკედონელს მია-წერს. შაკედონელმა „დასცა ვენახი და რუი გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუენი და სტაგითა რუისათა დაპრქვიან ადგილს მას ნასტაგისი“. ჩენ ვი-ცით, რომ მაკედონელი საქართველოში არ ყოფილა და თუ გვიანდელმა ისტო-რიულმა ტრადიციამ ნასტაგისის არხის გაყვანა მის სახელს მაინც დაუკავშირა,



ამით მხოლოდ არხის საპატიო სიღველე და განსაკუთრებული მნიშვნელობა  
გამოხატა.

✓ მცხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიურმა გათხრებმა მრავლად გაარღვევისა,  
მარნის ნაშთები, ქვევრებითურთ. ოფიც ქალაქის შიდაცხეს, „აომაზცინეს“,  
საკუთარი მარანი ჰქონდა.

ქვევრების მახლობლად კედლების კვალი არა ჩანდა. არ ვიცით, ქვევრებია  
ლია ცისქვეშ იყო ჩაყრილი, თუ ხის მარანში, რომლის კედლები ათაწლეულე-  
ბის მანძილზე გაცამდევრდა.

მცხეთაში გათხრილი მარნები სხვადასხვა სიღილისაა. ზოგ მარანში ათიოდე  
ქვევრი, ზოგში კი უფრო მეტი ემარხა. უზარმაზარი მარანია აღმოჩენილი დედა-  
ქალაქის იმ ნაწილში, სადაც იძერის ერისთავ-პიტიახშთა სამოსახლო უბანი  
ეგულებათ. აქ, სასახლის მახლობლად გამართულ მარანში სამოცამდე ქვევრი  
დაითვალის. ორი ათას წელს მათვის თითქმის არაფერი დაუყორი, ზოგ მათ-  
განს ქვის სარქველიც კი შერჩენია. ქვევრები ორგვარია. ზოგ ქვევრის სადა  
კედლები აქვს, ზოგს კი სიმტკიცისათვის გარედან თიხისვე „ქამრები“ აქვს  
შემოყოლებული.

ჭურჭლის ფსკერზე არც წიპჭა უპოვიათ და არც ღვინის ნალექი. მათი  
დანიშნულება მაინც გამოიცნეს: ქვევრების შიგნითა ზედაპირი ძალზე ხაიიანია.  
ეს კი ჭურჭლის ხანგრძლივი, საგულდაგულო ხეხვის შედეგია და, მაშასადამე,  
მისი საღვინედ გამოყენების უტყუარი ნიშანიც.

თოთო-ორილა ქოცოს გარდა ერისთავისეულ მარანში მოზრდილი ქვევრებია  
ემარხა, ბევრი მათგანი სიმაღლით ორ მეტრსაც კი აღწევს. გამოითვალის, რომ  
ოთხ-ხუთი ათას ღეკალიტრ ღვინოს იტევდა მცხეოლი პიტიახში მარანი. ძნე-  
ლად თუ დაჩიჩივლებდა მისი მფლობელი ვენახ-მამულის სიმტკიცეს!

განათხარი მასალის მიხედვით ჩვენ ცოცხლად წარმოგვიდგება ის დიდუ-  
შული ნაღიმები, მცხეთის ხელისუფალთა სრა-სასახლეებში რომ იმართებოდა. მდიდრულად ნაგებ სვეტებიან დარბაზებში იღხენდნენ ღდესღაც ქართლ-ს-  
„დიდი მეფეები“ თუ ერისთავ-პიტიახშები, ეზოსმოდღვრები და მთავარსარდლე-  
ბი... ვაზის ფოთლებისა და უურნის გამოსახულებანი ამკობდა მათ სანდგმო  
ჭურჭელს: ვერცხლის სურებს, თასებსა და პინაკებს, შემდეგში სამარხებში რომ  
ჩაუყოლებიათ ამ ღიღებულთათვის.

ღვინო უთუოდ ძველი იძერის მკვიდრთა საკულტო სასმელიც იყო. საგუ-  
ლისხმოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული თხზულების მიხედვით  
მცხეთის, წარმართობის ხინის დედაქალაქის, მთავარი კერპის – აღმაზის  
თაყვანისცემასა და დღესასწაულს რიტუალური პურიბა აგვირგვინებდა... „შემ-

დგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭადვინის სმითა“ — წერს ვახუშტი.

იბერიის და მისი დედაქალაქის ცხოვრებაში მევენახეობის განსაკუთრებული მნიშვნელობის თავისებური გამოძახილი უნდა გვქონდეს შემდგრად გამოცემაში, რომელიც ქართლში ქრისტიანობის გავრცელების მიზანით შეასრულა. ლეგენდის თანახმად, ქართლის პირველმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ ახალი რელიგიის სიმბოლო — ჯვარი „შექმნა ნახლევისაგან ვაშისა...“

ურბნისის მაგალითზეც კარგად მოჩანს, რომ ძველთაგან საქართველოს ქალაქების ეკონომიური კეთილდღეობა მეტწილად მევენახეობაზე იყო დამყარებული.

შიდა ქართლის ამ ძველთაძეველმა ქალაქმა მერჩე საუკუნეში შეწყვიტა არ-სებობა. შეიძას ოცდათოიან წლებში არაბული ცხენის ფლოქვებმა გადათელა ურბნისი, მოვაინგბით პატარა სოფელი გაჩნდა ნაქალაქარზე. სულ ახლანას კი ამ სოფელსაც ეწვიენ არქეოლოგები ბარითა და წერაქვით და ნაქალაქარის თხრას შეუდგნენ. თანდათან გამოჩნდა მიწის ქვეშ დამარხული ქალაქის ნაშთები. ზღუდე-გალავანი, აგურით ნაშენი ბანიანი სახლები და ზედ მიბმული მარნები, სულ მცირე, ათი ქვეერი მაინც ემარხა თითოეულ მარანში.

მატიანის ცნობით ურბნისის მკვიდრნი თვით მცხეთაში ეწეოდნენ ვაჭრობას. ურბნისიდან „ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა“ მიემართებოდნენ „ქალაქად მცხეთად, რომელ იყო საჯდომელი დიდთა მეფეთაი, ვაჭრობად...“ ალბათ ურბნელთა მიერ მცხეთაში გატანილ სხვადასხვა საქონელსა თუ ჭირნახულში მათი შეურნეობის უმთავრესი პროდუქტი — ღვინოც ერია...



2. a. ლეკიაშვილი



## არა მხოლოდ სასარებლად გულისა

ქართული მწერლობის უძველესი ძეგლის თანახმად, რომელშიც ქართლის მევიღრთა ცხოვრებაა ოღებეჭდილი, ღვინო ყოველდღიური სასმელია, მათი სუფრის, პურიბის განუყრელი მონაწილეა.

„შუშანიკის მარტვილობა“ — თხევთმეტი საუკუნის წინ დაწერილ თხზულებას — საფუძვლად დაედო ვარსკენ ქართლის პიტიახშის საოჯახო დრამა.

პიტიახში, რომელიც სპარსეთის ერთგულების გზას დაადგა, ქრისტიანობა უარყო და ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო. მმას გამო ვარსკენ განუდგა მეუღლე შუშანიკი. მამათა სჯულის მოღალატებ აწევა დედოფალი, ბოლოს დილევში გამოამწყვდია, სადაც ის გარდაიცვალა კიდეც. „შუშანიკის მარტვილობის“ აკტორი იაკობ ცურტაველი დედოფლის ხუცესია და უშუალო მონაწილე თხზულებაში აღწერილი აჩვისა.

...ნადიმი ალბათ იშვიათი არ იყო ვარსკენ პიტიახშის სასახლეში, მაგრამ დედოფლის ხუცესმა ის პატარა ვაზშამი აგვიწერა, რომელიც ასე სახელისწერო აღმოჩნდა შუშანიკისათვის. სუფრას პიტიახში, მისი ძმა ჭოჭიკი და მათი ცოლები უსხენენ მხოლოდ. საჭმელთან ერთად სუფრას ღვინოც არ აკლდა. დედოფალმა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის უჭმელი იყო, პირი მაინც არაფრეს დაკარა, „გემო არახაისა იხილა“. მაშინ ჭოჭიკის ცოლმა მას ღვინით საცეს ჭიქა გაუწოდა და სთხოვა ეს მაინც დალიერ.

„ე კი ხმა აიმაღლა დედოფალმა: — „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუცა მიმათა და ღედათა ერთად ეჭიმა პური!“ — წყრომით შეუძახა მან მაზლის ცოლს, გამოწვდილ ჭიქას ხელი უკრა, „პირსა შეალეჭა და ღვინო იგი დაითხია“. მარტივი მიუხედა ნათქვამის აზრს და გამდვინვარებულმა ხელი აღმართა მარა-პაპათა წესის ერთგულ დამცველზე.

მომხდარი ამბილან რამდენიმე დღის შემდეგ ხუცესმა ფარულად შეაღწია  
საკანში გამომწყვდეულ დელოფალთან და საჭმელი მიუტანა. მაგრამ ჰუსანი მა-  
რომელსაც „კბილნ შთამუსერილ“ ჰქონდა, ვერ შეძლო „მიღებადი ქაშადი ასე-  
„მაშინ მოვილე მცირედ ღვინო და პური, დავალბე და მცირედ გემო იხი-  
ლა“, — მოგვითხრობს ცურტაველი...



პალესტინაში,  
საბერძნეთში,  
საქართველოში



დახლოებით თხუმეტი საუკუნის წინ პალესტინაში, ბეთლემის მახლობლად, ქართული მონასტერი აივი. მისი ობიშენებელია გამოჩენილი ფილოსოფოსი და საეკლესიო მოღვაწე პეტრე ივერი. უძველეს წერილობით ქელვებში, რომლებიც პეტრე ივერის ცხოვრებას გადმოვცემენ, ბეთლემის მონასტრის სამეურნეო საქმიანობაც მოჩანს: ქართული სავანის ბერები მევენახეობას მისღვენ და მონასტრის მარანში ღვინის გამოულეველ მარაგზე ზრუნავენ. არქეოლოგიური გათხრების დროს, არცთუ დიდი ხნის წინ, აწ ნანგრევებად ქცელი სავანის ტერიტორიაზე სხვა სამეურნეო ნაგებობებთან ერთად ძველი მონასტრისეული მარნის ნაშთებიც ობიშენდა.

მეექვსე საუკუნიდან საქართველოშიც გაიშალა სამონასტრო მშენებლობა. კახეთისა თუ მესხეთის უშენ აღგილებზე ეკლესიები, ბერ-მონაზონთა პალატები, სამეურნეო ნაგებობანი გაჩნდა; ოდესლაც უდაბური, ვერანი მიწა-წყალი ბალ-ვენახებით დაიფარა. რა შეუფერებელი იყო ზოგჯერ მონასტერთა საქვიდრებელი ვენახისათვის — ხრისკი, მწირი. მძიმე შრომის ფასად, „ჭირითა და ურვით“ შენდებოდა მამული. პირველ ხანებში მონასტრის კრებული საკუთარია.

შრომით ირჩენდა თავს. გარეჯისა თუ კლარჯეთის მონასტერთა ბერები ღამლა-  
მობით თარგმნილ თუ ორგინალურ სალეთისმეტყველო წიგნებს გადასწრებული  
აცქანდნენ და კინძავდნენ, დღისით კი სამონასტრო ბალ-ვენახებში დარიღდნენ  
ოფლო... 

ფეოდალურ საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად ქვეყნაში  
ჯილდვურ მრავლდება სავანე-მონასტრები. მათი ეკონომიკურ შეძლებაც მა-  
ტულობს. ქართველი მეფები, თუ სხვანი ძლიერნი ამა ქვეყნისანი მფარველო-  
ბენ „წმინდა სახლებს“, სოფლებს, აგარაკებს, ყმა-მამულს სწირავენ. თანდათა-  
ნობით მონასტრის მსნეილ მემამულედ იქცა. მის ცხოვრებაშიც შესაფერდ  
ცვლილება მოხდა. წავიდა ის დრო, როცა „მონასტრის ძმობა“ – საკუთარი  
ოფლითა და ჯაფით ირჩენდა თავს. ახლა უკვე ვეღარსად დაინახავთ მონასტ-  
რის ვენახებში მოფუსიფუსე ბერებს...

საქართველოს გარეთაც არ შეწყვეტილა ქართულ სავანეთა შენება. მეთერ-  
ომეტე საუკუნეში საბერძნეთში, ათონის მთაზე ბიზანტიურ მონასტრებს ქარ-  
თული ლავრაც შეემატა. ათონის ლავრა, ქართული კულტურის ეს ღიღებული  
ქერა, ინტენსიურ სამეურნეო ცხოვრებასაც ეწიევა. აქ შევენახეობასაც მისდე-  
ვენ. ლავრაში ურყევია ბერ-მონაზონთა ფიზიკური შრომის ძველი წესი: საქას  
ათონელ ბერს ვენახის მოვლა-პატრიონობაც აყისრია: ვაზების „ასარვა“, ახვე-  
ვა-„აჭოჭვა“, „ვენახის მოსთვლა“...

ღვინო გამოულეველია ქართულ სავანე-მონასტერთა მარნებში: თვით ყმათა  
შრომით მოწეული, მონასტრისეული სოფელ-მამულებიდან შემოსული, თუ  
მეუე-ღიღებულთ მიერ შემოწირული... მონასტრებიდან ქალაქებში ბაზარზე  
გაავჭვათ ღიღძალი ღვინო. აქ გამართულ ქულაბაქებში იყიდება ქებული სამო-  
ნასტრო ღვინოები. ღვინის შემოსავალი უზრუნველყოფს მონასტრის კრებულს  
საზრდელით, სამოსელით, „ეკლესიის სამეულით“, „სახმარი ნივთით“, ახალი  
მამულებით.

ღვინო თვით მონასტერშიც მოიხმარება, უღვინოდ ვერ ჩაიღლის სა-  
მონასტრო ღვინესაწაული თუ შემოწირევლის მოსახსენებლად გამართული ათა-  
პი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იხარჯება სასმელი კარგაღებული ათა-  
პის დროს, როცა მონასტერში გარედან მისული მრავალიც ცხოვანი გლახაკი  
და უპოვარნიც მიუსხდებიან ტრაპეზის.

ბერების საზრდოც ხომ უმავრესად პური და ღვინოა. ოღონდ ჭამა-სმაში  
ზომიერება მართებდათ მონაზენებს. ზოგ მონასტერში მაგარი ღვინის სმა სუ-  
ლაც აკრძალული იყო. ღვინისთვის მონასტრის მეღვინეს გარევეული რაოდე-  
ნობით წყალი უნდა გაერია. ამაზე თვით მონასტრის წინამდღარი ზრუნავდა.  
ექვთიმე მთაწმინდელს ნაბრძანები ჰქონია ათონის ლავრის მემარნისათვის:

„შეკეთო სუბუქი ღვინო იყოს, ყოლა (სრულიად) ნუ ურთავ წყალსაც და უცხოთა  
საშუალი იყოს, ყერისაებრ ურთე, და უკეთო უმჯობესი-რე იყოს, ვითარცსარ  
იყოს“, ისე გაურიე წყალი და ბერებს მიართვით...

მემორიალურის სასტურიად გმობდა ეკლესია. მონასტრის მდგრადი მემორიალური  
სუმურიობისათვის“ მოკვეთა და მონასტრიდან განდევნა ელოდათ.

დროდადრო საყელეით მოლვაწები „მემორიალურის“ წინააღმდეგ  
სავანგებო ქადაგებითაც გამოდიოდნენ მონასტრის კრებულისა და მრევლის  
წინაშე. ჩვენიმდე ამგვარი ქადაგების რამდენიმე ტექსტმა მოაღწია. ერთ-ერთი  
მათგანი მეთერთმეტე საუკუნის ეპისკოპოსს ითანე ბოლნელს ეკუთვნის, ხო-  
ლო მეორე — სულხან-საბა რბელიანს. როგორც ბოლნელის ქადაგება, ისე  
რბელიანის „სწავლა სიმორიალისათვის“ ორატორული ხელოვნების შესანიშ-  
ნავი ნიმუშია.

საუკუნეთა მანძილზე ფეოდალური საქართველოს მძიმე ხვედრი მონასტერ-  
მაც გაიზიარა. შემოსეული მტერი ციხეებთან, ქალაქებთან, სოფლებთან ერთად  
არც მონასტრებს ინდობდა: მათ მამულებს აოხრებდა, ქონებას იტაცებდა, მი-  
წასთან ასწორებდა მონასტრის შენობებს. არა ერთი სავანე სულაც აღიგავა  
მიწისაგან. თუმცა ზოგი მაინც გადაურჩა ქამთა სიავეს...

გიორგი მესამის დროს დაიწყო და თამარის მეფობაში „აღესრულა“ ჭავა-  
ხეთის მიუვალ კლდეში ქალაქ-მონასტრის ვარძიის შენება. ათეული წლების  
მანძილზე „კლდისაგან გამოიკვეთა თვით პატიოსანი ეკლესია, მონაზონთა სამ-  
ყოფი სენაკები“, სამეურნეო სათავსოები.

თამარ მეფებმ მონასტერს „მრავალი და დიდროვანნი“ სოფლები შეს-  
წირა, უზრუნველყო ტრაპეზის შემოსავლით და მონასტერიც ცხოვრებას შეუდ-  
გა. ოთხი საუკუნე იარსება „ქვაბათა ქალაქმა“ — მშვიდობის დროს კულტუ-  
რულ-სამეურნეო ცხოვრების მნიშვნელოვანმა კრიმ, ომიანობის დროს — საი-  
მედო თავშესაფარმა. მეთექვსმეტე საუკუნის დმტკიცეს მესხეთში თურქ-ისმალ-  
თა გაბატონებამ ბოლო მოუღო ქალაქ-მონასტრებს. სამუდამოდ დადუმდა მისი  
სამრეკლო, დაიცალა საბერო სენაკები, გაპარტაზდა ოდესლიც აყავებული  
არაძიის სანახები...

თვით ვარძიის მონასტერსაც ატყვია წარსული ძნელებელობის კვალი. იქ ბევ-  
რი რამ ჟამთა სიავით შემუსტრულა და დაქცეულა... და მინც მნახველს დღესაც  
ათცებს მეთორმეტე საუკუნის, თამარის ხანის „ძველი დიდების“ ნაშთი. დადი-  
ხაძ ვარძიის უთვალავ სენაკებში, მიჰყვები საიდუმლო დარჩებსა თუ გვირა-  
ბებს, სართულიდან სართულში გადადიხარ... „ქვაბთა ქალაქს“ კი დასასრული  
არ უჩანს.

ვარძიის მისადგომებთან მრავლადა ქვაში გამოკვეთილი გიგანტური სა-

წნახლები, ზოგ მათგანს იქვე ჭავის დასაწერები საქაფავიც აქვს ვამირთული. მეტ  
ვარძიაშიც გვხვდება საწნახელ-საქაფავი. ქვაბთა ქალაქში ქვევრ-მარნების გა-  
საოცარი სიმრავლეა. ვარძიაში სულ ოცდასუთი მარანი და ას ოთხშეულით  
ქვევრი დაითვლება. ორცუ იშვიათად, ვარძიის სენაკებს საკუთარი მარნები ქუ-  
მის, ქალაქის ერთ უბანში კი მარნები ერთმანეთშეა მიგრილი. მათი უმრავლე-  
სობა დაქცეულია. აქ დალეშილი ქვევრების ძირებიდა დარჩენილია. ზოგმა მა-  
რანმა კი თავდაპირველი სახით მოაღწია: ქვევრებს ქვის სარქველებიც კი შერ-  
ჩენიათ, — თუნდაც ანლავე აავსეთ ღვინით.

მთელ მესხეთში განთქმულ ქალაქ-მონასტერს, ცხადია, შემოწირული ღვი-  
ნო არ მოაკლდებოდა. სამონასტრო ვენახებიდანაც ცოტა ღვინოს არ მოიწევ-  
და ვარძია. ახლა ხრიოკია ვარძიის თვალუწვდენელი ფერდობები, თავის დროხე  
კი აქ ხელოვნურ ტერასებზე ზერები იყო გადაჭიმული. კლდეში შორიდან გამო-  
ყვანილი საჩუავი ახრი აწვდიდა ვაზებს წყალს. მონასტრის კუთვნილი მასლო-  
ბელი „კლდის სოფლებიც“ ვენახებში იყო ჩაფლული. იქ დღესაც შეგხვდებათ  
თითო-ორილა ნახევრად გატყიურებული, ძევლთაძველი ვაზი, ჯერაც რომ  
მსხმიარეა.





## ჭამა-ხმანი მათნი ფერნი

ქველი ქართული მწერლობის არაერთი ძეგლი საქართველოს ვაზისა და ღვინის კლასიკურ ქვეყნად წარმოგვიდგენს. მათ რიცხვს ეკუთვნის შოთა რუს-თაველის „კეფხისტყაოსანი“, რომელშიც აღმოსავლური ამბის საფარველით ჩვა საუკუნის წინანდელი ქართული სინამდვილე აისახა.

პოემის გმირთა თავგადასაგალი აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში მიგვიყენას. ყოველ მათგანს — არაბეთსა და ინდოეთს, ზღვათა სამეფოსა და მულდაზან-ზარს რუსთაველი ღვინის ქვეყნად გვაცნობს. პოემაში ჩევულებრივია გამოთქმა „სმა-ჭამა“, „სასმელ-საჭმელი“ — ღვინო განუყრელი მონაწილეა პურობისა.

მცნებას — „სმა-ჭამა დიდად შესარგი, ღება რა სავარგულია“ ერთვულად მისდევენ სვებედნიერი მეფეები, საასპეტი თუ ვაზირნი. პოემაში მხატვერულად ხორცი ისხამს ძეგლ მატიანეთა ფურცლებზე აღბეჭდილი მეცე-დიდებულთა გართობა-ღროსტარების დამახასიათებელი სურათები:

„მთსრინის მხეცნი და ნაღირნი ისარმან ჩემგან სრეულშან,  
მეტმე ვიბროთ მოედანს, მინდორით შემოქმედულმან.  
შევიდი, შევქმნი ნადიმი, ნიადაგ ლხინთა ჩევულმან...“

ხშირად იშლება სანადიმო სუფრა სრა-სასახლეებში. ლხინი იმართება, მრავალი გზაურობიდან შინ დაბრუნებაა, სტუმრის მოსვლა თუ მტერზე გამაჯუფებული ზეიმით.

შორეული ლაშქრობის დროსაც კი მეფე-სპანი პურობის ღროს „ლინოსა სმიღეს არ ღოსა“.

„ევფებისტუაოსანში“ უხვად გაბნეულ ლხინის აღწერებში ნადიმობის, სუფრა რის წესების თავისებურებები წარმოჩნდება. სუფრას აშშენებს ნაირგვარი სასმისი: ღოსტაქებან, „იავუნდის ჭამები“, „ლალისა ჭიქები“ და უარჩნი. ლხინში მონადიმერი სასმისებს იცვლიან:

„რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი ღოსტაქეანი,  
კვლა შესეს და კვლა ავსნეს სხვა ფარჩნი და სხვა ჭიქანი“.

რუსთველისეული ნადიმი მხიარული თავშეკცევაა სიმღერა-მუსიკის თანხლებით. ნადიმად მსხდომთა ყურთასმენას ატებობს მუტრიბ-მგოსანთა სიმღერა, „ხმა წინწილათა“, „ჩანანას და ჩანგის ულერა“. და თვით

„მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილაზინებდა“.

პოემის გმირთა ამბავი ბელნიერად მთავრდება. და აი, ქორწილს ფხდიან აეთანდილი და თინათინი:

„დაიწყეს მორთმა პურისა ლაშქართა მის მესაკეისა,  
ჟროსა და ცხარი დაელული არს უმრავლესი ხევისა...“

აგუნდისა ჭამები იყვის, ლალისა ჭიქები,  
კელა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხლის უტხო-უტხო სიქები...  
მუტრიბინი მოდგეს ყოველგრით, ისმოდის ხმა წინწილისა,  
შეკრით ძეს გორი იქნოსა და ბაღიშისა თლილისა,  
მსელთათვის წყარო ღვინისა ასგან დის, მსგავსი წილისა,  
ბინით იისკრამდის სხა იყო, გარდახდა ჭამი დილისა...  
რას ვაგრძელებდე? გარდახდეს ღლენ ერთისა თვისანი,  
თმაშობდიან, არ იყნეს ყოლა გაურანი სმისანი“...

ისტორიული წყაროებიდან ვიცით, რომ ქართველ მეფეთა საქორწინო ლხინი რამდენიმე თვესაც კი გაგრძელებულა. იქნებ მისი სათაყვანებელი შეფის, თამარის ქორწილი ედგა თვალწინ რუსთაველს, როცა თავისი პოემის ფურცლებზე თინათინისა და ავთანდილის საქორწინო ზეიმს აღწერდა...



## ვაზი მაინც ხარობდა

„ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ერთმანეთს ცვლის ძნელბეღობის სურათები: საქართველოს მიწა-წყალზე დამპყრობელი დათარეშობს ცეცხლითა და მახვილით. მოისრა, იავარ იქნა ციხე-ბურჯები, ქალაქები, სოფლები, ტაძარ-მონასტრები...

ვენას რაღა ბედი ეწია? ამის შესახებ თვით დამპყრობელის მეისტორიე მოგვითხრობს.

მეთოთმეტე საუკუნის დამლევს შუა აზიიდან ამიერკავკასიისაკენ დაიძრა თათარ-თურქმანების ურიცხვი ლაშქარი თემურ-ლენგის წინამძღოლობით. რის-ხვად დაატყდა თემურ-ლენგი ქართლ-კახეთს.

როგორც თემურ-ლენგის ისტორიისი იუწყება, შემოსეულმა მტერმა ქართლ-კახეთის ზერებიც არ დაინდო, ბრძანება თვით შთავარსარდალს გაუცია. კარგად სცოდნია თემურ-ლენგს, რა ქვეყანასთანაც ჰერონდა საქმე, რომ ქართველების „ბელნიერება კამკამა ღვინის გარეშე შეუძლებელი იყო“... ლაშქარს „უზრუნველის“ განკარგულება მოუკიდა.

„გამარჯვებით აღფრთვოანებული მეომრები ბალ-ვენახებს ინაწილებდნენ, შემდეგ მთის ფერდობებს შეესოდნენ და ძირიანად თხრიდნენ აქ ღვინის მიღების იმედით გაშენებულ ვაზებს.“

ჩვიდმეტი წლის მანძილზე მრავალგზის დალაშქრა თემურ-ლენგმა აღმო-სავლეთ საქართველო, მოაოხრა და მიწასთან გაასწორა, აყვავებული ქვეყნიდან მხოლოდ ნაქალაქრები, ნასოფლარ-ნავენახრები, დაქცეული ციხეები დატოვა...

თვით მიუვალი ბირთვისის ციხეც ვერ გადაურჩა დამპყრობლის რისხებს. კარგა ხანს მედგრად იღვნენ მისა მცველები, უხვი საზრდელით უზრუნველყო-ფილი. ქართველ მეომრებს საქონელიც მრავლად ჰყავდათ, არც სასმელი წყა-

ლი აკლდათ და ორც ღვინო. თათარ-თურქმანებს ხშირად ესმოდათ ციცილან პონადიმეთა მღერა. თანდათან დაკარგეს სიფხიზლე ციხის მიუვალობით გვლდა-ჯერებულმა ქართველებმა. ბნელი ლამით თემურ-ლენგის მეომრებმა „ჭრილულეს“ ციხეში შეაღწიეს, მოულონელად თავს წაადგნენ მძინარე ქართველულების უთანასწორო ბრძოლაში ამოხოცეს...

ორი საუკუნის შემდეგ კახეთი, რომელსაც უკვე მოეშუშებინა. თემურ-ლენგის მიერ მიყენებული ჭრილობები, მასზე არანაკლებ ულმობელმა მტერ-მა მოაოხრა. ამჯერად აღმოსავლეთ საქართველოს ირანის ძლევამოსილი მპყრობელის შაპ-აბასის ურიცხვი ლაშქარი შემოესრა. კვლავ მოისრა „მდიდარი და მორქმული“ კახეთი. და ვენახებსაც იგივე ბედი ეწია. შაპ-აბასის ბრძანებით ყიზილბაშებმა საგულდაგულოდ გაყალეს ვაზი... ვერაგმა შაპმა ორც ეს იქმარა, ქახეთიდან აპყარა და ირანში გადასახლო ას ორმოცდათი ათასი მკვიდრი. ირან-ში მრავალგან გაჩნდა „ქართული უბანი“, ხოლო ფერეიდანის პირქუშ ზეგანზე თხუთმეტიოდე კახურმა სოფლებმა დაიდო ბინა. თითქმის სამი საუკუნის შემდეგ ფერეიდნელ ქართველებს ეწვია ძვირუსას სტუმარი, მათი „ძველი“, გურჯისტანიდნ. რა ცოტა რამ სცოდნლათ ფერეიდნელ ქართველებს დედა-სამზიბლოს შესახებ. კახეთის მკვიდრთა შთამომავალი იმასაც კი კითხულობდნენ — „ვაზი თუ ხარობსო საქართველში?“

ხარობდა ვაზი „გურჯისტანში“, ყოველთვის ხარობდა. მას შემდეგაც, რაც თემურ-ლენგის მეომრებმა აჩეხეს, ყიზილბაშებმა ერთიანად გაყალეს...

ბალახ მოერეოდა გაბარტახებულ სოფლებსა და ნაქალაქერებს, თვალი შეეჩეოდა ციხეთა ნაგრევებს, მაგრამ ვენას კი ვერ დასთმობდა ქართველი ქაცი. როგორც კი ქვეყანას სული, მოთქმა დასცალდებოდა, გლეხი უმალ სავაზეს მოჰკიდებდა ხელს და დიდებული ალაზნის ველი თუ ცივ-გომბორის მთათა კალთები კვლავ ვენახებით იფარებოდა.





## თუ გადავჭურცლავთ „ქართლის ცხოვრებას“

„და იყო ქართლს შინა პური და ღვინო ფრიადი“, — ასე ახასიათებს შე-შატიანე ქართლის ეკონომიურ კეთილდღეობას მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებისათვის. არა მხოლოდ ქართლი, ქვეყნის სხვა მხარეებიც კარგა ხანია სამეურნეო აღმავლობის გზას დასდგომობნენ. მაგრამ აი, მომთაბარე თურქ-სელჩუქები მოეძალნენ საქართველოს. მათი გამუდმებული შემოსევები გაპარტახებით ემუქრებოდა აყვავებულ ქვეყანას. ქართლ-კახეთის ნაყოფიერ ველებს, ყანებსა და ბალ-ვენახებს საზამთრო სადგომებად, საზაფხულო საძოვრებად გადაწყვეტა ელოდა. დავით აღმაშენებლის მტკიცე ხელმა ალაგმა საქართველოდან საშიში მტერი.

თამარ მეფემ ძლევამოსილი სახელმწიფო დაუტოვა ლაშა-გიორგის. „შევიღობა იყო სამეფოსა შინა მისსა“ და ჰაბუკი მეფე „შექცეულ იყო სმასა და ჭამასა“. მაგრამ ღიღხანს არ დასცალდა ლაშა-გიორგის „ნადიმობათა შინა განცხრომა“. საქართველოს საზოვრებთან თათარ-მონღოლთა მზვერავი რაზმები გამოჩნდნენ. მათთან შეტაკებაში მიღებულმა „წყლულებამ“ იმსხვერპლ მეფე. ამის მერე საქართველოს ზეღიწედ დატყვდა მტრის რისხვა. წლების მანძილზე ხვარაზმელები აოხებდნენ ქვეყანას. შემდეგ კი ჯერი მონღოლებზე მიდგა. მეცმეტე საუკუნის შუა ხანებისათვის მთელი ქართლ-კახეთი მათ ეპყრათ. და მალე დაპყრობილი ქვეყნის აღწერას შეუდგნენ: „იწყეს აღწერად კაცოაგან და პირუტყვთამდე, ყანით ვენახამდე, წალკოტით ბოსტნამდე“. თანდა-

თან გაპარტაკდა ქართლ-კახეთი, აქ „არა ციო თესვა და არცა შენება ყოვლად“; ოდესაც ყანით, ვენახით დაფარულ აღვილებს ახლა მომთაბარეთა საჭრელი მოსდებოდა.

იმერეთი კი, რომელიც მონღოლთა ბატონობას გადაურჩა, მდიდარი იყო და წელმაგარი. იმერეთის მეფე დავით ნარინი გულუხვად დახვდა ყაჯის წინა-აღმდეგ ამხედრებულ მონღოლთა უფლისტულს თეგუდარს და მის ლაშქარს. მასპინძელმა მათ დიდი წვეულება გაუმართა. მეფემ თეგუდრის ლაშქრის „გა-მოსაზრდელად“ თან გაატანა დიდაბი სასმელ-საჭმელი: „ხოლო ღვინის ამარი (წომა) არა იყო, მოდეს ურმითა და ჭირითა და აღმოსახმილეს“.

მეცამეტე საუკუნის მიწურულისთვის ქვეყნამ შედარებით სული მოითქვა, „ესრეთ დამშვიდნა ქვეყანა“, და კვლავინდებურად დადგა „უხვება პურისა და ღვინისა“. ქართლის მეფეს, დიმიტრი მეორეს (თავდადებულს) უკვე შესწევს ძალა „ქვეყანანი, ეკლესიანი, მონასტერი“ აშენოს, მონასტერებს „სოფელ-ენი და ზუარინი“ შესწიროს, მონაზონთ „საზრდელი და სამოსელი“ განუჩინოს.

ვფურცლავთ მატანებს. ჩვენ თვალშინ ცოცხლდება დამახასიათებელი ეპიზოდები მევენას ხალხის წარსულიდან, იმ ხალხის წარსულიდან, რომლის ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი იყო ღვინო.

ძლიერნა ამა ქვეყნისანი, როგორც არა ერთი ეპიზოდი გვარწმუნებს, თვით-ცნებელობის დროს არ იყვნენ ჩვეული „უღვინობით შეჭირვებას“.

მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს საომრად აცეკილმა კახეთის მეფემ, ავგორგიმ ქართლში ერთ-ერთი შემოსევის დროს ბაგრატ მუხრანბატონის ციხეს ალყა შემოარტყა. თუმცა კარგა ხანს ვერაფერს გახდა, ალყაზე ხელს მაინც. არ იღებდა — საცაა, ციხეში მყოფ სამელ-საჭმელი გამოელევათო. სამი თვის თავზე მეფემ მუხრანბატონს დაცინებულ მოუნდომა. მას ციხეში შეუგზავნა „ღვინონ ერთითა საღვინითა“ და თან შეუთვალა, „მეფის ძეს, ამდენ ხანს ციხეში მომწყვდეულს უღვინობით შეჭირვება არ შეგშვენის და ეს ღვინო მაინც: მიირთვიო“.

ციხიდან „ღვინის წილ“ გამოგზავნილმა ახალთახალმა ორაგულმა მიახვედრა კახთა ბატონი ციხეში „საზრდელის სიმრავლეს“.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მეფები და დიდებულნი — „ნადირობით და ნადიმობით“ იქცევენ თავს. თუმცა ყოველთვის დროს სატარებლად არ იმართება მათ სასახლებში წვეულება. აქ ზოგჯერ მახესაც უგებენ საშიშ მეტოქებს...

მემატიანის მონათხრობი ქართლი სუფრის ზოგ თავისებურებასაც წარმოაჩენს. როგორც ჩანს, დიდგვაროვანთა ოჯახებში სუფრაზე შამაგუცების გარდა მერიქიფე-მეღვინებად ყმაშვილებს, ყრმათაც იმსახურებლნენ. ამგვარი

ჩევეულების წყალობით თურმე ხიფათს გადარჩა კახელი უფლისწული, აცვით — გის ძე ლევანი. მას შემდეგ, რაც ავგიორგი შინაომებს გადაჰყვა, ქართლის მე-  
ფე უპატრონობ დარჩენილ კახეთს შეესია და მცირეწლოვანი უფლისწულის  
ხელში ჩაგდებას შეეცადა. მაგრამ ავგიორგის სახლოუბუცესმა შრაზწისა, უფ-  
ლისწული თავის სასახლეში შეიფარა და თვალის ასახვევად „მეღვინედ იმსა-  
ხურებდა ყრმასა მას“. მეფის ძის მაძებრებმა სახლოუბუცესის ოჯახში მყოფი  
უცხო ქმაწვილი მართლაც მის მეღვინედ შიიჩნიეს და იქაურობას გაეცალნენ.

თუ მემატიანეს დავუჭერებთ, ერთ შემთხვევეში მეღვინის მოვალეობა მშვე-  
ნიერი სქესის წარმომადგენელსაც უკისრია. როცა გიორგი სააგძემ ქართლის  
მეფესთან, ლუარსაბთან დამოყვრება განიზრახა, მან შემდეგი ხერხი იხმარა:  
მეფე თავის სასახლეში ისტუმრა და ნადიმობის დროს მას თავისი და დაუყენა  
მეღვინედ. კაბუკ მეფეს „მოეწონა დიდად კეპლუცი და მშვენიერი“ ასული და  
შეორე დღესვე „სთხოვა ცოლად და თვისი მოურავსა“...

„ქართლის ცხოვრება“ იცნობს „ეკლესიათა და მონასტერთა მაშენებელ“,  
„მტერთა მძლეველ“ არაერთ მეფეს. მაგრამ მათ გარდა მატიანე ისეთ მეფე-  
ებსაც მოიხსენიებს, რომელთაც „დროსტარებას“, „დღითი-დღე სმასა და გან-  
ცხრომას“ ლამის ანაცვალეს სახელმწიფოს საქმეები. „ღვინისმოცვარე“, „წადი-  
მობათა შინა მოსწრაფე“ მეფეებმა მემატიანის გულისწყრომა დაიმსახურეს.





## არს ესე ქვეყანა ვენახოვანი

მეთვრამეტე საუკუნის ქართული მწიგნობრობის ბრწყინვალე ძეგლში, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის კალაში ეკუთვნის, საქართველოს გეოგრაფიულ თავისებურებებთან ერთად მის მკვიდრთა ცხოვრების სხვადასხვა მხარეებიც აისახა. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის მევენახობა-მელვინეობაზე.

„სამეფო საქართველოსა“ არის „ნაყოფიერებითა და ჰავით შემკული“. აქ ხარობს „ყოველი თესლ-მარცვალნი“, „მტილოვანნი“, „ხილნი მრავალნი“. მეტადრე ყურძენი „ნაყოფიერებს“. „ვენახოვანი“, „ვენახ-ხილიანი“ მითითებულია, ჩვეულებრივ, თხზულებაში ამა თუ იმ მხარის, ხეობის, აღვილის დაბასია-თების ღროს.

თუმცა ამ მთიან ქვეყანაში ვაზის გავრცელების ფარგლები ბუნებრივად განსაზღვრულია. ვახუშტისათვის მთისა და ბარის განმასხვავებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი სწორედ ვაზის გავრცელებაა: ქვეყნის ის ნაწილი, სადაც ვენახს აშენებენ — ბარია, ხოლო იქ, სადაც ვაზი ვეღარ ხარობს — მთა. თუმცა უვენახო მთისათვისაც სულ უცხო არ არის მეღვინეობა. თრიალეთში, სადაც „ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაი არს... ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩა-ასხმენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი და გემოინი“. ასევეა მთიულეთში: ბარიდან მოტანილ ტკბილს „შთაასხმენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი“.

ვახუშტის აღუნიშნავი არ რჩება დასავლეთ საქართველოს მევენახობის

ერთი დამახსიათებელი თავისებურება. „ალწერის“ თანახმად, ლიხთომერეთში ორგვარი ვენახია დამკვიდრებული: „ვენახი დაბლარი“ და „ვენახი მაღლარი, ანუ, ბაბილონ“. ვახუშტი ნაწილობრივ მათი გავრცელების ფარგლებში ცეცხლუწყებს. თუ გურიასა და სამეგრელოში მხოლოდ „ხეთა ზედა ასული“ ფიქრისამართვად“, იმერეთში ბაბილოს გვერდით ხშირია აგრძელებული „ვენახი დაბლარი.“

ქვეყნის ცალკეულ მხარეთა თავისებურების აღნიშვნის დროს ვახუშტის არც ადგილობრივი ლვინობების დახასიათება ავწყდება. წიგნში ზოგჯერ მეღვინეობით განთქმული პუნქტებიც არის მითითებული.

კახეთის ლვინო, ვახუშტის დახასიათებით, არის „ქეთილი და კარგი“. კონდოლის ლვინო — „ჭარჩინებული“, ახმეტისა და მანავის — „ქეთილი“.

ქართლში ლვინო „თხელია და მომეაო“, თუმცა სასმელიდ „საამო“, „მშვენი“. ზოგან აქაც იცის „ქეთილი“ ლვინო, ხოლო ატენის ლვინო „უმეტესია ყოველთა საქართველოს ლვინოთა“. მაგრამ არა არ არის ლვინო „უმეტესია ყოველთა საქართველოს ლვინოთა“.


იმერეთში იცის „ქეთილი“, ზოგან „მსუბუქი, მხე-გემოიანი“, ზოგან კი „თხელი“ ლვინო.

გურიის ლვინო არის „ქეთილი, მსუბუქი, და შემრგო, გემოიან-სუნიანი“.

სამეგრელოს (ოდიშის) ლვინო — „მსუბუქია და კარგი“. აქ საუკეთესოა ლვინო ზარდაგი: — „ფრისად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა“.

წიგნის პირველი თავი, სადაც დახასიათებულია „ზნენ და ხევულებანი საქართველოსანი“, მოკლედ სუფრის წესებსაც გვაცნობს. ქართველი ქველთაგან „ტაბლასა ზედა სკამდიან, და ნადიმბდიან, სკამთა ზედა სხდიან... სმიდიან ლვინოსა“. იქვე ნათქვამია, „ნადიმბდნენ მეფესა თანა და ურთიერთ თანა, და ამისათვის უწყოდნენ მოყსობა, ნათესაობა... ლხინთა-ლხინობა, და ჭირთა-ჭირობა.“

სამეფო ნადიმბების გმართვა, როგორც ამავე თავში მოტანილი ცნობები მოწმობს, მეფის კარის მრავალრიცხვოვან მოხელეთა ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა. „კარსა ზედა ხელისუფალთა“ შორისაა „მეღვინეოუცუცესი“, რომელსაც ექვემდებარებან „მეწდენი და მესასმისენი მეფისა, და ლვინისა მნენი“. მაგრამ არა არის ლვინო „სულხან-საბა არბელიანის ქართული ენის ლექსიკონში, რომელიც იმავე საუკუნეშია შედგენილი, დიდი ადგილი



დაეთმო მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებულ ტერმინოგრამა.  
ქართული ენის ამ უძვირფასეს საუნჯეში შეტანილი სახელებისუფლებულება  
ათეულობით ყურძნის კიშს, ვაზისა და მისი ნაყოფის ანატომიას, ცენტრული გადა  
უვაზის ბალის — სახეებს, ვაზის საყრდენებს...


„სიტყვის კონაში“ მითითებულია, მოკლედ, მაგრამ ზუსტად განმარტ-  
ებული ვენაბის სამუშაოები, მევენაბის ხელსაწყო-იარალი...


აქვეა წარმოდგენილი მარნისა და ჭურისთავის ინვენტარი: ყურძნის დასაწუ-  
რი, ღვინის დასაღულებელი, გადასალები, ასაწყავი, შორ მანძილზე გადასატანი  
ჰურჭელ-ხელსაწყო...

ლექსიკონი გვაცნობს სხვადასხვა სახის ღვინოებს, ღვინოს დაავადებებს,  
ტკბილის პროდუქტებს...

ათეულობით სპილენძის, თიხის, ხის, ძვირფასი ლითონის საღვინე სასმის  
ჩამოთვლის „სიტყვის კონა“.

ლექსიკონში არაერთი მწიგნობრული სიტყვაა შესული, უმთავრესად  
კი მასში ცოცხალი სამეტყველო ენა აისახა, და ეს ენა, როგორც ლექსიკონის  
გაცნობა გვაჩვენებს, მევენახე ხალხის ენაცაა.





## სტუმართმოევარე ქვეყანაში

XX საუკუნის შუა ხანებში ვენეციელმა დიპლომატმა ბარბარომ შავი-ზელისპირეთი შემოიარა. მმ მოგზაურობის დროს ის დასავლეთ საქართველო-საცემშია და თავის დღიურში ქართველებისაც დაუთმო ადგილი.

„ეს ქვეყანა, —იუწყება ბარბარო, — შევენიერია რა ნაყოფიერი. ბლობას მოღის პური, ლვინონ და სხვადასხვა ნაყოფი. ვაზი უმეტესად ხევბზეა აშვებული...“ ქართველების გარევნობით აღტაცებული მოგზაური მათი სტუმართმოყვარეობითაც მოიხიბლა. ბარბარო მოკლედ აგვიწერს ნაღიმს, რომელიც ერთერთ დიდებულს მისთვის გაუმართავს. სადილზე შეექცეოლნენ ღომსა და ტახის მწვადს: „გარეული ღორის ხორცი შამფურზე ისე ცვრიანად იყო შემწვევი, რომ, როცა სტუმარი, სულ სისხლი სდიდა“. სუფრას სასმელი არ აკლდა: „ლვინო უხვად იყო და განუწყვეტლად გვაწვდილნენ მერიქიფენი.“

ოცდაათიოდე წლის შემდეგ ირანს მიმავალ ვენეციის ელჩს ამბროზიო ქონტარინის საქართველოზე მოუხდა გავლა. როგორც ქონტარინის დღიური მოწმობს, მასაც გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს ქართველებმა. რამდენჯერმე ნაღმშეც მიუწვევიათ. ქუთაისში ყოფნისას ქონტარინი თვით მეფე ბაგრატმა მიაწერა საღილად. მოგზაური სამელებიდან ასახელებს ქათმის ხორცას და ცვრიან („ცუდად შემწვარ“) მწვადს. სუფრას განსაკუთრებით უხვადა სასმელი. „ქართველებში, — შენიშნავს უცხოელი, — ღვინის სიუხვე საუკეთესო მასპინძლობად მიაჩნიათ.“

მეჩვიდმეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში საქართველოს რომის პაპის მიერ წარმოგზავნილი კათოლიკე მისიონერები ესტუმრნენ. ქრისტეფორე კასტელიმ და არქანგელონ ლამბერტიმ ოცი წელი დაპყვეს ლითიმერეთში. სამისიონერო მოღვაწეობა უცხო ქვეყნის შესწავლასაც იგაღუბდა ბერებს და რათაც დრო უქმდ არ დაუკარგავთ: კასტელიმ, რომელიც რიგიანი მხატვარიც იყო,

მრავალრიცხოვანი ჩანახატები, ხოლო ლამპერტიმ ვრცელი თხზულება — „სამეგრელოს აღწერა“ დაგვიტოვა. რალს არ ეხედავთ კასტელის ალბომში. მხატვრის კალამს აღუბეჭდავს დასავლეთ საქართველოს ქალაქი და სოფლები, ციხეებმარტია ტაძრები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მეფე-დიდებულთა ცხრილები, აქვეა სხვადასხვა გართობა-სანახაობანი; სამეურნეო ცხოვრების დამახასითებელი სურათები: ხენა-თესვა, მოსავლის აღება, რთველი და ყურძნის წურეა. ეს ჟანანსკნელი კასტელის ქუთაისის მახლობლად ჩაუხატავს. ისლოთ გადახურული ფარლალალა მარნის ქვეშ მოჩანს ვეება საწნახელი, შიგ ორი მწურავი ჩამდგარა. მძლალ საწნახელს კიბე აქვს მიღებული. გოლორქამოკიდებული მამაკაცები კიბეზე ადიან და ისე ცლიან საწნახელში ყურძნენს. ალბომში ხშირად გვხვდება ნაღიმობის, „დროსტარების“ სურათები. ერთ-ერთი მათგანის სახელწოდება — „ღვინის ზემითი აღმოსავლეთში“. სურათზე წარწერილია აგრესუელი მონადიმეთა სიმღერის სიტყვები: „ვსვათ და გჭმოთ, საიქიოს, ვინ იცის, რა გველის“. „აღმოსავლელთა“ შორის, ერთ-ერთი წარწერის თანახმად, „მამაკაცი ყველა მსმელია. ბევრის დალევა დიდ ვაჟკაცობად მიაჩნიათ. ამის შემდეგ არც ენა ერევათ, არც გონების ძარგავნი და არც ფეხი ეშლებათ“. ერთ-ერთ ნახატს იმერეთის მეფის — ალექსანდრე მესამის „მეფეური ნაღმის“ აღუბეჭდავს. წარწერა იუწყება: „ზოგჯერ მეფე თავისი ხელით პირთან მომიტანდ ჭიქაში ჩატოვებულ ღვინოს, რაც აქ ერთობ დიდ პატივისცემად იოვლება“. სურათებში მონადიმეთა შორის მშვენიერი სქესის წარმომადგენლებას ც ვხედავთ. „გრძნობას აყოლილი მამაკაცები ქალების წინაშე მუხლმოძრევილი შეექცევიან სასმელს და ზოგჯერ ჭიქის ნაცვლად მათი ფეხსაცმლით სვამენ ღვინოს...“ თვით ქალები, მხატვრის სიტყვით, „სმაში ძალზე თავშეკავებული არიან. მრავალ ლხის დავსწრებივარ და არასოდეს მინახავს მსმელი ქალი...“

არქანგელო ლამპერტი „სამეგრელოს აღწერის“ დასაწყისში ვაუზყებს: „კოლხიდა მდიდარია ღვინით“. ამ წიგნში, რომელიც მეგრელთა მაულ ცხოვრებას გადაგვიშლის, შემდეგაც არაერთხელ მოისხენიება ღვინო. თხზულების ერთი თავი ოდიშის მკვიდრთა უშაბა-სმისა და წევულების“ წეს ის ვეუწობს.

მეგრული სურის სხვადასხვა ტრადიციებთან ერთად „სმის“ ჩვეულებებიც დაწვრილებით არის აღწერილი. „მეგრელებს სადლეგრძელოების სმაც აქვთ ჩვეულებად, — ვკითხულობთ წიგნში,— მაგრამ მათი სადლეგრძელოები ჩვენსას არა ჰგავს. ვისაც უნდა სხვას დაულიოს სადლეგრძელო, ასე უნდა მოიქცეს: მერიქიფე რომ მიართმევს თასით ღვინოს, სადლეგრძელოს მსმელი უბრძანებს მერი-



ქიფეს, ეგ თასი ამა და ამ კაცს მიართვიო. ეს კაცი გამოართმევს მერიქიფეს თასს, ჯერ თავს მდაბლად დაუკრავს იმას, ვინც საღლეგრძელებლად მოწყობილი თღნავ მიაკარებს ტუჩებს და ცოტას მოსვამს: მერე ხელით მოსწმეულად მოწყობილი ადგილს, სადაც პირი მიაკარა, მეორედ დაუკრავს თავს და დაუბრუნებს თასს. საღლეგრძელოს მსმელი რომ მიიღებს ამ თასს, მთლიად გამოსცლის და იმავე წესით გადასცემს იმას, ვისი საღლეგრძელოც დალია და ამით მოიხდის თავის მოვალეობას.“ მხოლოდ ამგვარად საღლეგრძელოების შესმით არ ამოიწურება მეგრული ნადიმი. „ნადიმის დასაწყისიდან კარგა ხნის შემდეგ სმაში თავისებური შეჯიბრი იმართება. მასპანძელი ამოირჩევს რამდენიმე მსმელს, რომელთაც მის წინაშე უნდა სვან ღვინო. ერთად დგება ექვს-ექვსი ან რვა-რვა მსმელი. მათი რიცხვი დამკიდებულია სტუმართა რაოდენობაზე. თუ პირველი წყება მსმელებისა იქნება რვა, ამ რვას უნდა ჰყავდეს თავისი რვა მოპირდაპირე. მეორე წყება რვას — კიდევ მესამე რვა და ასე შემდეგ, ვიდრე არ შესრულდება დანიშნული რიცხვი.“

„მასპინძლის წინ გაშლილ სუფრაზე, — განაგრძობს ლამბერტი, — მერიქიფე აწყობს შვილ თუ რვა ვერცხლის თასს, თავში სულ პატარას, მერე უფრო მოზრდილს და ბოლოში სულ დიდს.“

„მერიქიფე პირველ წყებას გაუესებს თასებს და მიართმევს ჯერ პატარას და მერე უფრო და უფრო მოზრდილს. რამდენიმე მომდერალი იწყებს „შეწყობილ სიმღერას“. ამ სიმღერის დროს მსმელები ცლიან თასებს და მერიქიფე ისევ უვესებს. სხას რომ დაამთავრებენ, თასებს დადგამენ და თითოეული მათგანი იძოვის თავის მოპირდაპირეს, რომელიც მის ადგილის უნდა დადგეს და დალიოს. ერთმანეთს მუხლმოდრეებილნი მიესალმებიან და სიყვარულით ეამბორებან. ამის შემდეგ პირველი წყება დასხდება და მათი მოადგილები დაწყებენ სმას. ესენი შემდეგ იმავე წესით გამოიწვევენ სასმელად მესამე წყებას. მესამენი — მეორეს და ასე ბოლომდე, ვიდრე ყველა შერჩეული მსმელი არ შეასრულებს თავის მოვალეობას. ამის შემდეგ ხელახლა დაიწყებს სმას პირველი წყება და მას იმავე წესით მმპყვებან სხვები. ასე მოხდება საჭყერ ან ხუფჯრ იმისდა მიხედვით, თუ რამდენია სტუმარი და რამდენად დიდებულია წვეულება.“

მეგრული წვეულება დროსტარებასთან ერთად სმაში თავისებური შეჯიბრია. „ვინც ბევრს დალევს, ისე რომ გონებას არ დაპარგავს, ის ღირსეულ კაცად მიაჩნიათ.“

ლამბერტი აქვე მოვითხრობს განთქმული მსმელის შესახებ, რომელსაც ამ მხრივ მისი საშობლოს გარეთაც უსახელებია თვით. „ჩემს დროს იქ იყო ერთი დიდებული რომელიც ისე გამოჩენილი იყო სმაში, რომ მისი სახელი მთელ

რანში გავრცელდა. მისი ქება თვით ირანის ხელმწიფის, შაპ-სეფის ყურადღების შეიღია. ხელმწიფემ კაცი გამოუგზავნა დაღიანს და შეიმუთვალა, გავრცელებულ სამთავროში ასეთი გამოჩენილი მსმელი გყოლია და გთხოვ გამომდგრავოთ— დაღიანმა დაუყოვნებლივ გაატანა იგი შაპის ახალგაზრდა საცოლეს, რომელიც ირანში მიერგვზაგრებოდა. ირანში რომ ჩავიდნენ, შაშმა ერთოორად გაიხარა, რაღაც ჩამოუვიდა ახალგაზრდა ცოლიც და შესანიშნავი მსმელიც. ქორწილის გამო მრავალი წვეულება გაიმართა, სადაც მუდამ პატივებდნენ შედან ჭიათურებს. ეს იყო მსმელის სახელი და გვარი. მან იქც ისახელა თავი და ყველას სჯობნიდა სამშობი. ამის გამო მუდამ ჭილდობს იღებდა: ხან ოქროთი გაწყობილ უნავირს, ხან ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემკულ თოფს და ხან სხვა საჩუქრას. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით შაპმა მოინდოება მასთან შებმა და იქამდე სუა, ვიდრე არ დასწულდა და სული არ გააუტევა. ჭილაძე კი, — დასძენს ლამბერტი, — საჩუქრებით გამდიდრებული, სამშობლოში დაბრუნდა.

მეჩივიდმეტე საუკუნეში კიდევ ერთმა უცხოელმა ინახულა საქართველო და ევროპაში გაიტანა მელეინების გასაოცარი ქვეყნის ამბავი. 1672 წელს ირანი-საკუნ მიმავალმა ფრანგმა ვაჭარმა და იუველირმა შარდენმა საქართველოშიც გაიარა. ექვსი თვის მანძილზე ის საქართველოს მხარეებს გაეცნ და ქაური ღვინოებიც იგემა. შარდენმა, რომელსაც სხვა ქვეყნებიც ჭიონდა მოვლილი, ქართული ღვინო საჟყვეთესოდ აღიარა. „დაბეჭითებით შემიძლია ვთქვა, რომ არსად არ მოიპოვება იმისთვის ქვეყნა, სადაც ამდენსა და ასეთ შესანიშნავ ღვინოს სევამდნენ“, წერდა თავის მემუარებში შარდენი საქართველოში. ევე მის მიერ აღწერილი ქორწილი იმაშიც დაარწმუნებს მკიონეელს, თუ რა დიღებული ნადიმობა იცოდნენ საქართველოში.

ვახტანგ მეფებ ფრანგი ვაჭარი თბილისში ჩამოსულისთანავე მიიპატიუა საღილად თავის სასახლეში, მტკვარს რომ გადაცყურებდა. ერთი კვირის შემდეგ მეფებ უცხოელი ძმისწულის ქორწილშიც მიიწვია. სასახლის ტერასაზე სეფა იყო გამართული. მრავლისმნახველი ვაჭარი გააოცა მღიღრულად მორთულმა სეფამ. მის ჭერს ოქრო-ვერცხლით ნაკერი ფარჩა, ხავერდი და ჭრელი ტილო ამკობდა, ხოლო იატაზე შვერიერი ხალიჩები დაეფინათ. სეფა განათებული იყო ორმოცი ოქროსა და ვერცხლის დიდი მაშალით.

დაიწყო საჭმლის მორთმევა. სამნაირ პურს ვერცხლის ლანგრებით მოპყვა ხორცი. შემდეგ ერთმანეთის მოყოლებით შემოაქვთ სამითავი საჭმელი: „ყველა ჭურის ფლავი, ბრინჯი, ხორცთა ერთად მოხარშული; კუპატები, ყაურმა, მშვენიერი მომჟავოდ მოხრავული ხორცი... მესამე თავი შემწვარია“.

რუველის დაკვირვებულ თვალს სუფრაზე არც სასმისა სიმრავლე დარჩა

შეუმჩნეველი: აქ იყო ას ოცამდე ოქრო-ვერცხლის, ძვირფასი თვალებით მოვაწეოდ—  
გილი სასმისი: ბადიები, თასები, ყანწები, კულები, აზარფეშები.

სმა თანდათან გაძლიერდა. „ჯერ უველანი ცოტას სკამლნენ, მნიშვნელოვანი  
სამე თავი საჭმელი რომ შემოვიდა, მაშინ შეხურდნენ და საკვირვლად დაიწყება  
სმა“. ჩამოურიგებს მეფესთან ახლოს მსხდომ რვა მამაკაცს, ოთხს მარგვნოვ და  
ოთხს მარცხნივ ღვინით საფეხ ერთნაირი თასი. რვანივე ფეხშე წამოდგნენ,  
„მემარჯვენებმა“ ერთად დალიეს და გადასძახეს „ალავერდი“ „მემარცხენე-  
ბძს“. მემარცხენებმა უპასუხეს „იაბშიოლ“ (თურქ.—„ყარგად იყავი“) და დაცა-  
ლეს თასები. შემდევ უველანი ისევ დასხდნენ. იმავე თასებით ღვინო მართვება  
მათ შემდგომ მსხდომთ და ასე ჩაბეგნენ ბოლომდე. ახალი სადღეგრძელო  
უფრო დიდი თასებით შეისვა. ჩვეულება მოითხოვს, უფროსების სადღეგრძელო  
დაილიოს ბოლოს და უფრო მოზრდილი თასებით „ამგვარად სვეს ჩემ იქ ყოფ-  
ნის დროს,— განაგრძობს შარდენი,— და როგორც გავიგე, გათენებამდე ესვათ  
ასე“.

შარდენს ქართლის მეფესთან პირველი წვეულების დროსაც თვალში ეცა  
სუფრაზე მონადიმეთა „წესიერება და დიდი თავდაჭრა“, ამ მხრივ საქორწილო



ჟეიმსაც მოხიბლა უცხოელი. — „სუფრაზე საში ევროპელი ვიყდოთ და ჩემთ  
უფრო მეტს ვხმაურობდით, ვიდრე ყველა ის ას ორმოცდათი კაცი, რომელიც  
სეფაში იყო“, — წერს შარდენი.

თბილისში ყოფნის ღროს შარდენს ყურადღებას არ აკლეშდა ჭურულებულები  
დენდერმე მან მოსაკითხიც გაუგზავნა უცხოელ სტუმარს. საჭმელთან ერთად  
შეფის მარნიდან ღვინოსაც ღვებულობდა ღროდაღრო შარდენი.

„იმ ღვინზე უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია“, — ირწმუნება მოგ-  
ზაური.

შარდენის მემუარების თანახმად, ღვინო საქართველოს დედაქალაქში გა-  
ხველებული გატრობის საგანია. მოგზაურს ქართული ღვინის ექსპორტის შესა-  
ხებ საყურადღებო ცნობასაც უნდა ვუმაღლოდეთ. ამ ცნობის თანახმად, მის  
ღროს თბილისიდან ღიდი რაოდენობით გაძონდათ ღვინო სომხეთში, მიღიასა  
და სპარსეთში.

ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშვნას: „თუ  
ასეთი ვითარება ყოფილა შაპ-აბაზისაგან განადგურებულსა და გაღატავებულ  
საქართველოში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდნი მნიშვნელობა ექნებოდა  
ღვინის ექსპორტის საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმ ღროს, როდესაც იგი  
პოლიტიკურადაც ძლიერი იყო და კულტურულადც.“


მომღევნო საუკუნეებშიც არაერთი სტუმარი ეჭვია ვაზისა და ღვინის კლა-  
სიკურ ქვეყანას. საქართველოს ბუნების სილამაზით, ისტორიული ძეგლების სი-  
დიადით, ქართველების გარენობითა თუ სტუმართმოყვარეობით მოხიბლული  
უცხოელები ქებას არ აკლებდნენ აქაურ ღვინოებასაც. კახურმა ღვინომ აღტაცე-  
ბაში მოიყვანა ალექსანდრე პუშკინი. პოეტმა „მშვენიერი კახური“ მოტლ მსოფ-  
ლიოში საუკეთესოდ აღიარებულ ფრანგულ (ბურგუნდიულ) ღვინოებს დაუყენა  
გვერდით. კახურ ღვინოს ქებით ისხენებს გრიბოედოვაც.

ალექსანდრე პავლევაძის სიძეს დაიახაც პეტრი შესაძლებლობა, კარგად  
გასცნობდობა წინანდლის ღვინოებს. ფრანგი სწავლული დიუბუა დე მონპერე,  
რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დასავლოთ საქართველო  
შემოიარა, აქაური ღვინოებითაც მოიხიბლა: „აქ ისევე შშვენიერია ღვინო,  
როგორც პომერინის ღროს“, — ვეითხულობთ მის „მოგზაურობაში“. ქართული  
ღვინის მოტრფიალეთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ გამოჩენილი მწერალი  
ალექსანდრე დიუმაც. „სამი მუშკეტერის“ ავტორს საქართველოში ყოფნის  
ღროს არა ერთხელ უგემნია „საუცხოო კახური“, იმერეთისა და გურიის ღვი-  
ნოები. დიუმას საამაყოდ დარჩა, რომ თბილისში მის პატივსაცემად გამართულ  
ერთ წვეულებაზე ღვინის სმაში მასპინძლებს აჯობა.

მათ, ვისაც წლობით მოუზდა საქართველოში ცხოვრება, შეუმნეველი

არ დარჩათ, რომ ლვინის ამ კლასიკურ ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე შძიმე ფა  
მიუწევებელ ცოდვად ლოთობა ითვლებოდა.

კაცისის მეღვინეობისადმი მიძღვნილ მიმოხილვაში, რომელიც გვაჟღვალდა  
საუკუნის მიწურულს გამოქვეყნდა, რუსი ავტორი საქართველოს შესახვეჭის შესახვეჭის  
თა შორის, წერდა: „აქ სვამენ ზამთარ-ზაფხულ, სვამენ ყველგან და ყოველ-  
თვის, მაგრამ არაენ თვრება, და ერთხელ დამთვრალი უკე ლოთად ითვლება.  
სმას აქ არ ძრახვენ, თქვენ მოგმართავენ: —„დალიე“, და თქვენც სვით, თუ  
შეგიძლიათ, სვით ბევრი და მაშინ თქვენსას გაიკვირვებენ, მაგრამ ვა, თუ და-  
კარგეთ გრძნობა, უზომოდ მსმელს შერჩება წარუხოცელი დალი ლოთისა. ერთი  
სიტყვით, — ვანაგრძობს წიგნის ავტორი, — აქ ბევრს სვამენ, იმდენს, რამდენსაც  
არ სვამენ და არც შეუძლიათ დალიონ არც ფრანგებს. არც ესპანელთ, არც  
იტალიელთ, არც ბერძნებს და, მიუხედავად ამისა, არ ყოფილა შემთხვევა  
ლოთობის გაჩერისა...“





## ასტონი და ასთერი

საქართველოში, ამ პატარა ქვეყანაში, უამრავი ვაზ-ყურძნის ჯიშია გამოყვანილი. ამ ოცდათოდე წლის წინ აკადემიკოსმა ივანე ჭავახიშვილმა ლიტერატურულ-ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ქართული ყურძნის ოთხასამდე ჯიში დაითვალია. მას შემდეგ ბოტანიკოსებმა, ვაზთმცოდნე-ამპელოგრაფებმა ზოგ სხვა სახეობასაც მიაკვლიეს და ქართული ყურძნის ჯიშების საერთო რიცხვმა ხუთასაც კი გადააჭარბა.

ყურძნის ჯიშების ასეთი იშვიათი სიუხვე — მევენახეთა თაობების დაუცხრომელი შრომის ნაყოფი — საქართველოს ბუნებრივი პირობების გასაოცარი მრავალფეროვნებითაც ისასნება. მევენახეობის ყოველ კუთხეს ამ საგანძურები თავისი წვლილი შეუტანია. ქართლსა თუ კახეთს, იმერეთსა თუ რაჭა-ლეჩხუმს, გურია-სამეგრელოს თუ ტერას ათეულობით ყურძნის ჯიშების ჭავანი აუსხამს. თვით პატარა ტერამ, რომელმაც თურქეთის სამასწლიანი ბატონობის უღელი გადაიტანა, ორმოცდათამდე ყურძნის ჯიშ-სახეობა შემოინახა. ყველაზე ჯიშ-მრავალი კუთხე კახეთია. საქართველოს მევენახეობის ამ კლასიურ მხარეში ოთხმოცამდე ჯიშა გამოყვანილი.

ივ. ჭავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას“ ვფურცლავთ. ამ შესანიშნავი წიგნის ავტორმა ვაზ-ყურძნის ჯიშების მრავალრიცხოვანი სახელებიც არ დატოვა უყურადღებოდ და მათი წარმომავლობა გამოიყვლია, ამ სახელების თავდაპირველი მნიშვნელობა ამოიკითხა ისტორიულ-ლინგვისტური ძიებით.

ჩვენ წინაშე მოხდენილი ქართული სახელების ნაირგვარი მწერლივებია.

მრავალ სახელს ყურძნის ფერი აღუბეჭდას: ბროლა, თეთრაწმინდა, ფილა, ლორუბელა, სანოლა, ოქროურძნენი, ზერდავი, მეღია, ვარდისფერა თვე-ცეცხლა, წითლიანი, ყურწითელა, თვეშითელა, მწვანურა, მწვანე ჭრულური ნა, ისფერი, ჭროლა, ჭვარტლა, შავყურძენა... გვიპირისის

ზოგ სახელს — მტევან-მარცვლის სიმსხო და მოყვანილობა:

კუნძა, თავევერი, კვარცსტავა, მელისულა, სხეილთვა, მტევანდიდი, გრძელმტევანა, მოკლემტევანა, მხარგრძელი, ბურძლალა, კუმსი, ფაჩხა-ტა, აკიდო,..

მსხვილუმფხალა, ხარისთვალა, დევისთვალა, ჩიტისთვალა, ყორნისთვა-ლა, ღორისთვალა, წვრილმარცვალა, რგვალურძნენა, რკო, ცხენისმუძმა, თითა, შავთხილა...

ზოგი ვაზი ლერწის ფერით გამორჩეულა: ოქროულა, რქაწითელი, მტრედის-ცეხა, ძელშავა, ხემხუ...

სახელებში ყურძნის უჩვეულო ნიშან-თვისებებსაც ამოვიკითხავთ:

მევაველა, მწკლარტა, კვაზიაურა, შაბია...

კაკატელა, კრახუნა, მახვატელი...

უწყვეტი, ყუნწმაგარა, მცვევანი, მაჭიკვატური...

საკმელა, სულინი ყურძენი...

ყურძნის შემოსვლის დროს გვამცნობს: მაისა, თიბათვის ყურძენი, საად-რიო, ადრეულა, სადადეგო...

სამეურნეო დანიშნულებას — სამარია, საღვინე, საწური, სათვალიო, სა-ლერავი, საჩურჩხლე, სამარხი, ბადაგი...

ვაზის სადაურინობის მაუწყებელია: გორულა, კლარჯული, დიღმური, თბი-ლური, სვანური, ქართულა, აფხაზური, კახური, მეგრელური, საირმულა, არა-გვისპირული, ცოლიყაური...

ამ სახელთაგან არაერთის მნიშვნელობა არცთუ ძნელი გამოსაცნობია, ზოგი მათგანი ქართველ მევენახესაც შეუმტდარად განუმარტავს, მაგრამ მათ შორის ცოტა არ არის ისეთი სახელიც, რომელთა თავდაპირველი შინაარსი — ხალხში საუკუნეთა მანძილზე მიგიწყებული — მხოლოდ ისტორიულ-შედარე-ბითმა კვლევამ ნათელჲყო. ზოგ სახელს დროთა განმავლობაში თავდაპირველი სახეც უცველია...

თითქოსდა არათრითა უჩვეულო ძველშავი, ქართლსა და დასაცლეთ სა-ქართველოში გავრცელებული შავი ყურძნის სახელი. ამ ოჩნაწილედიანი სა-ხელწოდების პირველმა სიტყვამ ძველ-მა აღუძრა ეჭვი მკვლევარს. ეს ზედსარ-თავი რატომლაც ბოლომოკვეცილია, მაშინ როცა მოსალოდნელი იყო „ჭველიშა-

ვი“, ისიც საგულისხმოა, რომ ყურძნის ჭიშების დანარჩენ სახელებში ურთიშვილითიც აზ მოგვეპოვება, რომ ჭიშის სახელის განმასხვავებელ ფისებად სიძველის ცნება იყოს გამოყენებული“. ეს უთუოდ დროთა განმვლობრივ დაუკავშირდა მახიჯებული არსებით სახელი „ძელია“. წერილობითი ძეგლების თარიღი 1860 წელია.

ვაზის ლერწის აღმნიშვნელი სიტყვები სხვა სახელებშიც შეინიშნება: რქწითელი, ხევარდული... იქნებ ამგარავე ორნაჟილებიანი შედგენილობისა გურია-სამეგრელოში გვარცულებული ხემსუ, ხემსი? მისი პირველი ნაწილია „ხე“, ხოლო მეორე სიტყვა მისი თავისებურების გამომხატველი ზედასართვი. ამ აზრს განამტკიცებს ძეგლებართული მხიე, რომელიც ნაცრისფერს აღნიშნავს. მკვლევრის აზრით, ხემსუდან არის წარმომდგარი კახეთსა და რაჭა-ლეჩხისუმში გავრცელებული ხიხვა. საუკუნეთა მანძილზე ხემსუს შემდეგი ენობრივი ცვლილებები განუდიდა: „ხემსუსაგან ჯერ ხემსვი უნდა იყოს წარმომდგარი, შემდეგ — ხიმხვი, და სულ ბოლოს აწ არსებული ხიხვიც“.

მკვლევარმა კიდევ ერთ სახელწოდებაში ამოიკითხა „ხე“: ესაა მეგრული ოჯალები. მეგრული ჯალი) კანონზომიერი შესატყვისია ძეგლებართული ძელი-სა. ი. ჯაგაბიშვილის დასკვნით, ოჯალები, ვაზის მაღლარობის გამომხატველი ტერმინია. ის თავდპირველად ხეშე (ჯა) გასაშვები ვაზის ჭიშების ზოგადი სახელი იყო, (ო-ჯალები), გვიან კი ცალკე ჭიშის აღმნიშვნელად იქცა.

მკვლევარს ყურადღება მიიქცა სამარხები, გურიაში ადრე გვარცულებული ვაზის სახელშა. ეს, თითქოსდა უცნაური სახელი ისევეა ნაწარმოები, როგორც სიტყვები სამაჭრე, სალვინე, საწურა... ამათ მსგავსად, შესაძლოა, სამარხიც ვაზის დანიშნულების გამომხატველია. მართლაც, გამოირჩეა, რომ ძეგლებართულში (X-I-XII საუკუნემდე) მარხვა შენახვას ნიშნავდა. მაშასადამე, სამარხი ისტოი ყურძნის ჭიშების დამახსაითებელი სახელია, რომლებიც შესანახად ყოფილა გამოსადეგი და განკუთვნილი. გასული საუკუნის აგრონომიული ლიტერატურის მიხედვით: გურული „სამარხი ერთი საუკეთესო სუფრის ჭიშია, რომელიც დიდხანს ინახება“.

ანალოგიური გზით გაირკვა სადა დეგოს მნიშვნელობა. დადეგი ძეგლებართულში წლიწადის დასატყისს ნიშნავს. ძეგლად დასავლეთ საქართველოში მოქმედი ბიზანტიური კალენდრის თანამად, წელიწადი პირველ სექტემბერს

იწყებოდა. მმრიგად, „სადადევო ისეთი საადრიო ჯიშის აღმნიშვნელია, ომეულიც უკვე პირველი სექტემბრისთვის მწიფე იყო“.

ქართლის საუკეთესო ვაზის — ჩინურის მნიშვნელობა ძველია ამავე საუკეთელზე აისნა. ჩინი, ს. ორბელიანის ლექსიკონის თანახმად მუშაობის ფორმის ფერია“. და მართლაც, ამ ყურძნის მარცვლებს, „მომწვანო-მოქარების-ფერი ელევტრი აქვს“.

ვაზის ზოგი სახელი უცხო წარმომავლობის აღმოჩნდა. ასეთია, მაგალითად, აღმოსაელეც საქართველოში გავრცელებული ყურძნის სახელწოდება სა ა ბ ი. გამოკვლეული ცხადყო, რომ ეს სპარსულიდან ნასესხები სიტყვაა და საბატონოს აღნიშვნაა.

სპარსულიდან შეთვისებული სიტყვაა აგრეთვე ზე რ დ ა ვ ი, ძელად სამ-ეგრელში გავრცელებული ვაზის სახელი. ვაზუშტი ბაგრატიონის დროს სამე-გრელოში განთქმული იყო „ღვინო ზერდავი ფერისათვის ეგრეთწოდებული“. თამარ მეფის ისტორიკოსს ამავე სახელით ცხენის ფერი აქვს დახასიათებული. როგორც მკვლევარი მიუთითებს, ზერდავი ახალსპარსულში „მოოქროსფეროს, შოყვითალოს აღნიშვნას“.

დაბოლოს, მკვლევარმა ვაზის ჯიშების ზოგ სახელში სადაურობის მაუწყე-ბელი გეოგრაფიული ტერმინი შეიცნო. მათ რიცხეს განეკუთვნება იმერული ცოლიკაური და ციცქა. ცოლიკაური უნდა მომდინარეობდეს ცორიხაულიდან. ამ სახელით იყო ცონბილი გასულ საუკუნეში ერთ-ერთი სოფელი აზვეთის სანახებში. გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს ციცქაც: „იმერეთში ორი ადგი-ლია, რომლის სახელიც ყურძნის ჯიშის სახელს გვაკონებს, ერთია — ს. ციცქა, რომელიც აჭყვიშსა და ჰყვიშურს შორის მდებარეობს, შეორე — ციცქური ძირულის ხეობაში...“

იუ. ჯავახიშვილმა თავის მონოგრაფიაში სახელების შემწეობით ქართული ყურძნის ჯიშების ასაკის განსაზღვრაც სცადა. სახელების წარმომავლობის კვლე-უამ ამ სახელებისა და თვით ვაზის ჯიშების ხნიერებას მოფინა შექვი.

მკვლევარმა აზეურთი ვაზის ჯიში „ქართული მეცნიახეობის ძელ საგან-ძურს“ მიაკუთვნა. მისი განსაზღვრებით, განსაუთებებით აღრინდელი ჩანს ვა-ზების ჯუფი: რქაწითელი, ხევარდული, ძელშავი, ხემუ, ხიხი, რასაც მათ სა-ხელებში მოცემული სიტყვების — რქა, ხე, ძელი — ისტორიული ანალიზი მოწმობს. „მთთ ხნიერება რომ დაახლოებით ვანისაზღვროს, რქა-წითელი შესაძლებელია ახ. წ. აღ. პირველი ხუთი და მომდევნო საუკუნეების ფარგლებში ვივარაუდოთ. ხევარდული და ხიხი-ხემუ ამაზე უშინარესად უნდა იქნეს მიჩნე-ული, ძელშავი კი იმდენად ძევლი ჯიში ჩანს, რომ ამეამად მისი დროის განსაზ-ღვრა დაახლოებითაც კი შეუძლებელია, ის, ისეთ ხანას ეკუთვნის, რომლიდანაც

მერქნიან მცენარეთა სახელებს შორის ისტორიულად ცნობილ ხანაში შარტა ჟელვა-ღა იყო გადარჩენილი“, — დაასკვინის მკვლევარი.

გასული საუკუნის აგრძნომებს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მოწინააღმდეგობას და გვლევდებოდა, უკელვან ერთი და იგივე სურათი დახვდათ: ორი-სამი მთავარი ჯიშის გარდა ვენახებში ვაზის ათეულობით სხვა სახეობაც გაშენებინათ.

მევენახეთა განმარტებით, ვაზის ჯიშების ერთი ნაწილი ყოველგვარ ბუნებრივ პირობებში ვენას მოსავლით უზრუნველყოფდა. ვენახში გაშენებული საუკეთესო ჯიშები როდი იყო ამინდისა და პავის ცალებადობასთან ზედმიწევნით შეგუბებული. ერთს მომეტებული სინოტივე ვენებდა, მეორეს — ზამთრის ყინვა, მესამე კი გვალვას ვერ იტანდა... ხანგრძლივიმა გამოცდილებამ უკარახა მევენახეს, გამოევანა და ვენახში დაერგო ისეთი გამძლე და მოსავლიანი ჯიშებიც, რომლებიც ყოველგვარ უმინდობას გადაიტანდა.

საგულისხმოა, რომ ვაზის ჯიშების შერჩევა-გაშენების ასეთი წესი ძველთ რომის აგრძნომათვისაც იყო ცნობილი.

„არასოდეს არ არის დარი და პავა იმდენად რბილი და ზომიერი, რომ ყურძნის რომელიმე ჯიში არ დაზიანდს. თუ გვალვიანი წელიწადია, ნოტიობის მოყვარული ჯიში დაიხაგრება, თუ ავღრიანია, მშრალ პავის მიჩვეული ჯიში ვერ გაიხარებს და ასე შემდეგ. როდესაც ვენახში მხოლოდ ერთი ჯიში გაქვს დარგული, მაშინ, თუ დაგიზიანდა, მთელი მოსავალი ხელიდან გამოგეცლება, ხოლო როდესაც სხვადასხვა ჯიშის ვაზია გაშენებული, მაშინ, რომელიმე ჯიში უსათურდ აღმოჩნდება, რომელიც უმინდობას აიტანს და მოისხამს,“ — აღნიშნავდა რომელი აგრძნომი კოლუმბელა (I საუკ.).

ვენახში ნაირგვარი ჯიშების გაშენება სხვა სამეურნეო ინტერესებითაც იყო ნაკარახევი.

სხვადასხვა ჯიშის საღვინე უზრძენი ქართულ სუფრას მთელი წლის მანძილზე ნაირგვარი ღვინოებით უზრუნველყოფდა. ზოგი აღრეული ჯიში სამაჭრედ იყო განკუთხნილი. ზოგი, არც თუ მაღალი ღირსების, უურძნის წვენი თუ ჭავჭა სხვა ღვინოებს აუმჯობესებდა: გემოს თუ სინაზეს, ფერსა თუ ძალას მატებდა. ამათ გარდა ვენახში საჭმელ, სამურაბე, საწინილე, საჩურჩხელე და საბადაგე უურძნის ჯიშ-სახეობებსაც აშენებდნენ...

ამ სამეურნეო მიზნების შესაფერისად მევენახეს გარკვეული თვისების უურძნი უნდა შეერჩია. „საჭმელი ჯიში ტებილი, გემრიელი და სურნელოვანი უნდა ყოფილიყო, ნაზი ხორცი და კანიც ჰქონოდა, მხოლოდ ხანგრძლივ შესანახავად განკუთხნილს ამასთანავე გამძლეობაც მოეთხოვებოდა. საჩიმიჩედ, საშუალებელ თუ საწნილედ შერჩეული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობას ნაზ ხორც-კანი-

ანობის მავიერ, სწორედ მსხვილი და საკმაოდ მომაგრო ხორც-კანი სჭირდებოდა. შპინცდმა არც დიდი სიტებო უნდა ჰქონოდა და მით უმეტეს, არც შვნანობა. სამაგიეროდ, საბადავო და საჩურჩხელე ყურძენი, რასაკირვეველი, ზაროვა სად ტებილურენიანი უნდა ყოფილიყო და სხვა თვისებებს, ამ შემთხვევაში, ზეორებარისხეოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. საღვინე ყურძნისათვის საცირო იყო სიტებოც, წენიანობაც და სურნელოვნებაც, თხელი კანი და ნაზი ხორცი.

სამაგიეროდ, ასეთ ყურძენს ხანგრძლივი გამტელობა არ სჭირდებოდა. სიმეტავის ნაკლებობაც აუცილებელი პირობა იყო. სამცტერედ განკუთხნილი ყურძნისათვის კი, პირიქით, ზომიერ სიტებოსთან ერთად სწორედ სიმუშავე იყო კარგი. საწური, სამცტერე და საღვინე, ისევე, როგორც საჭმელი ჯიშისათვის, რა თქმა უნდა, ყურძნის დამწიფების ხანსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: საჭმელად და სამცტერედ აღრეული ჯიში უფრო მეტად ფასობდა, შედარებით მაღლობსა და გრილ აღგილებშიც საუკინელ, გრილა სხვა რაიმე დანიშნულებისათვის, ცხადია, მხოლოდ აღრეული ჯიშ-სახესხვაობანი იყო გამოსადევი. პირიქით, დაბლობისა, თბილი და წოტიო ნიადაგისათვის საგვანი ჯიშ-სახესხვაობანი სკობდა, რადგან შემოფგომას ასეთ აღგილებში ჰავა უფრო მშრალია ხოლო და ამით წყალობით ყურძენი დამწიფებისას ნორთიობისაგან არ ზიანდება“ (ივ. ჯავახეშვილი).

საქართველოს „მეცნანეობის ძეველმა საგანტურმა“ ჩვენამდე საგრძნობლად რიცხვნაკლულად მოაღწია. გადაშენებულია ანდა მხოლოდ ცალკეული ძირების სახით შემორჩენილა ოთეულობით ვაზის ჯიში. როგორც ცნობილია, საქართველოს მეცნანეობამ საუკუნეთა მანძილზე ბეკრი კირი და განსაცდელი გამოიარა. შემოსეული მტერი ვენახებს საგულდაგულოდ კაფავდა, ქეცენის დაპყრობილ მხარეებში გადაშენების პირად იყო მისული მეურნეობის ტრადიციული დარგი. წარსულმა უამთა სიავე არა ერთი საუკათხესო ყურძნის ჯიში იმსხვერპლა...

და მაინც, ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ საქართველოს ვენახებში ყურძნის ჯიშ-სახეობათა რიცხვი ხუთასს აღმატებოდა.

მეცნამეტე საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოს მეცნანეობას ახალი განსაცდელი ელოდა. სამეცნიელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის მიერ საზღვარგარეთიდან გამოწერილ უცხოურ ვაზს იზაბელას თან სოკოვანი დაავადება — ნაცარი შემოჰყვა. მოკლე ღროში მანამდე უცნობი „ვაზის სატკი-გარი“ მთელ საქართველოს მოედო. ნაცარი განსაკუთრებით მცინცარებდა და სავლეთ საქართველოში, სადაც ძალზე ხელსაყრელი — ტენიანი ჰავა პოვა.

ნაცარის ვერც ქართლ-კახეთის ვენახები გადაუჩჩია. ზოგ წლებში ვაზის სატკივარმა კახეთში თითქმის მთელი მოსავალი გაანადგურა. ნაცარის სხვა სოკოვანი დაავადებებიც მოჰყვა. შემდეგ კი საქართველოში ვაზის საშინელი მტერი —

ფილოქსერაც გამოჩნდა. ეს მავნებელი მწერი ჭერ დასავლეთ საქართველოს ვენახებს მოყდო, მოგვანებით კი ქართლსა და კახეთის ვაზებსაც დაუტირდა. კარგა ხანძა განვლო, ვიდრე ქართველი მევენახე ვაზის სოკოვნის მდგრადი შებთან ბრძოლაში გაიწავა და ფილოქსერის გამძლე ნამყენ ვენახს მოეკიდა. სოკოვნმა დავადებებმა აიძულა დასავლეთ საქართველოს მკვიდრი, ხელი იელო ტრადიციულ მოლლარ ვენახზე და მის ნაცვლად აღვილად მისადგომი და „შესაწამლი“ ტანმორჩილი დაბლარი გაუშენებინა. გასული საუკუნის მიწურულიდან მევენახება, როგორც იქნა, აღორძინების გზის დაადგა.

მაგრამ რამდენდ გაღარიბებულიყო ნამყენ ვენახებში ვაზის ჯიშნარი, რამდენი საუკეთესო ყურძნის სახეობა ემსხვერპლა ნაცარს, ობსა და ფილოქსერას. მეტადრე გურია-სამეგრელოს მევენახეობას დასწენოდა მძიმე დაღი. გასული საუკუნის შუა ხანებისათვის აქ ასზე მეტი მალლარი ვაზის ჯიში დაითვლებოდა. საუკუნის მიწურულისათვის კი მათი უმრავლებობა გადაშენებულიყო. „ადგილობრივი ჯიშებიდან მხოლოდ ზოგიერთი შემორჩა, ზოგი კი ერთეულ ძირებად გვეცდება, ან სულ უკვალოდ ქრება“, — აღნიშნულია იმ დროის პრესაში. სანახებო საღინიგ ჯიშების ნაცვლად გურია-სამეგრელოს ვენახებში გაბატონებულიყო უხეირო იზაბელა („ადესა“) — უხვმოსავლიანი და გამძლე ამერიკული ვაზის ჯიში.

ქართული ვაზის ჯიშების გადაშენებას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ღვინის სასაქონლო პროდუქტად გადაქცევის ინტენსიურმა პრიცესიაც შეუწყო ხელი. „ვაჭრულმა. ანგარიშმა“ მევენახის თვალში ზოგ ჯიშს ღისება შემატა, ზოგი კი, პირიქით, გააუფასურა. მაღალი ღისების, მაგრამ მცირემოსავლიანმა ჯიშებმა, აგრეთვე სამაჭრე და საჭმელმა ვაზ-ყურძენმა, უხვმოსავლიან საღვანე ჯიშებს დაუთმეს თანდათან ასპარეზი.

კახეთში — საქართველოს მევენახეობის კლასიკურ მხარეში — დღეისათვის სამოცდაათამდე ყურძნის სახეობა დაითვლება. მათ შორის მთავარია საფერავი, რქეაწითელი, მწვანე, შავეპატო, ჯინანურა ანუ ხიხვი, მცვივანი, შავყურძენი, ფლია, თავკვერი, წობენური, ბუდეშური, თითა, კუმსი, ხარისთვალა, უწიპწო ჯურძენი, საკელის ყურძენი..

კახელი მევენახე ასე ვეიხისიათებს ამ ჯიშებს (ეთნოგრაფ ლ. ბოჭორიშვილის მასალების მიხედვით):

„ავ ყურძენთა შორის საფერავი „თავი ყურძენია“. ამ ვაზის ფოთოლი ბრტყელია და მოწითალო, ყურძნის მტევანი ბორჯლიანია და გრძელკუფხლებიანი. საფერავმა „ძალიან იცის ყურძნის გამოტანა“, თუ აღვილი „ჯანიანია“ და ამინდიც კარგი შეხვდა.

რქეაწითელი, მწვანესთან ერთად, თეთრი ყურძნის საუკეთესო ჯიშად არის

მიჩნეული. რქაშითელის რქა წითელია, „მოწითალო-მოწაბლო“, ფოთოლი მწვა-  
ნე აქვს და მრგვალი, — ნაკლებად შეკრილ-შემოკრილი. რქაშითელმა სტრომი  
იცის წასკლა, მაღლა, ჭიგოს აპყვება პწკლითა და ზედ შეეხვევა“; რქაშითელმა,  
საფერავისაგან განსხვავებით, თხლად იცის ყურძნის გამოტანა, მაგრამ ხაყოფა  
მსხვილს იძლევა. მტევანი გრძელია და კუმში.

მწვანეს რქაც, ფოთოლიც და ყურძნიც მწვანე აქვს. ვაზის ფოთოლი შედა-  
რებით პატარა, ბუსუსიანი და დაკუშული, თითებივით დაყოფილი. მტევანის სი-  
ლიდის მხრივ მწვანე რქაშითელს ვერ შეედრება, მაგრამ თუ ნოყიერ ადგილზე  
მოხვდა, კარგ მტევანს გამოიტანს. მევენაბის სიტყვით, მწვანე სამნარი ჯიშისაა:  
ერთი ჯიშის მწვანე თხელსა და პატარა მტევანს იძლევა. ეს ყურძნენი მრგვალ-  
მარცვალაა და ბულეშურივით კნატუნა. „შორიდან რომ შეხედო, ბულეშურა  
გაგონება“; შეხედულებით ყვითელი და დაჭრობულილი. ეს ყვითელი მწვანეა.  
მეორენაირი მწვანე უფრო მოზრდილ მტევენბს ისხამს, საფერავივით ბორჯლი-  
ახია და მოკლე მისი მტევანი. მესამენაირი მწვანე თავისი გრძელი მტევნით რქა-  
შითელს ჩამოგავს.

ჭანაანურა ანუ ხიხვი ფოთლებისა და რქის ფერით მწვანეს მიაგავს. ოლონდ,  
მწვანესაგან განსხვავებით, მისი ფოთოლი პატარა და ნაკლებად დაკუშული.  
ჭანაანურას მტევანი, საფერავის მტევანის მსგავსად, თხელია. ყურძნენი მოთე-  
რო-მომწვანო ფერისაა, მარცვალი-თხელქერქაა და წყლიანი. ჭანაანურა ადრე  
შწიფლება, დროზე რომ არ დაიკრიფოს, დალპება. ჭანაანურა აღვილად ვადლება  
და სათუთ მოვლას საჭიროებს.

მცვივანი თხელმტევნიანი ყურძნია: „დასხმით დაისხამს და არ კი შერჩება,  
თუ ძან ხელი არ შეუწყე, მარცვლები გასცეივა“.

შავი ყურძნენი ორნაირი ჯიშისაა. ერთი — უფრო ბრტყელსა და შავ ფო-  
თოლს ისხამს, მას მარცვალიც უფრო მსხვილი აქვს და მტევანიც. კარგ საჭმელ  
ყურძნად ითვლება — „თხილივით იკვინტება“. მეორე სახეობას მარცვალი  
წყრილი აქვს, მტევანიც მოკლე და უფრო კუმში... შავი ყურძნენი, მსხვილმარც-  
ვლიანია და ღიღმტევენიანი. ყურძნენი „პროლასვით იწევა“, ზოგი მარცვალი  
შავად იწევა, ზოგი კი უმწიფარი ჩება.

უღია მოთეორო რქა-ფოთლიანია. მსხვილი და ბორჯლიანი მტევანი იცის,  
მარცვალი — მრგვალი და წვრილი. საფერავთან და შავ ყურძნითან შე-  
დარებით ბაცა ფერისაა, უღია „წითლად იწევა“, „შეიძლება შეხედო და მკვანე  
გეგონოს, მოწეული კია“.

წობენურიც მწვანესა და ჭანაანურას მიაგავს. ამ ვაზმა კუმში მტევანი და



მოყვითალო მარცვალი იცის, „ყვითლად მოიწევა, იტყვი: შეუღებნათ რაშე-  
ზოდ“.

ბუდეშურის რქა თეთრია, ფოთოლი — მოყვითალო და წვეტიაშ. ტეკვანი  
დიდი აქვს და კუმისი, მოგრძო მარცვლებიანი. ბუდეშურმა „სხმა ღონიერი იცის“.

თითას მსხვილი, მოყვითალო რქა აქვს. მისი მარცვალიც მსხვილია და გრძე-  
ლი, „როგორც ძუძუვაშლა“.

ხარისთვალა საჭმელი ყურძენია, ბრტყელფოთოლა და მსხვილმარცვლიანი,  
მარცვლის სიდიდით ყველა ჭიშს სჭრობს.

საქმლის ყურძენს საქმლისებური სურნელება ახასიათებს. აღრეული ყურძე-  
ნია, თუ დროზე არ დაიკრიფა, დალპება.

უწიმწო ყურძენი ბუდეშურის მსგავსია. სხვა ჭიშის ყურძენთა შორის ძალ-  
ზე დიდი და ბორჯოლანი ზრდებით გამოირჩევა.

ჭართული ვაზ-ყურძნის ჭიშების დიდი უმრავლესობა საღვინედაა განქუთ-  
ვნილი. ზოგი მათგანი განსაკუთრებული ღირსებით გამოირჩევა... ამ რჩეული  
ჭიშების ღვინოებმა საქართველოს მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი.

დაჭირებულილი რქაწითელი და ლურჯი საფერავი! ალაზნის ველისა და ცივ-  
გომბორის მზარეულის ამ ორმა მევიდრმა ყველაზე მეტად ასახელა ჭართული  
ღვინოები. რქაწითელი მსოფლიოს თეთრყურძნინი ვაზების რჩეულს ამშევ-  
ნებს, საფერავი კი წითელყურძნინა ჭიშებს ეცილება პირველობას.

„კეთილშობილი კახური საფერავი“ უკვე გასულ საუკუნეში გაიცნეს დასავ-  
ლეთ ეკროპაში. ეკროპელი ამპელოგრაფები საგანგებოდ სწავლობდნენ ამ ჭიშს  
და მას პირველობა მიანიჭეს მსოფლიოს წითელყურძნინ ვაზებს შორის. „ყვე-  
ლაფერი უფლებას მაძლევს ვიფიქრო, რომ წითელი ღვინის დასაყენებლად სა-  
ფერავი ცველა არსებულ ყურძნის ჭიშს სჭობია“, დაასკვნიდა ერთ-ერთი  
ავტორიტეტი.

საფერავის ჭაჭას და წვენს განსაკუთრებული ღირსების გამო, როგორც ამ  
ყურძნის სახელწოდებაც მოწმობს, სხვა ღვინოების შესაფერად და გასაუმჯო-  
ბესებლად იყენებენ ძველთაგან. ეს შესანიშნავი ვაზი დღეისათვის საქართველოს  
სხვა კუთხეებშიც გვხვდება და მოძმე რესპუბლიკათა ვენახებშიც დამკიცდებუ-  
ლა. მაგრამ არსად ისე არ გვარობს საფერავი, როგორც მშობლიურ კახეთში.  
კახეთის გამოღმა მხარის სამხრეთის ფერდობებზე გაშენებულ საფერავს აქაური  
ღონიერი, რკინით მდიდარი, კირნარი ნიადაგი და ზაფხულ-შემოდგომის თვე-  
ებში მოძალებული შზის სხივები იშვიათ ფერსა და სიტყბოს ანიჭებენ. შეუდა-  
რებელია მუკუზნის, ხოდაშის თუ კარდანანის წითელი ღვინოები. არა მხოლოდ



შესაფერად. სახელგანთქმული „ხიდისთავური წითელი“ თავკვერის ჰეჭასა და წვენზე დაბუღებული გორული მშვანე და ჩინურია.

იმერეთში, უმთავრესად თეთრი ღვინოების მხარეში, საუკეთესო ალბური არებულა თეთრყურძნიანი ჯიშები: ქრახუნა, ციცქა და ცოლიყაური. კრახუნას, ჩინებულ „საგობრე“ ყურძნეს, სახელწოდება კან-ხორცის განსაკუთრებული სიმკერივის გამო მიუღია: ჭაბის დროს ყურძნის მარცვლები ხმაურით სკდება, „კრახუნობს“. ქრახუნას ღვინო სიმძიმით, მხურვალებით და „ვაჟეაცურძნით“ ცხატურ ღვინოებს მიაგეს. ეს ჩინებული ვაზი მცირედად შემორჩინა იმერეთის ვენახებს. მას ფილოქსერაცა და სოკოვნი დავადებებიც აღვილად ერევა.

ციცქა და ცოლიყაური დღესაც მრავლადა იმერეთის ვენახებში. ვანსაკუთრებით ჭარბობს ცოლიყაური, უცველსავლიანი ჯიში, რომელიც ვაზის სწრულებასაც კარგად უძლებს. ამ ჯიშების ღვინის ტიპიური იმერული ღვინოებია: ციცქა შედარებით ნაზია და ხალიბიანი, ცოლიყაური — კი მხურვალე და შაგარი. ციცქამ, უნაზესმა და თავისებური სიმჟავიანობის ყურძნებმა, უკანასკნელ დროს ღირსეული ასპარეზი ჰქოვა ქართული შამპანური ღვინის წაომოებაში.

მთაგორიან რაჭის უმთავრესად წითელყურძნიანმა ალექსანდროულმა მოუხვეჭა სახელი. ალექსანდროული მეტწილად წითელი ან თეთრი სუფრის ღვინოა, რომელიც „შემრგოა, ძევლობს და მგზავრობასაც კარგად იტანს“. ალექსანდროულის ჯიშისაგან მზადდება ბუნებრივად ტკბილი ხვანეჭკარაც, რომელიც ქვემო რაჭის სოფლის სახელს ატარებს. ხვანეჭკარის, ისევე როგორც მისი მახლობელი რამდენიმე სოფლის, ვენახება შეუფენილია სამხრეთის მზვარე ფერდობებზე, სადაც ნიადაგი კირითა მდიდარი. გვალვა ან ამინდში ალექსანდროული აღვილად ჰქინება და გადამზიდება, რის გამოც ურჩექნები უხევად გროვდება შაქარი. ტრადიციული ტექნოლოგიის მიხედვით რის საწნახელში „გაყენებული“ ყურძნის წვენი, ბოლომდე დაუდუღარი რჩქანა, რასაც ნაწილობრივ შემოღვევის სიცივებიც უწყობს ხელს. ამ წესით დაყენებული ღვინო საკმაო სიტებოს ინარჩუნებს. მუქი ლალისფერი, ხავერდოვანი, ნაზი, მოტებო ხვანეჭკარა ქალევ, ზის მოწონებითაც სარგებლობს.

ალექსანდროულს წარსულში შევი კაბისტონი უწევდა მეტოქეობას. „ბუგეულის ღვინო“ განთქმული იყო ღასავლეთ საქართველოში. ეს ჯიში, „ყურძნადაც კრეგი“, ვაზის სნეულებამ გაანალგურა. იგივე ბელი ეწია რცხილას. მისი ღვინო სანაქებოდ ითვლებოდა. „რაჭეველ ელექს ერნ მისცა რტბილის ღვინო სასმელადო“, — ნათქვამია ხალხურ ლექსში.

ლეჩენუმში გავრცელებული ვაზებიდან თავისი ღირსებით გამოიტჩავა წილურქნიანი უსახელაური. ამ ჯიშისაგან ჩინებული ღვინოების დამზადება — კუჭმით და მაგარი, შინდისფერი სუფრის ღვინო და ლალისფერი ბუნებრივი ტუჭიფური ღვინო, რომელიც ღირსებით არ ჩაძოურებდა რაჭულ ხვანეკარას.

დღეისათვის გურია-სამეგრელოს ვენახებში იმერული ცოლიკაური გაბატონებულა. გურიის მთისპირა სოფლებში ერთეული ძირების სახით თუ გვხვდება ხეებზე მაღლარად გაშვებული ძეველი წითელურქნიანი ვაზები: ვანი და ჩხავერი, სოკოვან დაავადებებს რომ დაუბეჩავებია. აქა-იქ ეს ვაზები ნამყენ დაბლარადაც გაუშენებათ. ძეველად გურაში „ჯანის ღვინოს“ სიმაგრით ბადალი არ მოეპოვებოდა. დაძველება მას ვემოსა და სურელებას მატებდა. არააკლებ ვანოქმული იყო გურული ჩხავერიც — მუქი ვარდისფერი, ნაზი და მარახოში ღვინო.

სამეგრელოშიც დღეისათვის იშვიათობადა ქცეული ძეველი მაღლარი ვაზის ჯიშები, მათ შორის წითელურქნიანი ოჯალეში ანუ შონური. ეს შესანიშნავი ვაზი უმთავრესად მთავრიან, მაღლობ ადგილებში მოჰყავდათ. ოჯალეშის ღვინო, მუქი წითელი ფერსა, მაგარი და სურნელოვანი, სიძველეში კიდევ უფრო უჭირბესდებოდა. ოჯალეშს, დასაცლეთ საქართველოს ალიარებულ თავლვინოს, გასულ საუკუნეში თვით კასურ საფრაგასაც კი უტოლებდნენ. მეჩიდმეტე საუკუნის ფრანგი მოგზაური შარდუნი მას ქებით იბსენიებს.

გურია-სამეგრელოს შვევასა და მერაბად აქარის ვენახებშიც უმთავრესად იმერული ცოლიკაური გაშენებული. აქ ერთეული ძირების სახით შემორჩენილან ძეველი მაღლარი ვაზები, მათ შორის საუკეთესო საღვანე ჯიშები ბროლა და ბუტკო. ჟარაში თურქების სამასწლოვანი ბატონობის ხანაში ამ ვაზებს, სხვა ჯიშებთან ერთად, შოლოლდ საჭმელად და საბადაველ მოიხმოდნენ. შემდეგში მათაც ვაზის სატკივარია დარია ხელი და ერთიანად გააჩანავა. აქარის მკვიდრო დღემდე ახსოვთ, რომ ოდესლაც ბროლასა და ბუტკოსაგან ღვინოს აყენებდნენ მათი წინაპრები. ბროლას ერთ-ერთ სახელს — „ბროლის ღვინო-საც“ შორეული წარსულის მოგონება შემოუნახავს.





## ნეტავ სადა აქვე ამ ზვარებს ბოლო?

გერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა თავის გეოგრაფიულ თხზულებაში და-ახლოებით შემოხაზა საქართველოში მეცნიანეობის გავრცელების ფარგლები. მან გამოჰყო „ვენახ-ხილიანი“ ზოლი და ის უვენახო მთას დაუპირისპირა. დღეი-სათვის მოპოვებული მონაცემების მიხედვით საქართველოში გაზის გაერცელების შემდეგი სურათი წარმოგვიდგება.

ვენახის სამეცნიერებელი თითქმის ზღვის ღონილან იწყება. კოლხეთის დაბლობზე, გურია-სამეგრელოს ზღვისპირა სოფლებში ციტრუსების ბაღებთან ერთად ძეა-იქ პატარა ვენახებსაც კეცდებით. შევი ზღვის სიახლოეთი ვამოწვეული პავის მოჭარებული ტენიანობა მეტ გასაქანს არ აძლევს ვაზს — მზის შვილს.

რაც უფრო ვშორდებით ზღვას და მალლა მივდივართ, მით უფრო მატულობას ვენახი. სამოცდაათი მეტრის სიმაღლიდან ვურია-სამეგრელოში უკვე მხრებს ულის ვაზი. ვენახი ხშირია ლიხთიმერეთის ზეგნებზე, უფრო მეტად კი მთის კალთებსა და სერებზეა მოძალებული.

მეცნიანეობის გავრცელების ანალოგიური სურათი იშლება აღმოსავლეთ საქართველოში. ქართლ-კახეთის ვაკე-ველებზე ვაზი ნაკლებადაა. ვენახები უმთავრესად მთის კალთებზე გადაჭიმულა. ქაური ღვინოებიც განსაკუთრებული ღირსებით ვამოირჩევა. კახეთი — მეღვინეობის კლასიური მხარე — ციკ-გომბორის კალთებზე შეფენილ ვენახებს უნდა უმაღლოდეს თავის საუკეთესო ღვინოებს.

საქართველოს მეცნიერების ეს ინტენსიური ზოლი ზღვის დონიდან და-  
ხლოვებით ათასი მეტრის სიმაღლემდე აღწევს. შემდეგ კი მკაცრ ჰავას თავისი  
გააქვს. თანდათან გურდება ვენახი. აյ მხოლოდ სააღრიო უზრუნველყოფა  
გვხდება, რომლებიც შემოღვიძებლები ასწრებენ დამწიფებას. პრასტ მეტრით  
მაღლა კი ვაზი სრულად ქრება, იწყება „უვენახო მთა“.

საგულისხმოა, რომ თუმცა მთამ ვაზის გავრცელებას ასეთი მკაცრი საზ-  
ღვარი დაუდო, ზოგან მთიელები მაინც არ დარჩენილია უვენახოდ. ზემო რაჭის  
უვენახო სოფლების მკვიდრთ ქვემოთ გაუშენებით ვენახ-მამული. რაჭელ  
მთიელთ მეზობელ იმერეთის სოფლებშიც აქვთ ვენახი. ყურძენს იქვე, ვენახში  
წურავენ, ხოლო ტყბილი სოფელში მიაქვთ და იქ მარხებში აყენებენ ღვი-  
ნს.

უვენახო მთაში ღვინის დაყენების ეს თავისებური ტრადიცია ძველად სხვა  
მხარეებშიც ყოფილა დამკვიდრებული. ვახუშტის გეოგრაფიული თხზულების  
მიხედვით, ღვინოს ამგვარადვე აყენებდნენ მთიულეთში, კოჯორსა და თრია-  
ლეთში: „ტყბილს მოიტანენ ბარიღამ, ჩასხამენ აქა და დაღვების ღვინო კეთი-  
ლი და გემოიანი“.

ვენახებში ჩაფლულა ქართლ-კახეთის სოფლები. ყოველ სახლს პატარა ვე-  
ნახი ეკვრის. ეს კარის მამული ანუ შინა-ვენახია. რა მარჯვე მოსავლელ-საპატ-  
რონოა კარის მამული! მისი მოვლა-დახელვაც ძალზე მოსახერხებელია, დაკრე-  
ფაცა და ყურძნის დაბინავებაც. აქ ქოხსაც არ უნდა გამართვა სიცხესა თუ ავ-  
დარში თავშესაფარად. თუმცა ნაკლიც აქვს კარზე გაშენებულ ვენახს: ყურძენს  
შინაური ფრინველი ეტანება:

კარგი ხარ, კარის მამულო,  
რომ არა გვამდეს ქათამი. —

მხოლოდ კარზე გაშენებული პატარა ვენახის იმედად როდია ამ მხარის მკვიდ-  
რი. სოფლის ბოლოზე, ხშირად მისგან ათეული კილომეტრის დაშორებით დიდ  
ვენახებს მიადგებით. სწორედ ეს მამულებია ქართლ-კახეთის ქვევრ-მარნის ბა-  
რაქის მთავარი წყარო. ღვინოც სანაქებო იცის ამ აღვილებმა — „შარაფებმა“  
თუ „ახებმა“, „ქინძმარაულმა“ თუ „გრძელმა მინდორმა“.

თვალუწვდენელი საკოლმეურნეო ზერები, ჩვეულებრივ, შემოუღობავია,  
კერძო ვენახებს კი ხშირად ღობე იცავს საქონლისა და სხვა დაუპატივებელი  
სტუმრებისაგან. რანაირ ღობეს არა ნახავთ აქ: ფიჩისა თუ წნელის, ლატნისა  
თუ მარგილის, ძეგვისა თუ ცოცხალს.

„არსად არ არის მინდვრებისა და ბალების შემოლობვის ხერხების ისეთი ნაირგვარი, როგორც კახეთში. მე შევნიშნე აქ ყოველნაირი სახის ღობე, მოყოლებული უხეში ლასტიდან, ვიდრე ისტატურად დაწნულ წნელის რობერტფესტი ღობე ლატრისა და ლამფისა, ცოცხალი ღობე თუ ყორის გალავანი. უკელატუ უცაური იყო ღობე ფესვების, ძირკვებისა და დაბრეცილი ტოტებისაგან, რომლებიც ისე გადახლართულიყო, რომ ქმნიდა განსაციფრებელ სახეებს, ერთმანეთში შეზრდილ გველებს და სხვა ურჩხულებს“, — წერდა გასული საუკუნის გერმანელი მეცნიერი, ჰაქსტაუშენი.

ბოლო, დროს მათულით შემოლობილი ვენახიც მომრავლდა ქართლ-კახეთში.

ლასტის ან ფიცრის კარით შევდივართ ვენახში.

მსხვილ ბოძებზე გაბმული მათულების გაყოლებით ვაზები ჩამწერივებულნა. ორი ან სამი წვერი მათული ბოძებს გარდა შიგადაშივ საჩრებსაც ეყრდნობა. ვაზის მწყრევებს, შარებს შორის საქმია მანძილია ვაზებთან თავისუფლად მისადგომად. მიწის ადგილად გასათოხნ-დასაბარად.

აქა-იქ კიდევ შემოჩენილა მამაპაპური ვენახი შვინდის, თხილის, წაბლის ან მუხის ჭიგო-სარჩე აკრული ვაზებით.

ვაზო, შეილივით ნაზარდო,  
ულვაში გაღინიერხია,  
ჩაქონებისარ ჭიგოსა,  
შეაჭე გაღგიტებია...

ძველებური ვენახიც, ჩვეულებრივ, მწერივზეა გაშენებული.

როგორც მოხუცები გვარწმუნებენ, უწინ უწესრიგოდ დარგული, „არეული“ ვენახი სცოდნიათ.

არა მარტო ვაზების ბალია ვენახი. მამულში ნაირგვარი ხეხილიც ხარობს. ლელვის, ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ატმის ხები უდგათ ვენახის თავსა და ბოლოში. ხეხილი ხშირად ვენახის კიდეებზე, ღობის გაყოლებითაც ჩამწერივებული. მცირებრდილიანი, წვრილფოთლება ატმის ხე აქა-იქ ვაზებს შორისაც წამოზრდილია. ვენახის ბარაქებს ინახავს ხეხილი. შემოდგომაზე ხილი იჭმება, ზურქენი კი იზოგება. „კაცი კაცითაო და ვაზი ჩემითაო“, — უთქვამს ატამს.

ვენახში, ჩვეულებრივ, ბოსტნეულიც მოჰყავთ. მამულის თავსა და ბოლო-ში ხშირად მოჰკრავ თვალს პამიდორსა და კიტრს, ჭარხალსა და კომბისტოს, საზამთროსა და ნესვეს... მათ ზოგჯერ ვაზების მწერივებს შორისაც უთმობენ აღგილს.

მამულის თავში, ჩევულებრივ, „მევნახის ქოხია“ გამართული. ის ზოგჯერ უბრალო საჩრდილობელს, ფანჩატურს წარმოადგენს. მიწაში ღრმად ჩასობილ მუხის მაღალ ბოძებზე ხეებია გადებული, ზედ კაებია გაწყობილი და წალით, წალმით ან კამიტით არის გადახურული. გვხვდება უფრო მცვალეო მარტინი წალული კელებით, მეტი სიმტკიცისათვის ბზენარევი ტალახით შელესლი. ასეთი ქოხი, რომელსაც ლასტის ან ფიცრის კარი აქვს შებმული, გვნახის სხვადასხვა იარაღ-ჭურჭლის შესანახადაც საიმედოა.

ძველად დიდ ვენახში ქვიტკირის მარტებიც ედგათ. დაკრეფილი ყურქენი იქნება იშურებოდა. ახლაც ხშირად შეხვდებით ნავენახრებში ქვიტკირის მარან-საწინახლების ნაშთებს...

ქართლ-კახეთში მრავალი სოფლის ვენახ-მამულს ჩაუდის სარწყავი რუ. ასეთი ვენახები, ჩევულებრივ, მთელ სივრცეშე კვლებით არის დასერილი, მორწყვის დროს ამ კვლებში მიუშვებენ წყალს.

სარწყავ ვენახებში, შესასვლელთან, ხშირად, მიწაში საგუბარია გათხრილი. მაში ვენახთან მიყვანილი რუს წყალი იურება. ეს დაგროვილი წყალი ვენახის წამლის გასასხელად, ბოსტნეულის მოსარწყავად, საქონლის „დასამწყურვალებლად“ მოიხმარება. გუბის სიახლოეს ქვის ან ბეტონის აუზია აშენებული წამლის დასაყენებლად.

ურწყავ ვენახს ზოგჯერ ტველებური ჭა-ბულაყუ ამარავებს სახარჯო წყლით. ჭა მოხერხებულ ადგილასაა გაჭრილი. მიწის პირთან სიმტკიცისათვის ვას ირგვლივ ქვა-აგური აქვს შემოწყობილი, ჭის თავზე ჩარხია გამართული, რომელზედაც თოკით კასრია მობმული. მიწის სიღრმიდან სახარჯო წყალი ჩარხის მეშვეობით ამოაქვთ.

ქართლ-კახეთში დიდი ვენახი, არცთუ იშვიათად, ალავ-ალავ ბილიკებითაა დასერილი. ისინი ტახტებად, ქუსმებად ყოფილ ვენახებს. ამგვარად ვენახის დაყოფა მის ნაწილ-ნაწილ დამუშავებას და დაკრეფას აადვილებს.

ხშირად ვენახებს ბილიკი ირგვლივაც შემოუყვება. მათი შემწეობით ერთ-მანეთს ემიგნება საერთო ღობით შემოხლეული ვენახები. ხანდახან ვენახების ნაპირებში ჩაფლულია მოზრდილი ქვები — სამნები. ეს სამიგნო ქვები, ჩევულებრივ წყვილ-წყვილია, ზოგჯერ კა მათ შორის მესამე ქვაც, „მოწამეც“ აღმართულა.

აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე უძველესი დროიდან დაბლარმა ვენახმა მოიკიდა ფეხი. აქაურმა მშრალმა, კონტინენტურმა ჰავამ იმთავითვე მევენახეობის ამ უფრო ინტენსიურ კულტურას მისცა გასაქანი.

მაგრამ, როგორც ივ. გვახიშვილმა გამოარკეა, აღმოსავლეთ საქართვე-



ლოში არც მაღლარი ვაზი —  
ბაბილონ — იყო სტულებ  
უცხო. მეცხრე კაუჩუკი  
საისტორიო ძეგლის — „კარ-  
თლის მოქცევის“ — თანა-  
მად, ქართლის უძველეს სა-  
ტახტო ქალაქში, მცხეთაში  
მეფის „სამოთახის“, ბაღს,  
ნაძვის ხეზე გასული ბაბილონ  
ამშვენებდა. ბაბილონი და-  
ჩრდილული ადგილები იშ-  
ვიათი არ იყო მცემონ ქართ-  
ლის, შავშეთ-კლარჯეთის  
მონასტერთა მწარ-წყალზე.  
ზოგი მონასტრის მარანში  
სხვა ქვევრებს გარდა ჰქონ-  
დათ „საბაბილო ჭურიც“,  
რომელიც მაღლარი ვაზისა-  
გან დაყენებული ღვინისათ-  
ვის იყო ვანკუთხნილი.

შარდენს, მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგ მოგზაურს, კოლხეთის გარდა ქარ-  
თლშიც უნახავს ხეგბზე მაღლარად ვაშვებული ვაზები. მეცხრამეტე საუკუნის  
უცხოელ მოგზაურსაც შეუნიშნავს ქართლ-კახეთში „დიდი რაოდენობით ვაშვ-  
ებული ვენახის“ გარდა „მაღალი ხევბის კენტერობამდე გასული ვაზები, ბუ-  
ნების საჩუქარი, რომელიც ადამიანისაგან არავითარ მოვლას არ მოით-  
ხოვს“.

ქართლ-კახეთში მაღლარ ვაზს რამდენიმე ათეული წლის წინ აქა-იქ კიდევ  
ნახავდა კაცი. კახეთში მეტადრე ქიზიში მრავლობდა „შაშიბილი“, ანუ „მხე-  
ვანი“ ვაზი. შემთხვევითი როდია, რომ აქაური ქალების ნაქსოვ-ნახელავ წინ-  
დებსა თუ ფარდავებს, ხშირად „მხევანი“ ვაზის გამოსახულებაც ამკობს.

ახლა კი დასავლეთ საქართველოს ვენახებს ვეწვიოთ.

სად არ ნახავთ ლიხითიმერეთში ვენახის, სოფლად თუ სოფლის ვარეთ. აქა-  
ური მეურნის სიტყვით:

სოფლად გარემო ვენახია, ანუ შიგნი ვენახი;

სოფლის ზემოთ — წვერზე ვენახი, ანუ გორი ვენახი;



სოფლის ბოლოზე — ძირივენახი, ანუ ბოლოვენახი;

სოფლის გერღლზე — განი ვენახი;

ფერდობზე — ფერდი ვენახი;

მდინარისპირად — ჭალივენახი, ანუ ვაკევენახია...

აქაური ვენახიც სამედოლა შეკრულ-შემოკავებული მესერით, ხიმით, შეკრისა თუ კოპიტის, თუთის, აკაციის ან ტირიფის ხეების ცოცხალი ლობით.

თანამედროვე მავთულიან ვენახს ლიხთიმერეთშიც მოუკიდია ფეხი, მაგრამ არც ტრადიციული მოსარული მიმულია იშვიათი. ქველებური სახნავი ვენახი მწყრივზე, წყაპზეა დარგული. ადვილად გაივლი წყაპებს შორის: აქ ფართე გასასვლელი, შავია და ტოვებული. სათოხაზ წყაპის ვენახში კი „ხარი არ შეიყვანება“. აქა-იქ შემოჩენილია ძველთაველი, „რეული“ ვენახიც. აქ ვაზები էშირადა დარგული, „ხარი სართანა მისული“. ეს ვენახიც ოხით მუშავდება.

ვენახებში ხშირადა ხებილი. ვახუშტი ბაგრატიონიც ხომ მიუთითებს იმერეთის ვენახებთან დაკავშირებით „ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი“... „ხურმა, წაბლი და ვაშლა-ატამი ქართლზედ მეტი“.

აქაური ვენახ-მამულის ერთი თავისებურება მოგხვდებათ თვალში: ვაზის მწყრივებს შორის, ჩვეულებრივ, სიმინდი აქოჩილა. ზოგჯერ ვაზის ძირებში ლობით ან ძაბაც თესია.

ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით, იმერული ვენახის მახლობლად ვერ ნახავთ საჩწავად განკუთვნილ რუებს, ამ მხარის ტენიანი ჰავა, ზამთარ-ზაფხულ ნალექების სიუცვე დაიხაც უზრუნველყოფს ბალ-ვენახებს საჭირო წყლით. მხოლოდ ვენახის წამლობა მოითხოვს აქ სახარჯო წყალს. ამიტომაც არის, რომ სახლ-კარს მოშორებით გაშენებულ ვენახს ხშირად იქვე ღელი ჩამოუდის.

მთიან მხარეებში, მეტადრე კი რაჭაში ვენახ-მამულს ციცაბო ფერდობებზეც დაინახავთ. თითქმის დაკიდებულ მთის კალთებზე მიწის დასაკავებლად ვენახებში მოელ სიგრძეზე ქვის ყორეები ამოუშენებიათ. დარყეული მიწა გრძელ-გრძელი მორებითაც არის გამაგრებული. წვიმებით დახრამულ მამულში კი ხრამის სათავე და კალაპოტი სარებით დამაგრებული წალმის ან ხის ნაკაფის ჯარჯებით ამოუსიათ.

ზოგან ვენახი „სალვარეებითაა დასარტყლული“: ავდარში მოვარდნილ ნიაღვარს მიწაში ღრმად გაჭრილ კვლებში აქვს სადინარი.

დამეწყრილ აღგილებში სწრაფად მზარდი ხეები — ტირიფი, ვერხვი,


თხმელა ან ალვის ხე, ხოლო დიდი ხრამების ნაპირებში — თხილის და შევიზრის  
კვიდილისა და კვრიჩხის ეკლოვანი ბუჩქნარია დარგული.

ხმირად ვენახი ტყეს ემეზობლება. ტყის სიახლოვე მრავალმხრივობით უსაფრა  
კეთო მამულისათვის. ტყე მას ნიაღრისაგან, ქარებისაგან იცავს. უკრძალებული  
მოქცეული ტყიდან ჩამონაერონ წყალს „სისუქნე“ ჩამოაქვს, ნიაღაგს ანოივ-  
რებს ვენახში. სასარე, სახარდნე ხეებიც ხომ ულვერა ტყეში...

მაგრამ ტყისპირა ვენახი ტყის მრავალრიცხოვან ბინადართაგან დაცვასაც  
საჭიროებს.

ფრინველების დასაცროთხობადა ვენახის კიდეზე აღმართული კაცის  
მსგავსი „საშინობელა“, მოკლული ქორით, თუ ჩიტით ხელში, ანდა მაღალ სა-  
რებზე ჩამოვიდებული აყიროები, ქათმის ან ინდაურის ფრთებით შემკული. ნია-  
ვის ქროლვაზე აყირო წილმა-უკულმა ბრუნავს და აკრთობს ფრთოსნებს.

წყლისპირა ვენახებთან აქაიქ კიდევ შეხვდებით „სარაზნის“, ანუ „და-  
თვის საშინობელას“. ეს გონებამახვილური ხელსაწყო ხისგანაა გაკეთებული.  
მიწაში დასობილ ორ მანქოში (პალოში) გაყრილია ბორბლიანი ლერძი, რომელ-  
საც გაგრძელებაზე „მკლავი“ აქვს დამაგრებული, თავზე ხის მოძრავი უზროთი.  
საშინობელა ხის ღარის ცხვირთანაა გამართული. ღარზე გადმომჩენელარე წყალი  
ბორბალს აბრუნებს, გრძელი მკლავი მასიურ უროს, კვეუოს, მის კვეშ მოთავსე-



ბულ რიყის ქვეს ან ხის ნამორს (ბაკონს) დროდაღრო მძლავრად ურტყაშს და  
იქცურობას ხმაურით აყრუებს.

იმერეთსა და ლეჩხეუმში დაბლარ ვენახს თუ ყანას ზოგჯერ ზემოადგი მუდანობა  
ცეკვის ვაზები, რომელთაც მსხვილი და შალალი ხის საყრდენი უსვიაზ უსლის მიზანის  
ნარია, ანუ ხარდნის ვენახი. ოლიხი, ხარდნი, ჩვეულებრივ, კაპებიანია.  
ზოგჯერ მათ მაგივრობას ეწევა ტანდაბალი ცაცხალი ხეები საგანგებოდ წაქ-  
რილი, „გადაბელილი“ ტოტებით.

დაბლართან შედარებით ოლიხნარი უფრო თხელი ვენახია, ვაზის თითოეულ  
ძის მეტი კალო აქვს დატოვებული. ოლიხნარი ზოგჯერ მწყრიცხეა, წყაპზეა,  
დარგული, ხან კი — არეულად, „უაკარგოდ“. ოლიხნარად მხოლოდ ზოგი  
ჯიშის ყურძეს აშენებენ.

იმერეთისა და გურია-სამეგრელოს სოფლებში იშვიათია კარმიდამ, რომ  
თითო-ოროლა მაღლარი ვაზი არ მოგხვდეს თვალში. ხეებზე, უმთავრესად, გა-  
შვებულია უცხოური იზაბელა, „ადესა“, იშვიათად, ძველებური აღილობრივი  
შალლარის ჭიშებიც გმორეჩეა. მთის სოფლებში ზოგჯერ ათეულობით დაითვ-  
ლება ეზო-გარემოში მაღლარი ვაზი. მათ ცოცხალი საყრდენი თხმელის, ხურ-  
მის, ან ვაშლის ხეა. ამ ხეებს ტოტები თხლადა აქვს, ზედ უაეთ მწიფდება ნა-  
ალებ დაჩრდილული ყურძენი.


მოხუცებს ჭერაც ახსოვთ უწინდელი მაღლარობა. ტყეს მიაგვდა ეზო-გა-  
რემოსა თუ მინდერად ჩარიგებული ხეები ზედ მიშვებული ვაზით. თხლად  
დარგული ხეების ქვეშ ზოგჯერ ღომის ან სიმინდის ყანა ბიბინებდა. მაღლარი  
ვაზი, დობილო, ხშირად მოსდებოდა დაბალ აღგილებს, მდინარის პირებს. ამ  
აღგილებს დღესაც „დღილოების“ სახელით მოიხსენიებენ, თუმცა კარგა ხა-  
ნია, რაც იქ ვაზი გადაშენდა.

თუ ქართლ-კახეთის მიწა-წყალი ძელთაგან დაბლარი მევენახეობის სამ-  
კვიდრებელს წარმოადგენდა, დასავლეთ საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის  
შუახანებამდე მაღლარი ვენახი იყო გაბატონებული.

„აქ კველებან მაღლარს აშენებენ და უკანასნელ ხანებამდე არ ყოფილა  
შემთხვევა არც ერთი ქცევა დაბლარის ვაშენებისა“, — აღნიშნულია გურია-  
სამეგრელოს შესახებ აგრძნომაულ ნარკეებში. რომელიც დაახლოებით ერთა  
საუკუნის წინ არის დაწერილი, იქვე ამის მიზეზიც არის ახსნილი, „სამეგრელო-  
ში, ისევე, როგორც ქუთაისის გუბერნიის უდიდეს ნაწილში, ხეზე შეშვებული  
ვაზი უკეთეს ღვინოს იძლევა, ვიდრე... დაბლარი... ეინაიდან ნიადაგი ქალზე ნეს-  
ტიანია და რაც უფრო დაშორებულია მისგან ყურძნის მტევნები, მთ უკეთეს-  
დ მწიფდებიან ისინი“.

ლიხთომერეთში მხოლოდ ზოგან პოვებდა დაბლირი ვენახი ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს. იმერეთის ზოგ მხარეში, როგორც ვახუშტი ბაგრატიშვილი გეოგრაფიული თხზულებიდან ვიცით, ჭერ კიდევ მეთვრამეტი ათასი უკურნეში უშირი იყო „ვენახნი დაბლარნი“. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, გასული საუკუნის შუახანებისათვის ლეჩეუმშიც მაღლართან ერთად ნაწილობრივ დაბლარსაც აშენებდნენ. დაბლარი მევენახობა მეტადრე რაჭაში პოვებდა გასაქანს, სადაც უკანასკნელი საუკუნეებისათვის მაღლარი ვენახის კვალიც არა ჩანს.

ლიხთომერეთში მაღლარ მევენახობას გასული საუკუნის შუახანებიდან ვაჩის სოკოვანი დაავადებების გავრცელებამ მოულო ბოლო. მეტად ჭირდა უზარმაზარ ხეებზე ვაზების „აქიმობა“. აქაური მეურნე იძულებული იყო დაბლარ ვენახს მოპეიდებოდა. დროთა განმვლობაში ტუებიც გაიკაფა, პავის ტენიანობამაც იყლო. ამიტომაც იყო, რომ თანდათან ვაჩეხეს მაღლარი ვენახიდა მის ნაცვლად გურია-სამეგრელოსა, თუ იმერეთის სერებს ტანმორჩილი სელნაშენი შეეფინა.





## ვაზო, შვილივით ნაზარდო

უხსოვარი ღრმილიან ვაზი მევენახეთა თაობების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო. საუკუნეთა მანძილზე ქართველი მეურნე ზეღმიწევნით გაეცნო ძვირფას მცენარეს, მის ანატომიურ თავისებურებებში გაერკვა. ბუნებრივია, ეს ცოდნა მევენახე ხალხის ენაში აღიბეჭდი.

ივ. გავახიშვილის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ აღნიშნულია: „ვაზის წესიერ მოვლისა და მეცნიერებლის მცოდნეობის თანდათანი შემუშავების პროცესში გამოიჩინა, რომ ვაზის ყოველ ნაწილს თანაბარი მნიშვნელობა არა აქვა, არამედ, რომ ბუნებისაგან ზოგ მათგანს მთვარი, ზოგს კიდევ მეორეხარისხოვანი, ანდა დამხმარე მნიშვნელობა ქქონია მიყუთნებული. ამ ნაწილების ერთ-მანეთისაგან გასარჩევად ვაზის ლერწის ყოველ მნიშვნელოვან ნაწილს თავისი სახელი დაერქვა“.

როგორც ივ. გავახიშვილმა გამოარკვია, ძველი ქართული მწერლობის ქეგლებს ვაზთალწერილობის მდიდარი ტერმინოლოგია შემოუნახავს. უკვე ბიბლიის უძველეს თარგმანებში მოიხსენიება ვაზის ცალკეულ ნაწილთა აღმნიშვნელი სახელები: რქა და ლერწი, ტევანი და ყურძენი, კუფხალი და მარტული.... ეს სახელები მკვდევარმა ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ქართული ენის უძველეს კუთვნილებად აღიარა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა მეტყველება იცნობს შდიდაზ  
ტერმინოლოგიას, რომელიც ვაზთმცოდნებობს სანგრძლივ ტრადიციას გამოყენების  
სახის მიუღია.

თ, როგორ აგვიწერს ვაზ-ყურძენს კახელი მეექნახე:

ვაზს მიწაში ძირი და მისგან ვანტორებული ფერს, ძირკვები იქვე მოქაუ-  
ული ძირკვები უწვრილესი „ბუსუსებით“ ბოლოვდება. მიწის ზემოთ ვაზის  
გამსხვილებული ტანი, დედა. ნამყენი ვაზის  
ტანი „ქუსლიანია“ და „მუხლებიანი“, ძეელე-  
ბურ ვაზს კი ტანზე მხოლოდ მუხლები ანუ  
განახლების ადგილები — მცენარის ხნოვანე-  
ბის განმასზღვრელი ნაზარდები მოეპოვება.  
ვაზის დედას „ძეელიანი“, „წელი“ მოსდევს.  
ძეელიანი რამდენიმეწლიანი, „ვაზევებული  
ლერწია“. დროთა განმავლობაში, თუ ვარე-  
დან შავი კანი ვაიკეთა, „დედალ“ ვადაიქცევა.  
ძეელიანს მაღლა სანაყოფე რქები იწყება. ვა-  
ზაფხულზე, როგორც კი ვაზი ვაიღიძებს,  
ძეელიანის კვირტებიდან ნორჩი ყლორტი  
ამოხეთქავს, ზაფხულში ვათამამდება, დამს-  
ვილდება, დაიმუხლება, შემოღვომაზე „შემო-  
ვა“ და რქებად ვადაიქცევა.

ვაზს უსარგებლო ყლორტებიც ვამოქვეს.  
მიწის პირად ვაზის ტანზე ნშირად „ბღალა“  
ანუ „არამი“ ამოყრის, წელზე ნამხრევი, ანუ  
ნამქერევი ამოხეთქავს, რქესა და ფოთოლს  
შორის კ სუსტი ყლორტი, „რქის რქა“ წამო-  
იზრდება.

გაზაფხულზე ვაზის სანაყოფე რქებზე  
კვირტი დაძვრება, მაღლე პატარა ყლორტი  
ვამხეთქავს, რამდენიმე დღეში ვენახი დაიყ-  
ლორტება. ყლორტს წვერში საყურძნე და სა-  
ფოთლე დააჩნდება, თანდათან ვათამამდება,  
კანი ვაუმაგრდება, ფოთოლი დაუმსხვილდება,  
მუხლის მოპირდაპირე მხარეს ვამოსული  
მწკალით, ულვაშით, ჭიგოს მოეჭიდება.



სანაყოფე ყლორტებს თავიდანვე შეეტყობა ყურძნიანობა, ნორჩ მტკვანი, ყურძნის გამოიჩენს ვაზი. მტევანი გაიშლება და უკვე ყვავილში განიხულდება, ვილცვენის, ყვავილიან გამოსვლის შემდეგ მარცვლებზე ქრეპი გარდა მტევან დაიხორბლება, შემდეგ „დაბრუნდება თავევე“ ყურძენი და დამსხვილდება — დასრუმდება, დაბოლოს შეთვალდება და დამწიფდება, მოიწევა ყურძენი.

ყურძნის მტევანი რქაზე ყუნწით არის გამობმული. მტევანი ჰატარა შტოელ, სამ-ოთხ მარცვლიან კიწებად იყოფა. ზოგჯერ მტევნის ზემოდან ყურძენზე გაცალევებით რამდენიმე მარცვლინი მხარი ანუ კუფხალი გამოებმება.

ყურძნის მარცვალს გარედან „ქრეპი“ აკრავს. მის შიგნით ხორცია „ლეშკი“, რომლის შუაგულში ყურძნის თესლი, „კურკა“ არის მოქცეული. ყურძნის წვენი კანსა და ლეშკს შორის არის უშეტესწილად, ნაწილობრივ ლეშკშიაც გამჭდარია.

ვინ მოსთვლის, ვაზ-ყურძნის კიდევ რამდენ ნიშან-თავისებურებას დაგვისახელებს კახელი მეურნე.

ქართველი მევნენა ვაზის ბუნებასა და ხასიათს, მის ცალკეულ ნაწილთა დანიშნულებასაც კარგად იცნობს. ეს მრავალმხრივი ცოდნა დასდებია საფუველი ვაზის დაბლარ კულტურას და მისი მოვლა-მოშენების ტრადიციულ წესებს, რომელიც ოღონისავლეთ და დასავლეთ საქართველოს კუთხეებში მეტნაკლებად დღემდე შემონახულა...

მამაპატურმა „ჭიგვიანმა ვენახმა“ მცირედად მოაღწია კახეთში, მისი მოვლა-მოშენების წესებიც ვერ გადაურჩა საგრძნობ სიახლეს. ათეული წლებია, რაც კახელი მეურნე მავთულზე გამართულ ვენას მოეკიდა და მევნენახეობის თანამედროვე აგრძელების ეზიარა. მაგრამ მოხუცი მევნენასი სხოვნაში ჭერაც არ წაშლილა არცოუ შორეული წარსულის სამეურნეო ცხოვრების სურათები...

გვარი შემოდგომაა. კახური სოფლის ბოლოზე ახალ ვენას „აშენებენ“. გამოცდილმა მეურნემ წინდაწინ შეიგულა ეს სავენახე აღგილი. არა ერთხელ დაირა სოფლის ბოლო, ვიდრე ყოველმხრივ შესაფერის „სავენახეს“ შეარჩევდა. მისი აღგილმდებარეობაც გაითვალისწინა, მიწის ავ-კარგსაც ჩაუკვირდა.

სავენახე აღგილი სხვა ვენახ-მამულებს ემეზობლება, სოფლის ვენახების ზოლში მოქცეულს თვალ-ყური არ მოაკლდება. მას საურმე ან სახარე გზაც უდგება. სავენახედ განკუთვნილი ადგილი სხვა მხრივაც არის „მოხდენილი“. სავენახე მზვარეშია, მზეს მიიფიცხებულ სამხრეთის ფერდობზე. ვაზის, მზის შვილს, აქ დილიდან საღამომდე არ მოაკლდება მისი სხივი. ამ მყუდრო მზვარეში მომავალ ვენას ცივი ქარი ვერ მიუდგება. მას არც ავდარში მოვარდნილი ნიალ-

ვართ ემუქტება, ზომიერად დაქანებულ ფერდობს ვერ ჩამორეცხავს დროთა განმავლობაში, ჯანს ვერ გააცლის მამულში მიწას.

სავენახეზე არც მიწას დაფდება წუნი. უქვთა, საბარ-სათოხნად შეღავათის ანი, რაც მთავარია, ჯანლონიერი: ოლონდ ხელი ნუ მოაკლდება მამულს და აუდასვენებულ, ყამირ მიწაში „ჭიბულსავით რქას ვაიტანს ვაზი“.

მეურნეგა წინდწინვე გაშმინდა ვენახ-მამულისათვის განკუთვნილი მინდორი: ბუჩქარი საგულდაგულოდ გაჯაგა, ქვა-ლოდიც მოაშორა.

მას ახალი მამულის გაშენებაში მეზობელ-მოკეთები ეშველებიან ნაცვალ-გარდად, მარტოხელა კაცი ძნელად აუვა შარების გაჭრას, ასობით რქა-ლერწის დარგვა-ჩაყრას.

ძეველთაგან ნაცადი წესის თანახმად, სავენახე ჭერ უნდა დაიშაროს: მიწა-ში შარები, გრძელ-გრძელი არხები უნდა გაიჭრას. ამ შარებში ჩაირგვება ვაზის ლერწი.

მიწას ბარით ჭრიან, ქვიან ადგილებში წერაქვსაც იშველიებენ. ზოგი მიწას თხრის, სხევები კი მოჭრილ მიწას ურთ მხარეს მიყრიან. სავენახე დაქანებით, „მზის ბართდაპირ“ იშარება. ამგვარად გაშენებულ ვენახს მზის სხივი არ მოაკლდება, საშამულე რქა კარგად შემოვა, უურძენიც კარგად დამკრახდება.

აი, დაშარეს სავენახე. ყოველი შარის სიგანე ხურ მტკაველს აღწევს, სიღრმით კი ორ „ბარისბარზე“, მუხლამდეა გაჭრილი თხრილები. მიწაში ღრმად დარგულმა რქამ „მამლის ყივილა არ უნდა ვაიგონოს“.

დასარგავი რქა-ლერწი გასხვლის ღრმის აქტრა ძეველ მამულში. საგულდა-გულოდ შერჩეული ღონიერი, თარამი ღერწი ზვიდ-რვა კვირტზეა დაყენებული, გადაჭრილი. შარებში ერთ რიგზე მიყოლებით, წყვილ-წყვილად რგავენ რქებს. ორი რქიდან ერთი მანც გაიხარებს, არც ადგილი გაცდება, არც შრომა ჩაივლის უქმად. ერთონ შარებში რქებს არიგებენ, მეორენი კი მათ „აწესრიგებენ“ და მიწას აყრიან ზემოდინ.

შარები შუამდე ისევ მიწით ამოიგოს და დაიტეპნა. მათ ზედაპირზე მიწას პატარა კოკოლები ჩამწკრივებულა. კოკოლებში რქის ორ-ორი ზედა კვირტია მოქცეული. ეს სამამულე, გასახარებელი კვირტებია. ამ კვირტებიდან ლერწი გაისისათვის ყლორტებს გაიკეთებს, მიწაში ღრმად დარჩენილი კვირტები კი ფესვებს გაიღვამს...

ახალშენის მწერივებს შორის საქმაო მანძილია: ორ ადლს აღწევს „უღელი“. გადაწევენილი ვაზის რქებიდან მომავალში აქაც ვაზები წამოიზრდება და ვენა-ხიც გახშირდება, თანდათან „სიმართლეში მოვა“.

ახალშენს პირველივე წლიდან „ერთგულად შეიმუშავებს“ შევენახე. გაზა-

ფხულზე, როგორც კი კვირტი გაიღვიძებს, თოხით კვირტებს კოკოლებს შემთაცლის. მიწის კოკოლი ზამთარმი ყინვისაგან იცავდა კვირტებს, ახლა კი აუერხებს მოზარდი ლერწის გახარებას; ლერწს „შვალებს“, „უჭერს“ ურთისესულები

თუ წამოწვიმა, მერე მშემ დახედა ვენახს და მიწას პირა შეუძლებელი კვლავ მიხედავს ახალშენს, თოხით მიწას გაუფხვირებს კვირტებს.

თოხითვე ებრძეის მთელი წლის მანძილზე ვენახში ბალახს, როგორც კი აბალაზდება მიწა, მაშინვე გამარგლავს ვაზის ძირებს, არ დაცლის, რომ ბალახმა ნორჩი ვაზი „შეტუსოს“ და „მიწა შეუჭამოს“. არც სარეველას გააჭაპანებს ვენახში. გამოჩნდება თუ არა ძურწა ბალახი, სათითაოდ გამარგლავს ხელით.

წამოზრდილ, დაყლორტილ ვაზს საგულდაგულოდ გაფურჩინან — მოშორებენ ზედმეტ ყლორტებს, ნაკვრევებს, ლერწს ძალას რომ აცლიან.

სარწყავში ახალშენი პირველსავე წელს მოირწყვება. ორჯერ მაინც მიუშვებენ რუდან ბავის კვლებში წყალს, რომ კიდევ უფრო გათამადეს, ზრდაში წავიდეს ნორჩი ვაზი.

შემოდგომაზე, წლის ვენახს, გახარებული ორი რქიდან ზედა წაეჭრება, რომ დაბრუნდეს, დასქელდეს ვაზი.

პირველსავე წელს შეილობება ბაგა-ახალშენი. თავდაპირველად ფიჩის ან ლატინის სახელდახელო ლობეც იყმარებს, მომავალში კი უფრო საიმედო და მკვიდრ წერულ ლობეს შემოვლებენ ვენახს.

იზრდება ვენახი, სამუშაოც ემატება მის პატრონს. მეორე წელში გადამდგარი ვენახი უკვე შეისარება: სუსტი, „ღრანცალა“ ვაზებს პატარა ჭიგო შეედგება, სიმაღლეში წასული ლერწი კიდეც აიხვევა, რქებით ჭიგოზე აიკვრება. მესამე წელს ვაზებს „დატუნევა“, ორ-სამ კვირტზე გასხვლა მოუწევს. გასხლული ვაზი რქებს გაიტანს და ვენახს გადაწევნის დროც მოუვა.


სამწლიანი ვენახი საწვენი ვენახია. უკვე თითო-ოროლა მტევანს გამოიტანს ვაზი.

ხუთი-ექვსი წლის ვენახი უკვე დავაუკაცებული მუშა ვენახია, ანუ საკრეფი მამული.

აბა ახლა იყითხეთ მევენახის შრომა, ამ დავაუკაცებული ვაზების მოვლა—„დახელვა“: გასხვლა-შეყველვა, გაფურჩივნა-ახვევა, შესარვა-დაკავება, გადაწენა-გადამუხველა, ბარეა და თოხნა, მორწყვა და გაპატივება...

ამ სამუშაოთა შორის უმთავრესი ვაზების გასხვლაა.

გასხვლა ვაზის ნაყოფიერების გამაღილებელი და ლირსების გამაუმჯობესებელი უმნიშვნელოვანების ღონეობაა. ინტენსიური მეურნეობის წარმოება მევენახების მიერთაში არსებითად ვაზის დაბლარი კულტურისა და გასხვლის შემოლების



შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი. ხანგრძლივი გამოცდი-  
ლება, მარჯვე ხელი და უტყუარი ალო მართებს ვენა-  
ხის მსხველელს. ვენახ-მამულს წლების მანძილზე ერთი  
და იგივე ხელი სხლავდა. თუ მეურნე ვენახის დანარჩე-  
ნი სამუშაოების დროს ხშირად სხვებსაც იშველიებდა,  
სხვლაში „ხელის არეას“ ერიდებოდა.

ორი-სამი ათეული წელია, რაც თანამედროვე „სე-  
კატორმა“ ხმარებიდან განდევნა მამაპაპური სავაზე.  
კახეთის სოფულებში ახლაც ვააჩვენებენ „ვაზის მაკრატ-  
ლის“ წინმორბედს. ესაა ნამდის სებურად მოხრილი,  
„მოქანდული“ რკინის დანა, ხის მოკლე ტარით. სავაზე  
აღვილობრივი მჭედლების ნახელავია.

ვენახი მეტწილად შემოღომაზე ისხველებოდა. იქ,  
სადაც ვაზის ზამთრის ყინვა ემუქრებოდა, ხშირად ვაზა-  
ფხულზე მიადგებოდნენ ვენახს გასასხლავად.

ჩამოუკლის სათითაოდ ვაზებს მსხველი მოხრილი  
სავაზით ხელში. თვალის ერთი გადავლებით ვაარჩევს  
ვაზზე სუსტსა და ღონიერ თამამ რქებს. დანის ქვემოდან  
ამოსმით ვაზს ძირში აცლის სუსტ რქებს, ერთს ან ორ  
ღონიერ რქეს შეიღ-რვა კვირტზე გადაჭრის, ერთსაც ორ  
კვირტზე დააყენებს. გრძლად დაყენებული რქა სანა-  
ყოფე ანუ საყურჩნეა — ის იმავე წელს საყურჩნე რქებს  
დამოიტანს, ხოლო ორ კვირტზე გადაჭრილი ნეკი; ანუ სამაშულე — ვენახის მო-  
მავალია, საგაისაღ მასზე შეიჩერება სანაყოფე და სამაშულე რქა.

გასხვლის ამ წესმა თანამედროვე აგრონომული მეცნიერების მოწონებაც  
დაიმსახურა, ამიტომაცა, რომ ქართველი მეურნე დღემდე მისი ერთგული  
რჩება...


შესაბრალისია გასხლული ვენახი: რქებდაჭრილი, ფოთოლშემოცლილი,  
ტრირალი კვირტებით...

მაგრამ დაცალეთ მევენახეს...

ზზრუნველი ხელი მალე დაავევებს და შეყელაც გასხლულ ვაზებს...

ქალებმა ვაზის ნასხლავი-წალამი აკრიფეს ვენახში და მყელავიც შეუდგა  
თავის საქმეს. ამოკალთავებული წინსაფარი ზომაზე დაჭრილი, წყალში დამბა-  
ლი საყელავით — სვის წელით ან კკელის კანით, ხარალით აუგსია. საყე-  
ლავით ჭერ ვაზს ჭიგოზე შიაბაშს. ამის შემდეგ გრძლად დაყენებულ სანაყოფე

რქის ძირში დააკავებს, მერე რქის ფრთხილად მოხრის: რქის ძირშიწავლებულ  
მარჯვენა ხელს ზემოდნ რქაზე ჩამოაცურებს, თანდათან ხელში გამოატარებს  
რქის კვირტებსა და მუხლებს, თანაც მარცხენა მუხლით ვაზს აწვერს და მიმდინარე  
მოდრეკილ სანაყოფეს წვერით იქავე დააკავებს, სადაც მანამდე მისი ყულის მიმდე  
ვაზის შეყელვა, სანაყოფე რქის დაბლა რკალად გადმოხრა, მისი კვირტე-  
ბის თანაბრად ზრდა-გახარებას უზრუნველყოთ. გარდა ამისა, ამგვარად დაკა-  
ვებული „ხელფეხშეკრული“ ვაზი არც მიწაზე გა-  
ირთმება და არც ქარი შეაწუხებს მომეტებით.



მთელი წლის მანძილზე ვაზები ორჯერ-სამჯერ  
იფურტჩენებოდა. მაისში ვაზის ტანზე, ძველიანზე  
ამოყრილ არა მო ტოტებს გააცლიდნენ, ულორტის  
ძირში გამოტანილ რქის-რქასაც მოაშორებდნენ.  
ფოთლებით, ნამკვრევებით გაბურულ ვენას ივნის-  
ში მეორედ გაფურჩხდნენ; აგვისტოში ზედმეტ  
ფოთლებს გააცლიდნენ... ამ დროისათვის სიმაღ-  
ლეში წასულ ვაზებს ხელით ან დანით თავს, კენ-  
ჭერისაც წატეხსდნენ...

გაფურჩხნას ორმაგი სიეთე მოაქვს ვაზისთ-  
ვის: ზედმეტი ტოტების გაცლა ვაზის რქების გა-  
ლადება-ვთამამებას უწყობს ხელს. გარდა ამისა,  
გაფურჩხნილ ვაზებს ჰერი უკეთ გაცვლის, შეც  
კარგად დახედავს. ამის წყალობით კი „ყურძნი  
კარგიდ მოწევა, რქა კარგად შემოვა“.

გაფურჩხნას ახვევა მოსდევს. მას შემდეგ, რაც  
ვაზებს სათითაოდ გააცლიდნენ ნამკვრევებს,  
უყურძნო რქებსა და ფოთლებს, მის უყრძნიან  
რქებს საყელავით ჰიგოს მიამაგრებდნენ; ვაზის  
ტოტებს ფრთხილად, ზედმეტი ფათურის გარეშე  
ახვევდნენ, რომ არ დაეცეილიყო. ზოგი რქა ერთ-  
გან დამაგრდებოდა, გრძელი რქები კი ორ-სა და-  
გილას აიხვეოდა. ახვეულ რქებს ქარი ველარ შეა-  
წუხებდა, ვერც გადატეხავდა.

ვენაზის ახვევის დროს იცოდნენ სიმღერა:

თარიმან, შენსა ვენასა  
ჭიგოს ჟეუდგამ მსხლისაო,  
რაც იშას ლვინო გამოვა,  
ჩემიც იყოს და სხეისო...



ვენახის გაშენების ტრადიციული წესი თანდათანობით ვაზების გადაწყვეტილი მის შეესხა-გახშირებას ითვალისწინებს.

ქა-იქ შემორჩენილ ტელებურ უმყობლე ვენახში ახლაც მიმართა გადაწყვეტილი გადაწყვენას. საწვენი ვაზის ძირში ჭერ არი, ანუ სამარხი გაუჩერება. მიწას ფრთხილად მოთხრიან, რომ დედანს არ შეურხიონ, არ გაუფუჭონ სამამულე ძირევი. როცა არხის სიღრმე დედანის ძირამდე დავა, სამარხის საგულდაგულო მობარავენ და მიგ აუჩქარებლად დედანს ჩააშვენენ. დედა-ვაზი წინდაწინ გასხლულია: ზედმეტი ლერწები გაცლილი ქევს, საწვენად დატოვებული სამიოთხი თამაში, ღონიერი რქა კი თ-თორმეტ კვირტე ქევს გადაწყრილი. ვაზს სამარხში მთელ სიგრძეზე ჩააშვენენ, გალაქცევენ. მის ერთ რქას უკან მოაბრუნებენ და იმავე ადგილას ამოაყოფინებენ თავს, საღაც ვაზის ძირია — „თავის ძირზე დააყვენებგა“. დანარჩენ რქებსაც საგანგებოდ გაჭრილ არხებში ჩატვენენ სასულველი მიმართულებით: მეორე რქას დაახლოებით არხის შუაზე მოუშვებენ, მესამეს — გვერდზე, „განზე ამოაყოფინებენ თავს, საღამილიაც გადასწოდება“. გადაწვენილ, გარდაფლულ რქებს ზემოდან მიწა წაუყრება და დაიტკებება. მიწის ზემოთ რქებს მხოლოდ თავები, თითო-თითო კვირტე უჩანთ. „რაც მიწაში კვირტები დაჲყვება, ის ფერსოდ გავა და, რაც მაღლა იქნება, ის ვაზად იმოეა“.

ვაზი, რაც უფრო მეტჯერ გადაწვება, მით უკეთესია: მიწაში უხეად გადგმული ფესვები ვაზს უკეთესად ასაზრდოებს, მიწილან მეტი ღალა გამოაქვს, ღონიერია და უხვმოსავლანი, „უბერებელიც“ არის და ღვინოსაც უკეთესს იძლევა.

ძველ ვენახში გადამხმარ, დაბერებულ ვაზს გადამუხველით აახლებდნენ. გასაახლებლად ვაზის ძირში, მიწის პირად ამოყრილ ნამხრევს გადაწვენდნენ საამისოდ მიწაში გაჭრილ არხში. ზოგჯერ, ამავე მიზნით, მეზობელი ვაზის შესაფერის რქას გადააწვენდნენ არხში, ამომხმარი, ბებერი ვაზის ნაცვლად ახალ ვაზს აღმოაცენებდნენ.

ვენახის უმთავრეს სამუშაოთა რიცხეს ჭიგოს შედგმა-ასარვაც განეკუთვნება. ვაზებს რამდენიმე წელიწადში უცვლილენ ხის საყრდენს. თუ მუხის სარი, მერქანი ხით წლამდე გაძლებს, ზოგი ხის საყრდენს ორ წელიწადში მოულპება ძირი.

ჭიგო-სარს კარგა ხნით აღრე აჭრიდნენ ტყეში. იქვე გასხეპილს, ზედმეტ ტოტებგაცლილს, ურმით, საკიღრით, თუ ზურგით შინ გადმოზიდავდნენ. ნედლ საყრდენს ვენახში ხის ტოტებზე გაალაგებდნენ, ზამთრის განმავლობაში გამოშებოდა, გამძლეობა მოემატებოდა. შესარვის წინ, ჭიგო-სარს ზომაზე წაჲრილს, მიწაში ადვილად ჩასაობად წვერს წაუწვეტავდნენ, ჩაუჩე-კავდნენ.

აგერ, ვენახში მამაკაცებმა ჭიგო შემოიტანეს მხრეულად. „მხარში“ ოცამ-დე ჭიგოა. წვერწამისული, დაჩეკილი ჭიგო ვენახში შემოფარიდება: ვაწებს სა-თითაოდ ჩამოურიგეს. შესარავაში მამაკაცებს ქალებიც ეხმაობიან. შეწა-ჭურჭლით წყალს ასხამენ: ჭიგოს მიწაში ღრმად ჩასობას უაღვილებები. ამგვა-რად დამბალ მიწაში ჩაჩეკილი წვერით ასობს მეენახე ჭიგოს. მას ორივე ხელი საყრდენის წელზე ჩაუჭიდია, თან მარჯვენა მუხლით აწვება ჭიგო-საჩს... ჩრდილოეთის მხრიდან შეუდგეს საჩი, რომ ვაზს მზე არ დაუჩრდილოს, ჭიგო ვაზის ძირთანაც მოზომილადა მომდგარი; ცერად წათლილი თავი კი გვერდზე აქვს გადაქეცეული: ზედ ფრინველი ფეხს ვეღარ მოიკიდებს, ვერც ჭიგოს მოარყევს, ვერც ტკბილ ნაყოფს დაადგამს თვალს...

ვენახი ვაზების მოვლა-დახელვასთან ერთად თოხნას, ბარვას, მორწყვასა და გაპატივებას საჭიროებს.

უმთავრესად თოხნით „კეთდება“ ვენახი. მისი შემწეობით ვენახში ბალახი ისპობა. ამას გარდა, თოხნით მიწა ნოყივრდება, ფეხივრდება, „ფუვდება“. მოთოხნილ მიწაში ვაზი უკეთ საზრდოობს, „სუნთქავს“. ვენახისათვის თოხნის მნიშვნელობა ლექსადაც არის ნათქვამი:

ვენახი კარგი იქნება თოხით ღრმად გათოხნილია,  
ყოველობის დატრენის დროსა მას ტევანი აქვს სხვილია...

ვენახის გათოხნა „საკაცო საქმეა“ და ღიდ გაფას მოითხოვს. ძველად თოხნაში ურთეორთდამარება იცოლნენ. ღიდი ზევარ-ვენახები შეზობელ-მო-კეთეთა შემწეობით ითოხებოდა.

დილიდანვე შეუდგებოდნენ თოხნას. მათ მესვეური — გამოცდილი მეთო-ხარი წინამდლოლობდა. ის თვალყურს ადევნებდა თოხნაში სვის სწორად გა-ტანას, მთოხნელებს ახალისიერდა, დროულად სიმღერასაც წამოწყებდა.

ვენახის თოხნის ტრადიციულ სურათს ხსლებური ლექსიც გვიხარება:

დავთოხნოთ, ძმებო, ვენახი, ლაშაზად შეკაშულია,  
ღრმადცაც ჩაუშეგათ თოხები, სიმღერები ვორვან ქმურაა,  
ჩქარი ეს სვე გაეიტანოთ, ბიჭებო, ლვინო მწყურია...

გათოხნა ძალასთან ერთად ცოდნასაც მოითხოვს. მთოხნავი პირადმა მი-ჰყვება ფერდობს. ვაზის ძირებს ფრთხილად აფხვიერებს. თანაზომიერად „ჭრის“ მიწას. მოჭრილ მიწაში მოყოლილ ბალას „აჩეხავს“ და ზემოდან იყრის ნათოხნს. მოჭრილ ბელტებს თანაბრად ანაწილებს შერებში, თოხითვე სწორებს მიწაზე თავის ნაფეხურებს. თანდათან, აბალახებული მიწა, გაბუ-რული ვაზის ძირები იფარება ლამაზი, თანაბრად დალაგებული ნათოხნით აჩეხილი, ამოგდებული ბალახი რომ აყრია ზემოდან...



არა მარტო თონით კეთდება ვენახი. რამდენიმე წელიწადში ერთხელ ვენახი დება, „უკან მიბრუნდება“. მიწა ბარვით უფრო ღრმად მუშავდომად უკრძალული ფხვირდება, ბალაზის ძეირკვებისგანაც უკეთ იწმინდება.

ბარვა თონაზე უფრო მეტ ჯაფას მოითხოვს. ძელთაგან კახეთში დიდი ვენახი ნაწილ-ნაწილ იბარებოდა. ჩშირად ერთ წელს ვენახის ერთ „ტახტს“ დაბარავდნენ, შემდეგში კი — მეორეს...

ბარვის დროსაც ბოლოოდან მიჰყებიან ვენახს, ასე უფრო მარჯვეა ფერ-დობზე ბარვი. მბარავი ნაკლებად ილლება, შედარებით წელგმართული ბელ-ტებსაც ნაბარში იოლად აწვენს, ისტრის. მიჰყება შარებს მბარავი, ორივე ხელი ბარის ტარისთვის ჩაუფლია. მიიტანს ბარის პირს მიწასთან, მარჯვენა ფეხით ბარის სატერფულს დაწვება. მოელი ძალით, ღრმად ჩაიყვანს ბარის პირს მიწაში, სატერფულიდან ფქსს ჩამოიღებს და ერთდროულად ბარის ტარს ბოლოზე დაწვება. და აი, უკვე ბარის პირზეა მოჭრილი ბელტი. ორივე ხელით ასწევს და ბარით გადააწვენს ბელტს: მარჯვედ ამოტრიალებული ბელტი ნაბარში პირალმა მიწვება, ერთომეორეს თანბრად, ლამაზად მიეწყობა...

თანაბარ სიმაღლეზე მოსულ ნაბარს მზის სხივებიც ერთნაირად დახედავს, ნალექებიც ზომიერად განაწილდება მიწაში...

კახეთის ზოგ მხარეში ძელთაგან ვენახის რწყვაც არის მიღებული. მრავალ სოფელს დღესაც ჩაუდის მდინარეებიდან, ხევისწყლებიდან გამოყენილი სარწყავი რუ-ნაკადული...

მეურნეს შეუმჩნეველი არ დარჩენია „ურწყავი ღვინის“ განსაკუთრებული ღირსება: „მოურწყავის ღვინო უფრო ღონიერიც არის და გამძლეც“, „პური და ღვინო გვალვისაო“. სამაგიეროდ, მორწყვა უც მოსავალს უზრუნველყოფს. ზოგ აღგილებში მოჭარებული გვალვა „ბრივობს“, „ჩაგრას“ ვაჩს. ზომიერად მორწყვა სასიკეთოა ვენახისათვის: მაინცდამაინც არც ლირსება აქლდება ყურძენს და მოსავალიც საიმედოა. „წყალი ვენახს თამამ რქას უზრდის, ფესვს უმაგრებს, კარგ მარცვალს აძლევს ყურძენს“.

კახეთში, ზოგან, სადაც წყალი უხვედაა, ყოველწლიურად სამ-ოთხერ რწყვება ვენახი. ერთსა და იმავე ღროს უნდა მორწყას ვენახი: „მიწამაც და ვენახმაც მიჩვევა იცის, თუ წყალი მოაკლდა, ნულარ ელოდები მოსავალს“. ზოგჯერ ვენახი მოტბორვით ირწყვება: რუდან მიშვებული წყალი მთლიანად დაფარავს ვენახ-მამულში მიწას. უფრო ხშირად კი წყალს კვლებში მიუშვებენ, „კვალდავალ მოფანტავენ“. წყალი გააუივებს მიწას, ზედ ნომიერ ნაშელაბდოს დატოვებს.

ვენახი მოზომვით ირწყვება. წყალი მოჭარებით არ უნდა მოუვიდეს

ვაზებს. მორწყვის დროს ვენახშე თვალყური უჭირავთ. ღამითაც უკიდულოებენ. დროულად დაწყვეტენ წყალს, რომ ,წყლით არ გაიბეროს ყურძენი.

რაც არ უნდა ღონიერი, მსუქანი იყოს მიწა ვენახში, რაც არ უნდა თოხნა-ბარვით კეთდებოდეს, წლების მანძილზე თანდათან მაინც ჭრი ფლიტება, იღლება, იფიტება. მოსაგალი თანდათან კლებულობს აბეჩარ ვენახში, თუმცა მისი ლეინო უმჯობესდება. მოლლილი მიწა პატივის დაყრას, დანაკელებას საჭიროებს.

შენ სასუქი მომიშვადე,  
თითო ჭინი, თითო ძირსა,  
ისეთ მტევანს გავიყეობ,  
არ ჩავიღეს გოდრის ვიჩსა...

ამბობს ხალხური ლექსი.

ვენას შვიდ წელიწადში ერთხელ მაინც აპატივებდნენ. მოწნული ჭინით ან გოდრით შეზიდავდნენ ვენახში ძეველ, დამშვარ ნაკელს და მთელ ვენახში თოხებით გაშლილდნენ. ზოგჯერ პატივს აქა-იქ ძირებში მოფანტავდნენ. შემდეგ კი წვიმის წყალი წაიღებდა, თანაბრად გაანაწილებდა ნოყირ სასუქს ვენახში...

რამდენად განსხვავებულია მაღლარი ვენახის მოვლა-მოშენების ტრადიციული წესები.

აი, მაგალითად, როგორ უვლილენ ძეველად მაღლარს გურია-სამეგრელში.

მაღლარი მამულის გასაშენებლად სავენახე ადგილს წილდაშინ შეარჩევდნენ. ვენახი, ჩვეულებრივ, მზისკენ მიწეულ მთის კალთებზე ან ზეგანზე შენდებოდა. სავენახეს წინასწარვე შემოკავებდნენ: მას ირგვლივ წნელის ღობე შემოერტყმებოდა ან თხრილი შემოევლებოდა, რომლის გაყოლებით იფნის ნერგებს ჩამუქრივებდნენ ცოცხალ ღობედ. ვაზაფხულის პირზე ვენახისიათვის განკუთვნილ ადგილს კავით გადახნავდნენ, ძნელად მისაღვომ ციცაბო ფერდობს კი გათოხნილდნენ. ნახნავ-ნათოხნში სიმინდს ან ღომს დათესდნენ: სავენახეს რამდენიმე წლით „ყანად აიღებდნენ“.

პირველავე წელს სავენახეზე ვაზებისათვის ცოცხალი საყრდენი გაშენდებოდა. გაზაფხულის პირზე უწესრიცვილ, ორეულად დაირგვებოდა მიწა-ში ამოთხრილ ორმობებში იფნის, ხურმის, თხმელის ნორჩი ხეები. ერთი-ორი წლის შემდეგ ტანაყრილ, გათამამებულ საყრდენს სათითაოდ მიურგავდნენ და ფესვიანებულ ვაზის რქებს და სვით, მუხის ან კაკლის წნელით აკრავდნენ.

ხშირად ტყეშიაც შენდებოდა ვენახი. მხოლოდ აქა-იქ გაიკაუჭებოდა ტყეში ზედმეტი ხე, ზოგან ახალიც ჩაემატებოდა, შემდევ კი სათითაოდ მიერგვებოდა ვაზები.

წლების მანძილზე თავის ნებაზე რჩებოდა ახალშენი, ვიღრე არ მომაგრუ დებოდა ვაზი და მისი ცოცხალი საყრდენი. არც ახვევას საჭიროებული შენში ვაზები და არც გაფურჩენას. მევენახის ერთადერთი საზრუნო საჭიროებულისაგან მამულის დაცვა იყო.

ზრდადასრულებული ვაზები სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ გრძელტარიანი წალდით, ბურჭულით ისხვლებოდა. გასხვლის დროს ჯერ ხის ტოტები გადაიბეჭებოდა, მერე კი ვაზებზე მიღვებოდა ჯერი: დედა ვაზის ტანს ხის სიმალლემდე დაამოკლებდნენ, ხოლო მის რქებს ზელმეტ და გამხმარ ლერწს წააპრიდნენ.


დროდადრო ვენახს ახშირებდნენ. საამისოდ წინდაწინვე გადააწვენდნენ, დაამაგინებდნენ ვაზს. გადასაწვენი ხის ძირში რამდენიმე არხი გაიჭრებოდა მიწაში და შიგ სათითაოდ ჩაწვენდნენ კანგაცლილ, დანით დასერილ რქებს. დამაგინებულ რქებს მიწაში ხის კავებით დაამაგრებდნენ და ზევიდან მიწას წააყრიდნენ. გადაწვენილი რქები საგაისოდ ფესვებს გაიღვამდა, რის შემდეგაც ახალ ადგილზე ახალი საყრდენი მიერგვებოდა.

როცა ვენახში ვაზი გადახმებოდა, მის გასაახლებლად მიწაში ამავე ვაზის რქებს გადააწვენდნენ. ერთ-ერთ მათგანს დაფუძნილი შემდეგ დედა-ვაზს შეუნაცვლებდნენ, დანარჩენ რქებს კი გადამხმარი ვაზების გასაახლებლად, ან ახალი მამულის გასაშენებლად გამოიყენებდნენ.

რამდენიმე წელიწადში ერთხელ მამულში ჭინით ნაკელს შეიტანდნენ, ნიჩბით ხეების ძირში გაანაწილებდნენ...

როგორც ვხედავთ, მალლარი ვენახი დაბლართან შეღარებით სავრჩნობლად ნაკლებ შრომასა და ზრუნვეს მოითხოვს. სწორედ ესა ძევთ მხელველობაში, როცა დასავლეთ საქართველოს ზოგ მხარეში მაღლარ ვენახს „უფაფური მამულის“ სახელით მოიხსენიებენ.





## ჩემი ხორგო და მარანი

ქვიტკირის ორსართულიანი სახლები წამოჭიმულა ქართლ-კახეთის სოფ-ლებში. მხოლოდ საცხოვრებლად როდია განკუთვნილი ეს მკვიდრი, უმეტეს-წილად ღიააიგნიანი ნაგებობანი. ზემოთ სამყოფი ოთახებია, დაბლა კი მარანია გამართული.

თვალში მოგვხვდება ფართო ფიცრული კარი მარნისა. წინა მხარეს ერთი-ორი ფანჯარაცაა დატანებული. მიწურ მარანში შესვლისთანავე იგრძნობ სი-გრილეს. კედლებში აქ-იქ თახჩებია, ხშირად განჭინაცაა გამართული. ზოგ მარანში უყინა კარიცა ეზოში, შინაგვნახში გასასვლელად.

ერთ-ერთ კედლელთან ყურძნის ფეხით დასაწური ხის ნავი გაშოლილა, ანდა ქვიტკირის საწნახელია მიშენებული. ნავ-საწნახლის შორიახლოს მიწაში ქვევ-რებია ჩაყრილი. ღვინის დასაუყენებლად და შესანახად განკუთვნილ თიხის შურპელს პირზე სიძი ქვის მრგვალი სარქველი აფარია.

კედლებთან, კოჭებზე, სკიდებზე, თხჩხა-განჭინაში გაწყობილია მეღვი-ნეობის ნაირგვარი იარაღ-ჟურპელი: სატკბილე ღარები, ხის ნიჩები, გრძელ-ტარიანი სარცხები და კრაზანის კონები, თიხისა და სპილენძის ხაპირები, სპი-ლენძის თუნგები და ხელჩაფები, თიხის დოქები და ხელადები, სპილენძის საწურავები, ძაბრები...

ქართლის მარნებში ხშირად ჭაჭის საწნეხი ხელსაწყო—საქაჯავიცაა გამარ-თული.

მარანში, ჩვეულებრივ, ჭირნახული და სურსათიც ინახება. აქ ნახავთ დეკორიან კასრებს, სიმინდითა და კარტოფილით სავსე გოდრებს, ყველის ტულებს, წნილიან კასრებსა და ქოცოებს, კედლებზე ხახვისა და ნივრის გარებრივიდა, განჯინის თაროებზე მურაბიანი ქილები ჩამუქრივებულა...

ხშირად აქვეა პურის საცხობის ხელსაწყო: ვარცლი, ტაბაკი, ორომი დეკორის და მარცვლეულის საწყაო-ლიტრიანი... კოჭებზე თოკებით ჩამობმულია საპურე თორნეში გამომცხვარი პურისათვის...

საჭმელ ყურძენსაც, ჩვეულებრივ, მარანში ინახავენ. შემოღომაზე, ნართვლებს, მარნის კედლებს და კოჭებს ყურძნის ჩხები და აკიდოები, კანაფზე ასხმული ჯაგნები დაამშვენება...



ქართლ-კახეთში აქა-იქ შემორჩენილია ძველებური ქვიტკირის მარანიც, ხალხური ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს რომ განასახიერებას. ტრადიციული მარანი, ჩვეულებრივ, მოზრდილი ნაგებობაა, მისი სიგრძე ზოგჯერ ათ მეტრს აღემატება. მარნებს თავდაპირველად მიწურ-ბანიანი სახურავი ჰქონია, გვიან კი ორფერდა სახურავი დაუშენებით.

თვალს იზიდავს მარნის კედლების ლამაზი წყობა, წინა მხრიდან კედლებში ჩაყოლებული აგურის ჭვრები და ზოლები, აგურით ამოყვანილი თაღოვანი შესასვლელი მუხის მასიური ორფრთიანი კარებით.

შიგნით კიდევ უფრო ატყვაია გამოცდილი ოსტატის ხელი მარჯვედ გამართულ მარანს. მას ორ ნაწილად ჰყოფს თაღებიანი კედელი ან ხის დედაბოძი ზედ დაბჯენილი გრძელი ბალიშით, რომელიც უხვადაა მოჩუქურთმებული. რანის მოზრდილ, წინა ნაწილში ქვევრები მარხია. ქვევრის პირი ირგვლივ:

აკურითაა გაწყობილი. ამგვარად მოპირკეთებულ ჭურჭელში ღვინო სუთაო ინახება. მარნის უკან ყურძნის დასაწური განცოფილებაა. აქ კედელთან მჟელ სივრძეშე მიშენებულია ქვიტეირის ორთვალიანი საწახელი სხვადასხვა ფერის ყურძნის დასაწურად განკუთვნილი. საწახელის წინ ქვიტეირისაგან დასადგმელად ქანია ყურძნიანი გოდრების დასადგმელად. წინიდან ბაქანში თიხის სატკბილე მილებს გამოიყენა თავები.

ზოგ მარანში ქვეერიდან ამოლებული ნარეცხი წყლის გადასაღვრელად კედელში თახჩა ჩატანებული, რომლის ფსკერზე გარეთ გამოყვანილი თიხის მილია ჩაღულაბებული.


მარნის კედლებში მოხდენილი სარქმლები და თახჩა-განკინებია დატანებული.

ძველ მარანში ხშირად სხეუნია გამართული. სხეუნში უმთავრესად ხილი და ბოსტნეული ინახება.

იშვიათად კახეთში ლექიანბის დროინდელი ქვიტეირის ციხე-მარანიც გვხვდება. დიდ მარანს გვერდიდან ეკვრის მაღალი, პირქუში ციხე-კოშკი სა-თოფურებითა და საბრძოლო ბაკანით.

არცო იშვიათი ისეთი ციხე-კოშკებიც. საღაც ქვედა სართული მთლიანად მარანს უკავია.

ქართლ-კახეთის ქველებური მარანი ღიღი მასშტაბის მეურნეობისათვისაა განკუთვნილი. ოსტატურად ნიგები მარანი ხალხური სურომოძღვრების საუცხოო ნიშუშში წარმოადგენს. მოხდენილად გაწყობილ-გამართული მარანი ძველთაგან მომდინარე ტრადიციით მამაკაცთა ღროს ტარების, ლხინის დაგილიც იყო. აღბათ ამიტომაა, რომ მარნის ერთ-ერთ კედელში, ჩვეულებრივ, ბუქარია ჩაშენებული.



აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად შემონახული და  
თაძეველი მარინის ნაშთებიც მოწმობს, რომ ქართლ-კახეთისათვის ტრადიციულია  
დანურული მარანი: აქ იწურება ყურძენი, აქვე დგება და ინახვის დროის  
ამგვარი მარანი კარგადა შეხამგებული აღმოსავლეთ საქრთველოში ჟურნალების  
პირობებს: მეცნიდრი შენობა ზამთარში ყინვისა, ხოლო ზაფხულში მოჭარბე-  
ბული სიცხის მავნე გავლენისაგან იფარავს ლეინოს.

შემთხვევითი როდია, რომ ლიხთიმერეთში, სადაც მკვეთრად განსხვავე-  
ბული ჰავაა, სულ სხვაგარად გამართული ცურ-მარანი გვხვდება.

ლამაზია იმერული კარმილამო: კონდარის მწვანე მოლი, ალაგ ხეხილი,  
ალაგ საჩრდილობელი ასწლოვანი ცაცხვები, მოხდენილი ოდა-სახლი, ბელელი  
და სასიმინდე, მარანი და ჭურისთავი...


შორიდანვე მოვახვდება თვალში მომალლო ადგილის, დასამხრისზე გა-  
მართული ცურ-მარანი. მისი ნახავა-გაცნობა ძნელად ასცდება სტუმარს: ურყე-  
ვი ტრადიციისამებრ მას ჭურისთავზე გამასპინძლება მოელის. იქნებ ამი-  
ტომაცაა ასე ლაზათიანად გაწყობილი ჭურების სამყოფი, ჩვეულებრივ, შექ-  
რის ღობით ანდა მესრით შემოკავებული. ღობის ძირის დარგული კომშის  
ხები, ერთმანეთზე გადაყვანილი ტრტებით, საკმაოდ ჩრდილავს ჭურისთავს.  
აქ კომშის ბუჩქნარი მრავალი ღორსების გამო დაკვიდრებულა: კომშის ხე  
სუფთაა, ჭიათ იშვიათად თუ გაჩენს, მიწაში ღრმად, წასული ამ ხის  
ფერები დაუკირავ ჭურებს გახვრეტით არ ემუქრება, სიმწარეს მოკლებული  
მისი ფოთოლი ჭურების თავის ფართვის მოსარეცხად მოიხმარება. კომშის  
ბუსუსებიანი ფოთოლი ლვინის ზედაპირზე მომდგარ ბრკის მოსაწმენდადაც გა-  
მოდგება. ჭურის კედლებს შეხეხილი კომში სასიმოვნო სუნს ანიჭებს ლეინოს.  
ესეც არ იყოს, მატრობის ღროს მწიფდება „ბია“. გემრიელია შუშეუნა მაჭარ-  
თან მწიფე კომში.

არც ვაზის ტალავერით დაჩრდილული ჭურისთავია იშვიათი ლიხთიმე-  
რეთში. მიწაში ჩასობილ ბოძებზე სიგრძივ და სიგანით ლარტყები, ონგალოე-  
ბია გადებული, ზედ ჭოკება „გაბანდული“, რომლებზედაც ვაზი მიუშვიათ.  
ვაზის გახშირებული რქები მულმივი ჩრდილით უზრუნველყოფს ჭურისთავს,  
ფუთობით სალვინ თუ საჭმელი, „საგობე“ ყურძენიც ჩამოდის ტალავერიდან.

მზრუნველ ხელს ღობის ძირის ზოგჯერ კოპწია ბროწეულის ბუჩქებიც  
დაურგავს. ხშირად ცალ მხარეს ღობისავე ძირში ხის გრძელი და დაბალი სკა-  
მია, მის წინ კი ქვის მრგვალი მაგიდა, „სუფრაა“ გამართული.

მხოლოდ ქა-იქ წაყრილი ფხვიერი მიწა მიგვანედრებს, რომ კომშის ხე-  
ებისა თუ ვაზის ტალავერის ჩრდილქეეშ სალვინ ჭურების სამყოფია.

დასავლეთ საქართველოს ჰავისა და ნიადაგის მოჭარბებული ტენიან-



ბითაა ნაკარნახევი ლია ცისქვეშ გამართული ჭურას-თავი. „გადახურულში“ ჭურების ჩაყრა საზღადო ლვინისათვის. მუდმივი „ჩერო“, უმზადებული დაცის“, შმორის სუნს მისცემს. ლია ჭურისათვეზე კი სასურელი სიმშრალეა: დილის მზე და ჩამავალი მზის „დალლილი“ სხივები უზდება ჭურებს. შუალლის „გახელებული“ მზისაგან კი ძალაურობას საჩრდილობელი ხები და ტალავერი იფარას. ჭურისათვის ზომიერი სიგრძლითაც უზრუნველყოფს ლვინის. ნიაერ და წვიმა ავრილებს ჭურისთავს: „სიგრილეში ინახავს ლვინის“.

ჩშირად აწვიმს ლია ჭურისთავს, გაზაფხულზე თოვლიც დააფნება, მაგრამ წყლის წყოთიც კი ვერ ჩაალწევს ლვინიან ჭურებში. აბა, დავაკვირდეთ, როგორ მოხადონ თავი ჭურს:

ჭერ თოხით ზემოდან ფეხიერ მიწას გადმოყრინ. მის ქვეშ „აყალო მიწა“ დატეპნილი, „დაკვერილი“. ხის პატარა ძელბარით აყალო მიწას მრგვალიად შემოჭრიან და ფრთხილად გვერდზე გადაწვენენ. მის ქვეშ კი ხის მრგვალი სარქველია, „ბადიმა“. პატარა ჭურის სარქველი მთლიანია, დიდ ჭურს კი შედგენილი — ორ-სამნიშვილიანი ბადიმი აფარა. როცა ბადიმსაც მოაშორებენ, ქვეერის პირზე დაფარებული ხის ქერქის „ოფიჭო“ გამოჩნდება...

ჭურისთავთან იქვე ხის ან ქვის მარანია გამართული.

ხის მარანი ჩშირად ფიცრულ ან ძელურ ნაგებობას წარმოადგნს. ფიცრული მარანის გამართვა ბოლო ხანებში დაუწყით. მამაპაპური ძელური მარანი, ფიცრულთან შედარებით, საგრძნობლად უფრო მკვიდრია და მოხდენილი. მისი კედლები მუხის ან წაბლის „გასაძლის“ საძირკველზეა ამოყვანილი. ორად გაპობილი მუხის მორის ძელები შიგნილან სწორია, „ფიცრული“, გარედან კი ლამაზად „გაკუთხულ-გასუული“. ხის კოტებით ერთმანეთზე მჭიდროდ დაშენებული ძელები კუთხეში ყელებით ერთურთზე საიმელოდაა გადაჭიდობილი. ზემოდან ხისავე სარტყლებით შეკრულ მარანის კედლებს კრამიტით ან ყაგრით გაწყობილი სახურავი ადგას. მარანს წინიდან, ჭურისთავის მხრიდან, საღა, ფიცრული კარი აქვს შებმული, ერთ-ერთ კედლებში კი პატარა სარქმელი — „სასინათლოა“ დატანებული. ზოგჯერ მარანს აქვს მეორე კარიც. ჭურისთავზე გაუვლელად აქედან ზურგით თუ ურმით შეზიდვენ მარანში ჭირნახულს.

არცოუ იშვიათია სამი მხრიდან დახურული, „პირლია“ მარანი: მას მხო-


ლოდ „ზურგი“ და ორი გვერდი აქვს, „წინ პირი ჭურებისაკენ ღიაა“. მართი  
ისეა დაღგმული, რომ „ქვენა ქარი არ ურტყამდეს წინა პირს, ზამთარში თუ გული  
მა არ აავსოს მარანი“. ამგვარი „პირლია“ მარანი მელვინეობის მრავალური ხელის  
ვა ხელსაწყო-იარალსაც იტევს და ჭურებთან მისაღვომადაც მოსახერ-  
ხებელია.

ზოგჯერ ჭურისთავს სახელდახელო ფარდული გადმოჰყურებს. მიწაში და-  
სობილ მუხის მსხვილ ბოძებს მხოლოდ ცალი მხრიდან „სანიავოდან“ თუ აქვს  
ლიამფა აკრული.

იქ, სადაც „ქვა უფრო ეშოვებოდათ“, ძელთაგან „ქვამარანი“ დამკვიდ-  
რებულა. ოთხივე გვერდიდან დახურულ ანდა სამკედლიან მარნებს ხშირად  
ზემოდან ორფერდად, „საბძლურად“ შეცურული ბელელი იდგას.

მკვიდრად ნაგებ ხის ინ ქვის მარნებში მელვინეობის მრავალფეროვან  
ჭურჭელ-არალს ინახავენ. შესასელელთან, იქვე, კუთხეში, ჭურისთავის „ხელ-  
სახმარია“: თხი, ძელბარი, ჭურის სარქველზე აყალო მიწის დასაგლეს-დასაკვე-  
რი კვევო-საგოზელა... მარნის კედლების ვასწერივ ხის საწნახელი დგას, მის  
თავით საწნახელში დაწურული ყურძნის წვერის მოსაკვებელი თიხის ისარნა-  
სატებილეა მიწაში ჩაღმული. ხშირად აქვე ჭიჭის საწნეხი ხელსაწყო — საქა-  
ჩავი, ანუ წერი. მარნის კოჭებსა და კედლებზე მრავლადაა სხეადასხვა







ხელსაწყო-იარაღი: ყურძნის მოსატენი მსხვილთავიანი კობულო-სატუკლი, ჭაჭაჭი მისაწევ-მოსაწევი ხის გრძელტარიანი და თითებიანი მელული, ჟურიანი ლეინის ამოსალებად განკუთვნილი ყელიანი გოგრის ორშიმობი, გრძელტარი ნი საცხები, სათხლევები...

ჩვეულებრივ, მარნებში ინახება ვენახის სხვადასხვა „მოწყობილობა“, აქვეა ხშირად არყის სახდელი ქვაბი, ზრდუში, ორივა...


ქართლ-კახური მარნისაგან განსხვავებით, იმერული მარანი მხოლოდ შე-ლეინებას ემსახურება. იშვიათად თუ გრძელება აქ მიწაში ჩაფლული პატარა ჭურები, რომლებზეაც ყველი ან წინილია ჩადებული.

დასავლეთ საქართველოსთვის არც დასურული ჭურ-მარანია სრულიად უცხო, ამგვარ მარანს, უმთავრესად, მთის სოფლებში ვევდებით. აქაური მაც-რი პატარი პავა იძულებს მეურნეს ხისა თუ ქვიტკირის შენობის გერქვეშ სალენე ჭურებსაც მიუჩინოს ბინა...

ქართული მარნის მარავალრიცხოვან ჭურქელ-იარაღიდან ერთ-ერთი უმ-თავრესია საწნახელი. ყურძნის ფეხით დასაწურად განკუთვნილი საწნახელი ხშირად ხის მორისაგანაა გათლილი. ქართლ-კახეთში მას ნავი ჰქვია, იმერეთსა და გურიაში — საწნახელი, სამეგრელოში — ოჭინახი, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში ხორგოს ან ხაბის სახელით იხსენიებენ. ხის საწნახელი მეტადრე დასავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათურებული. აქაურ მარნებში ხშირად ორი-სამი ხორ-გო-საწნახელიც გრძელება. ნაირი სიდიდისა და ტევადობისაა ცაცხვისა თუ წაბ-ლის ოსტატურად გათლილი, გულამილებული მორი, 30-40 ფუთ ყურძნებს იტევს მხოლოდ პატარა ონჯარო ანუ ხელნავი, რომელიც უმთავრესად ყურძნის მოსაკავებლადაა განკუთვნილი. მარნებში ხშირია 200-300 ფუთიანი ხორგო-საწნახელი. იშვიათად აქა-იქ კიდევ ნახავთ ხუთასფუთიან ვება საწნა-ხელს. ალბათ სწორედ ასეთ ხის გოლიათს გულისხმობს ხალხური გამოცანა: „შევხედე და შევი იყო, მივედი და ხრამი იყო“.

ქართლ-კახეთში და იმერეთის ზოგ მხარეში „გაკუთხული“ საწნახელია ხმარებაში.

ამგვარი საწნახელი შეინიდანაც და გარედანაც სწორად, ბრტყლადა გათ-ლილი. ერთ მთლიან მორში გათლილი საწნახელის მასიურ თავებს ანუ შებ-ლებს მტკაველიც ძლიეს გასწულება. ყურძნის დაწურვისას ძალა უმეტესად ამ ნაწილებს დაფება. ხანგრძლივი ხმარების შედეგად საწნახელს სწორედ თავები უსკედება. მარნებში ხშირად ნახავთ თავებჩადგმულ, „თავგამოყენებულ“ საწ-ნახელს. გადაჭრილი შებლის ნაცვლად მის თვესა და ბოლოში მჭიდროდ ჩად-გმულია მაგარი ფიცრის სამი ნაჭერი, სართაული, მეტი სიმტკიცისათვის საწნა-ხელში განივად გაყრილი ლატანებითა და ხის სოლებით გამაგრებული.



გურია-სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში და აგრეთვე ქვემო იმერეთში გავრცელებული საწნახელი გარედანაც ხის მორის მოყვანილობისაა და შიგნიდნაც მრგვლადა „მონავული“. მრგვალი საწნახელი ჩვეულებრივ „თავგამოყენებულია“, ფიცრის მთლიანი ან სამი ნაწილისაგან შედგენილი თავი აქვს ჩამული.

მრგვალი ხორგო-საწნახელი ონიშნულ მხარეებში ნაწილობრივ ღვინის და-საღულებელი ჭურჭლის მოვალეობასაც ასრულებს. მრგვლად გულამოლებული, საგრძნობლად „პირშექრული“ საწნახელი აქაური მეურნის სიტყვით, „გაკუთხულზე უკეთეს საღულარია“.

როგორც კი ოვალს შეავლებთ მარანში გაწილილ ხის ვეება საწნახელს, მის კოხტად გათლილ-გამოყვანილ გვერდებს, მასიურ შუბლებსა თუ თანგებითა და სოლებით სიმედოდ გამაგრებულ სამნაწილოებან თავებს, დარწმუნდებით, რომ თქვენს წინაშე გამოცდილი ხუროს ნახელავია. მესაწნახლეობას, როგორც ხით ხურობის საგანგებო დარგს, ძევლითაგან მეტადრე დასავლეთ საქართველოში მისდევდნენ. „იმერელი“ ხუროს მიერ გათლილ ნავს არცო იშვიათად ქართლ-კახურ მარანშიც კი შეხვდებით.

ხურო, „მესაწნახელე“ ხეს კარგა ნნით ადრე შეიგულებს ტყეში. სასაწნახლედ შეირჩევა: ცაცხვი, თელა, წბლი... ამათ შორის საუკეთესოდ ცაცხვია მიჩნეული. ეს ხე „სუფთაა, მსუბუქი, გამოსათლელად და იმოსაჭრელად აღვილი“. გარდა ამისა, ცაცხვი „ქსოვილი ხეა, მას ქსოვილი დაჭაპნილი, ერთიმეორეში დამტობილი აქვს,“ მისი მორი არ გასკდება, არ გაიპობა გათლაში. სასაწნახლედ „მზვარეში“, „სამზეურზე“ გაზრდილ მაგარ ხეს ამჯობინებენ, ამასთან უზადოს და სწორს.


შერჩეულ, ყოველმხრივ ვარგის ხეს „ნიშანი მიეცემა“, ტანზე ნაჯახით ჯვარი დაესმება. „დაჭვარული“ ხე უკვე შემრჩევის კუთხილებაა, მას ვერავინ ახლებს ხელს. ნიშანდაღებული ხის მიგნებაც იოლია. ხშირ ტყეში სასაწნახლე

ჟესთან გზის გასაგნებად თარჯს აიღებენ: მახლობელ ხეებს წელის სიმაღლეზე  
ნაჯახით ჩამოთლიან.

ხეს, ჩვეულებრივ, შემოდგომაზე ან ზამთარში მოუწევს მოქალაქეების ტარიელის თოვლისას  
ნი ზამთარი საუკეთესო დროა ხის მოსაჭრელად, ღრმა თოვლში წაქცეულ სა-  
საწნახლეს ნაკლებად მოელის დასკდომა. თოვლში მისი ტყიდან გამოტანაც  
საგრძნობლად აღვილია. მოსაჭრელად ხეს ორი-სამი კაცი მიადგება ნაჯახით,  
ხერხით, ეჩოთი, სოლებით შეიარაღებული. ხეს მოხერხებულ ადგილს შეურ-  
ჩევენ წასაქცევად და აქეთ-იქიდან ნაჯახებით დაადგებიან...

მიწაზე წაქცეული სასაწნახლო იქვე, ტყეში ნაწილობრივ გაითლება, საგრძ-  
ნობლად გამსუბუქდება. მას ჯერ დამორჩავენ: ნაჯახით ტოტებს შემოაცლიან,  
სასურველ სიგრძეზე გადაზომავენ და თავსა და ბოლოში ნაჯახითვე გადაჭრიან,  
ანდა ხერხით დაბირდაბირებენ. მორს, მრგვალი საწნახელისათვის განკუთ-  
ნილს, მხოლოდ კანს შემოაცლიან და მაშინვე საწნახლის გულის ამოღებას  
შეუდგებან. გაკუთხვილი საწნახლის გათლა კი გარედან მისი გაკუთხვით,  
ოთხკუთხად გათლით იწყება. ხეს ნაჯახით გულს ამოუღებენ, შემდეგ კი მოკ-  
ლეტარიანი ეჩოთი ამოწმენდენ. საწნახელი შიგნიდანაც და გარედანაც „ლარ-  
ში ითლება“. ლარი დანაყილ ნახშირში ამოუღებული ბაწარია. მას მორზე გა-  
დაჭიმავენ, ორივე ბოლოს დაუმაგრებენ და თითს გამოპერავენ: მორს სწორ-  
ხაზონად დააჩნდება ნახშირის ზოლი.

აი, გაითალა საწნახელი. ახლა უკვე შეიძლება გადაბრუნონ და ორ-საშ  
ხეზე მომაღლოდ დააყენონ, „გააბოორონ“. ორიოდე კვირით ასე პირქვედამ-  
ხობილ საწნახელს ქარი და ყინვა გამოაშრობს, კიდევ უფრო გაამჩიტებს და  
პატრონიც ამ დროისათვის მისი წამოღების თადარიგს შეუდგება, მეზობლებს  
სახადოდ შეიძირებს. ნადის მონაწილეთა რიცხვი საწნახლის სიღიღესა და გზის  
სიძნელეზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ორმოცამდე კაცსაც კი შეიწვევენ. ათი-  
თორმეტი „მაგარი“ მამაკაცი მხრით შეუდგება საწნახელზე გარდიგარდმოდ



დაკრულ კეტებს. გზაში მათ ფეხდაფეხ დანარჩენი „მომხმარენი“ მიჰყევებია. დროდადრო ერთმანეთს ენაცვლებიან საწნახლის მზიდავინ. მოდრარ მოულუსა თავდალმართში, საცალფეხო ბილიკებზე, კლდესა და ღრეუში, ხერაული სიმღერას „ულესიას“დასძახებენ. კეტის ქვეშ მდგომნი, მხრებზე უზარმაზარი ტკირთი რომ დასწოლიათ, „ერთმანეთს არ უმტკუნებენ, როგორც ხარები...“

იშვიათად, მეტადრე კი ზამთარში, როცა საქონელი მოყინულზე ფეხს ვერ მოიყიდებს, ხელით უხდებათ საწნახლის სახლამდე მიტანა. ჩვეულებრივ კი „მუშის“ მოვალეობაა, როგორმე მძიმე ტვირთით „სახარომდე“ გააღწიონ. აქედან საწნახელს თრევით წაიღებს საქონელი. საწნახლის თავთან, ინდურთან, წინდაწინ ამოკრილ „სამრჩელუებში“ ამოუყრიან როკიან ხის ტოტებს, მარხილებს და წინიდან ხარებს მიუბამენ (აღმართში საწნახელს ოთხი-ხუთი ულელი საქონელი მაინც მიიგბება). „მომხმარეთ“ საქმე ახლაც ბევრი აქვთ. ზოგი მათგანი ხარებს ადგას თავზე, ზოგი კი „მეკეტურის“ მოვალეობას ასრულებს: აქეთ-იქიდან მიპყვებიან კეტებით ხელში, საწნახელს გადაჩხებისაგან იცავენ, ძნელად სავალ აღილებში კი მას ქვეშ კეტებს უმარჯვებენ, რომ „ხემ ზედ გადაუაროს“. ასე თრევით მიიტანენ საწნახელს სოფლამდე, ანდა საურმე გზაზე გავლენ, აქ კი მას „დაბალ“ ურემზე დაუდებენ...

შინ შიტანილი საწნახელი საბოლოოდ გაითლება და გაიწყობა. მას დაწურული წვენის, ტკბილის, გამოსასვლელ ინდურს გამოიუბრდავენ. ზოგგერ თავებსაც „გამოუყენებენ“ და მარანში შეიტანენ. საგანგებოდ ამოთლილ ხის ნამორებზე დაბჯენილი საწნახელი რამდენიმე თაობას გაუწევს სამსახურს.

ქართლ-კახეთის ძველ მარნებში დღემდე შემორჩენილია უზარმაზარი ქვიტკირის საწნახლები, სხვადასხვა ფერის ყურძნის დასაწურად განკუთნილი ორ-ორი განყოფილებით და ყურძნიანი გოდრების დასადგმელი ბაქნით. ამ მხარეში უკვე მეათე-მეოთეოთებურ საუკუნეებიდან ჩნდება ქვიტკირის საწნახელი. მას უპირატესად დიდ მარნებში აშენებდნენ.

ქვის საბაზოებით მდიდარ მხარეებში, მეტადრე ქართლსა და იმერეთში, ძველთაგან ქვაში ნაკვეთი საწნახელიც იყო ხმარებაში. ქვემი ქართლში, მესხეთსა და ჭავახეთში მრავლადა შემორჩენილი მონოლითში გამოკვეთილი საწნახელი — უტყუარი ნაშთი ამ მხარეებში ოდესაც აყვავებული შევენახობისა. ვარძიის ქვაბთა კომპლექსში და მის მახლობელ „კლდის სოფლებში“ — ჭავეკარსა და ფიაში ათეულობით დაითლება კლდეში ნაკვეთი საწნახელი. ხოლ უფლისციებში დაახლოებით ორი ათას სამასი წლის წინანდელი ამგვარივე საწნახლებია აღმოჩენილი.

იმერეთში დღესაც ცოცხლობს ქვისაგან საწნახლების გამოკვეთის ძველთა-

ჭველი ტრადიცია. აქ ზოგან ახლაც ნახავთ ქვის საწნახელს, რომელიც ზოგჯერ  
კაშისა და ყურძნის გამოსახულებებითაა შემკული.

დასავლეთ საქართველოში, ისევე, როგორც ქართლის მარნებსა-თუ მწომე  
ში, თვალში მოვტევდებათ რთული ავებულების ხის მანქანა, რომელიც საწნა-  
ხელში დაწურული ყურძნის ჰავაში დარჩენილი წვენის გამოსაწურად გამოი-  
ყენება. „ყურძნეს ჩასაც ფეხით დავაკლებთ, იმს წბერით მოვუთავებთ“, —  
გვეტყვის რაჭველი მეურნე. ეს ხელსაწყო ხალხში სხვა სახელებითაც არის  
ცნობილი: საქაჩავი, საქაჩველი, საქაგავი, ხარიხნი.


წბერი ანუ საქაჩავი ცალმხრანი ბერკეტის პრინციპზე მოქმედ მარქანის  
წარმოადგენს. ბერკეტის ღანიშნულებას გრძელი ძელი, ღირე ასრულებს,  
რომლის ცალი ბოლო, ჩვეულებრივ, მიწაში ჩასმულ ბოძშია გამაგრებული.  
ბერკეტის თავისუფალ ბოლოზე ძალის მოსაღებად სხვადასხვა საშუალებაა გა-  
მოყენებული. ბერკეტზე დაწოლა ვეებერთელა ზის ხრახნს ან ოწინარს ეკისრე-  
ბა. იმერეთში ხრახნიან წნეხს ჭახრავის საქაჩავი, ხოლო ოწინარიანს დათვას  
საქაჩავი ჰქვია.

ხრახნანი წნეხი, რომელიც საგრძნობლად უფრო ღიღია და მძლავრი, და-  
სავლეთ საქართველოსთვისა დამახასიათებელი. ჭახრავიან წბერს დღესაც ხში-  
რად ვედებით რაჭა-ლეჩხუმში.

ამგვარი საქაჩავის ნიმუშად სოფელ ღარში დამოწმებული რაჭული წბერის  
აღწერას მოვიტანთ.

ჭახრავი გამართულია ეზოში თუთის ხესთან. ცოცხალი ხე წბერის ერთ-  
ერთი მთავარი ნაწილის — ბოძის, („კაცას“) დანიშნულებას ასრულებს. თუთის  
ძირში, ხის ფესვებსა და მუხის კოჭზე, ჭერევაზე დაბეგნილია თელის გობი,  
ანუ მერეტაფა. გობი თრგანყოფილებანია. ერთ მათვანში, რომელსაც ტაფა  
ჰქვია, ჩაღმულია ფიცრებისაგან შეკრული კოდი, ჩალანგარა დასაწბერი ჭაჭის  
ჩასაყრდლად. გობის „ტაფა“ ვიწრო ღარით ლრმად გულამოლებულ „მერეს“  
უკაშირდება. მერეში ნაწნეხი წვენი, „ნაწბერი“ დაგროვდება.

მიწიდან საქმაო სიმაღლეზე თუთის ხეში გაყრილია მუხის ღირე, რომელ-  
საც გარედან მუხისავე რიკით ამაგრებენ. ღირის მეორე ბოლო ორქაბაა, ზედ  
გარდიგარდმოდ ხის მსხვილი ქანჩი, დათვაა დამაგრებული. დათვაში, რომელიც  
ქანჩის დანიშნულებას ასრულებს, მაღალ ხის დახრახნილ „ისაზი“ ამოუყვია  
თავი. მიწის სიახლოვეს, ისარში წისქვილის დოლაბისებური მრგვალი ქვა,  
კვირისტავია წამოტმული. კვირისტავის მაღლა ისრის დასატრიალებლად გრძე-  
ლი კეტი, სახელურია გაყრილი. კვირისტავით დამშიმებული ისარი მიწაში  
მკვიდრად ჩასმულ ბრტყელ ქვას, ქალაბანს დაბგენია.



როგორ წნევენ წმერის შემწეობით ყურძნის ჭავას?

ხონჩით ან ბარჯუკით კოდში ჭავას ჩაყრიან. შემდეგ ხის უროთი, კვერვევი-შოთი, საგულდაგულოდ მოტენიან და ზემოდან მუხის სარქველს, კოდის ზომა-ზე გამოჭრილ ფიცარს ჩაუდგამენ. სარქველზე ხის ნაჭრებს, კოტეებს, ერთმა-ნეთზე გააწყობენ, ვიდრე დირეს არ მიებგინება.

სახელურით ისარს წალმა დააბრუნებენ. დირე დაბლა დაიწევს, ქვეშ მო-თავსებულ კოტეებს დაწვება, ნაწერი დაიწყებს დენას კოდის ნაპრალებიდან, როცა მის დენა შეწყდება, წმერს აშლიან: ახლა უკულმა დააბრუნებენ ისარს და დირეც მაღლა აიწევს, ისევ აღრინდელ მდგომარეობას დაუბრუნდება: ამ-ჯერად კოდის სარქველზე სხვა კოტეებს დაამატებენ და კვლავ წალმა დააბრუ-ნებენ ისარს. ასე რამდენჯერმე დაიწმერება ჭავა, თანდათან დაიტკეცება და ისარიც „ფეხს აიწყვეტს“, საბჯენ ქვის ქალაბანს მოწყდება, როცა ისარი მიწი-დან საქმათ სიმაღლეზე აიწევს, წმერს „დაკეტავენ“, ისრის სახელურს დირის


გვერდზე მიწაში ჩასობილ ბოძს, სამართს გამოსდებენ. დილამდე დაიწერა წმერი ასე დაბმული, აკიდებული ისარ-კვირისტავით. თანდათანბით ცაბლა დაიწევს ისარი, დილისათვის ისევ ქალაბაზე დავა. ნაწმერის დაწყებულებული ბა, დაშლილი კოდიდან „მშრალ ზოდა“ გაღმოილებენ წვენგამზურულ წერტილს.

მარტივი გამოთვლები შესაძლებლობას გვაძლევს, დაახლოებით განვსაზღვრავ როთ აღწერილი მექანიკური წნების სიმძლავრე, თუ გავთვალისწინებთ, რომ წმერის ბერკეტის მოქმედება უდრის  $1 : 10$  (დრის მოკლე მხარის სიგრძე — 40 სმ, ხოლო მეორე მხრისა — 395 სმ), მივიღებთ, რომ ქვის კვირისტავი (მისი სიმძიმე დაახლოებით 300 კილოგრამია) ჭაჭას აწვება 3000 კილოგრამის ძალით. ისარი (მისი სიმძიმე — 40 კგ.) — 500 კგ ძალით. საკუთრივ დირეკტ (სიმძიმე დაახლოებით 140 კგ.) ჭაჭას აწვება 770 კგ. ძალით. მაშასადამე, ჭაჭაზე დაწოლა მთლიანად დაახლოებით 4070 კილოგრამს შეადგენს, ვინაიდან კოდის ფართობია 40 სმ<sup>2</sup>. ამიტომაც წმერის სიმძლავრე ტოლია 2954 კგ. სმ<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, აღწერილი წმერი საკმარისო სიმძლავრისაა.

წნების მეორე, ოწინარიანი სახეობა, საგრძნობლად უფრო პატარაა, რა მარტივია. წნების თავის სუფალ ბოლოზე წნელის, მანეულის რჩოლებით ჩამკერდებულია მსხვილთავებიანი ხის ლილვი-საქაჩი ანუ დათვა. მასზე ლველით ან ჭაჭვით მოზრდილი, მსხლისებურად გათლილი „ასაკიდი ქვა“ არის გამობმული. დათვა ნაჩერეტებში ვაყრილი კეტით დაატრიალებენ. ამგვარად და დათვა რჩოლებზე ბრუნავს და ზედ ლველს იხვევს. ბოლოს ქვა მიწას მოწყდება და მაღლა „აიკიდება“.

ამგვარი „ასაკიდიანი“ წნები მეტად დატრიალებული. აქ მისი გამოყენების ხანგრძლივი ტრადიცია უზუარად დასტურდება. ხრამისა და ალგეთის სოფლები და ნასოფლარები საქავავის მასიური ქვის ძირებითა და მსხლისებური „უუნწიანი“ ქვებითაა მოფენილი.

ოწინარიანი წნების უფრო მარტივ სახეობას „ასაკიდი ქვა“ არა აქვს. მისი დათვადან ჩამოშვებუ-



ლი თოვი ან ლვედი მობმულია წნების ძირის წაგრძელებულ ცხირზე. ჩემი  
წნებში ოწინარს უშუალოდ დირის დაბლა დაწევა აკისრია. ქართლში არ არ თუ  
იშევიათად ნახავთ ასეთ მსუბუქ საქაფავს პატარა ხის ბორბლებზე შედგმულს.

ქართულ მარაში თავიდათავი ქვევრებია — ლვინის დასაყენებულად და ზე  
სანახად განკუთვნილი თიხის ვეება ჭურჭელი.

მარნის არაერთ ჭურჭელ-იარაღს დაელია დღე, არაერთ მათგანს ბოლო  
ღრის მეტოქე გამოუჩნდა, ქვევრმა კი ჩინებულად გაუქლო ღრიოს გამოცდას. მიწაში დამარხული თიხის ჭურჭელი უბადლოა, როგორც ლვინის დასადუდებ-  
ლოდ, ისე ჭლების მანძილზე ღვინის შესახახავად. მისი ღირსება განსაკუთრებუ-  
ლო გამძლეობაცაა. ქვევრი „უკვდავია“, „არცა ლპება და არც იუანგება მიწა-  
ში“. მიწის წიაღში ცოტა როდია ნაპონი ისეთი ქვეები, რომლისთვისაც ათას-  
წლეულებსაც ვერაფერი დაუკრია.

ქართლ-კახური მარნის ქვერქეშ, თუ იმერულ ჭურისთვეზე ათეულობით  
ჭურ-ქვევრს დავითვლით, მათი ხისა ან ქვის სარქველებიც მიგახვედრებს, რომ  
მიწაში სხვადასხვა სიღიღის ჭურჭელი მარნია. აქა პატარა ქოცებიც, რომ-  
ლებშიც ერთი ჩაფი, ანუ თვრამეტი ლიტრი ღვინო ჩაღია მხოლოდ და  
უზარმაზარი ქვევრები, ათასობით ლიტრას რომ იტევს. ზოგი ქვევრის სიმაღლე  
ორ მეტრის აღემატება, პირზე კი წისქვილის ღოლაბისხელა სიპი ქვა აფარია.  
სხვადასხვა ტევადობის ჭურჭელი სხვადასხვა დანიშნულებით მოიხსარება.  
დიდ ჭურ-ქვევრი „საღულია“, მასში ყურნის წვენს დააღულებენ, სამუალო  
და მორჩილ ქვევრებში კი ღვინოს ინახავენ. „წვრილ“ ჭურჭელში ღვინო უკე-  
თესად ინახება, მოსავლელ-სახმარადაც საიოლოა ასეთი ქვევრი. დიდ ქვევრს  
ლიხთმიერეთში „ჩასავალიც“ ჰქვია. მისი გარეცხვა შიგ ჩასვლას მოითხოვს.

საქართველოს მიწა-წყალზე გათხრილი ურაცხელი ჭურ-ქვევრის-  
მკეთრებლობის შორეულ ტრადიციებზე მიუთითებს. ორი ათასი წლის წინანდე-  
ლი თიხის ჭურჭელი ღლესაც გვაოცებს ფორმის სრულყოფილებით. საქართვე-  
ლოში მრავალგან ნახავთ თავმინგებებულ ქვევრის ქურებს და მათ ნაშობებს. აქ  
ოდესლაც ქვევრის საწვავად ცეცხლი გიზგიზებდა, შემდგომ კი ჩამკედარა მე-  
ქვევრებების საწვავად საქმიანობა ქვეყნის ძნელბედობისა თუ სხვა მიზეზით. ვაზუშ-  
რის ცნობით მეთვრამეტე საუკუნეში საუკეთესო ქვევრებით მთელ საქართვე-  
ლოში განთქმული ყოფილა ქართლის სოფელი უწლევი: „აქ აკეთებენ ჭურსა  
ლვინისასა კეთილსა, ყოველსა უმჯობესსა“.

საქართველოში ღლესაც მრავალია მექვევრეობის ტელთაძველი კერა, სა-  
დაც თიხის ასტატები მამა პაპეულ საქმიანობას ეწევიან. მთელ საქართველოში  
მექვევრეობა-მეჭურეობით განთქმულია სოფლები: კახეთში — ანაგა, ვარდის-

უბანი, იყალთო, ახალსოფელი; ქართლში — ცხავატი; იმერეთში — შრომა, ბოსლევი, ღილწიფელი, ჩხიროული; გურიაში — აკეთი; სამეგრელოში — ნოჩი-კოლაო; ლეჩებში — საირმე.

კახური მექევერეობის მაგალითზე ვნახოთ, როგორ „შენდება ჭიჭიათურია“ ვება ჭურჭელი (ლ. ბოჭორიშვილის მასალების მიხედვით).

დღრიანი გაზაფხულიდან ჩვეულ საქმიანობას შეუდგებიან ანაგელი თუ იყალთოელი მექევერენი. მახლობელ თიხნარ ადგილებზე — ხევის პირას, მთის ძირას თუ ტყეში, ძარღვიან, ფიცხ „მიწას“ მოთხრიან და ფიცრებშემოკრული ურმით ან საკიდარიანი სახედრით შინ მოზიდავენ. სუფთად გადავაკებულ ადგილზე, სათიხეშე თხლად გაიშლება ნედლი „მიწა“, ორიოდე დღეში მშეზე გამოშრება ძარღვი, ლაბო მოემატება და ფიცრისავან შეკრულ ფართო და გრძელ ტახტზე, სატალახტეზე გადაიტანენ. აქ გოხან მიწას დიდი ხის ჩაქაჩებით, ხევდებით დაბეგვავენ, ხელით კენჭებს გამოაჩიხევნ, შემდევ კი ზემოდან გაცხავებული ილაზნის შლამი დაეყრება, დასალბობად წყალი დაესხმება და საგულდაგულოდ დაიზილება.

ოსტატი დამბალ თიხას ჯერ პატარა, პირიშრო ნიჩბით გაჭინის, შემდევ ხის ხელით წმინდად ჩაეკავეს, „დახმალავს“, ბოლოს კი სატალახტეზე ფეხებით შემდგარი მაგრად დაქუსლავს.

დაზელილი, გრძელ-გრძელ ნაჭრებად დაკუწული თიხისავან ქვევრები ქარსანაში ანუ ბინაში შენდება.

დაბალ, ოთხფეხა სორსალის სქამზე — დაზგაზე — თიხის გუნდის გავორ-გამოვორებით მექევერე ორმოც-ორმოკრდათ სორსალს დაამზადებს და „ხელის ჩარხზე“ ქვევრის ძირების გამოყვანას შეუდგება. ჩარხის სამფეხიანი საყრდენის შუაში ღრერია ჩასმული, მასზე კი ჩარხის თავის ჩამოცმული. ჩარხის თავზე დასმულ გუნდას როგორც კი ხელი შეეხება, ჩარხი მაშინვე დატრიალდება. ფეხებშეულ ჩადგმულ ჩარხის თავზე დასკამს წინასწარ გაკეთებულ ქვევრის ჭუსლს და მის ირგვლივ სორსლების შემოვლებას შეუდგება. შემოქნის დროს ორივ ხელს იშველიებს: მაჩტენა ხელში სორსალი უკავა. სორსლებს ქვევრის ძირს შემოაყოლებს, თან მათ ერთმანეთზე აბაშის და გადაბმის ადგილს ასწორებს. ასუფთავებს. ასე სამ პირს შემოაელებს, რის შემდეგაც იხალამოყვანილ კედელს სკილ ჩიარს ჩამოუსვამს, შემოქნილ თიხას წყლით დასაველებს, თანაც ხელისფუცრით, გონჯით, შიგნიდანაც და გარდავანაც გაათანასწორებს, გალესავს ქვევრის ძირს. როგა ამასაც მოათვებს, პირის ირგვლივ ხის კანის „ხრალს“ შემოუქერს, რომ არ ვასკდეს, არ გადაიშალოს იხალა ქვევრის ძირი. ახლა მეორე ქვევრის ძირის გამოყვანაზე მიღება ჯერი: შალე ქარხნის იატაზე რამდენიმე ძირი ჩამწერივდება, რომელთაც ზემოდან

გრილ მცენარეთა: კომბოსტოს, გოგრის, ძირხვენის ან ბურახის ფოთლები აფარია. რამდენიმე დღეს ასე დარჩება ქვევრის ძირები; ვიდრე საკმაოდ არ შეშრება. მათ მხოლოდ პირი შეენახება ნედლად ზედ დაფარებული ფოთლების წყალობით. ქვევრის ძირები საკმარისად შემაგრდება და შეწყვეტილ მუშაობაზე განახლდება. ჩარხზე მოჭრილი ქვევრის ძირი ამჯერად ქვევრის სკამში ჩაიდგმება. ქვევრის სკამი ოთხფეხინია და მრგვალთავინი. მისი საკმაოდ მსხვილი თავი შეუგულში მრგვალდა ამოჭრილი ქვევრის ძირის ჩასადგმელად.

სკამში ჩადგმული ძირის ნაპირებს ოსტატი თითებით პირს გაუთხელებს და სორსლებით მის შემოქნას ვანაგრძობს. ორ-სამ პირს შემთავლებს და კვლავ შეასვენებს ქვევრს რამდენიმე დღით. ასე დაუვლის ყველა ქვევრს... ქვევრები შეშრება თუ არა, კვლავ სათითაოდ სკამში ჩაიდგმება, კვლავ ორ-სამ პირზე შემოვლება ახალი სორსალი.

ყოველი შემოქნის დამთავრებისას ქვევრს გონგით გასწმენდს, ხრალს შემოუჭრს, პირზე ფოთლებს დააფარებს... შემდეგ — მიწაზე განაგრძობს ქვევრის შენებას. სწორად დადგმულ ქვევრს ირგვლივ ქვებსა თუ აგურ-კრამიტის ბიძგებს შეუყვენებს სიმტკიცისათვის. თან აშენებს, თან მის სისწორე-სიმრულეს აკვირდება, დროდაბრო სწორად გათლილ ჭოხსაც მოიშველიებს: ქვევრს ჭოხით ჭვარელინად გაზომავს, შემჩნეულ სიმრულეს ხელით გაასწორებს. როდესაც სიმალეში წასულ ქვევრს დაბლიდან ველაზ შესწოდება, ქვევრს ოთხივე მხრით ფიცარს შემთარებულს, ხარაჩიზე შემდგარი განაგრძობს მუშაობას.

სორსალი სორსალს მიჰყება, ქვევრი თანდათან იშლება, ფართოვდება, მუცელი უკეთდება. შემდეგ კი პირს მოიბრუნებს და მოუხვევს — შიგნით გადაიხრება და ბეჭი გადაუბრუნდება, — ნელ-ნელა ვოწროვდება, საყელედ მივადა ლამაზად შეიყველება. ბოლოს ოსტატი ქვევრს პირსაც გაუკეთებს: ყელის პირს სორსალს შემთავლებს, კარგად მიაკრავს, გაასწორებს, — თავი მოებმება ქვევრს.

ასე აშენდება ქვევრი, თანდათანობით იქვე, „ქარხანაში“, გამოშრება კიდეც-პატარა ქოცოების გამოშრობას ორი კვირა ეყოფა, დიდი, საღული, ჩასვალი ქვევრის გაშრობა კი სამ თვემდეც გასტანს. „აპრილში დაწყებული ქვევრი თბათვის ბოლოს დაიწვება ქურაში“.

ქვევრის ქურა, აგურთა და ტალახითა ამოშენებული. სამი მხრიდან მიწაშია ჩასმული, ზემოლან კარამიტა ახურავს. ქურის წინა მხარე ღიაა, უკედლო, ქვევრების შესაწყობად თუ გმოსალაგებლად მოსახერხებელი. ქურის უკანა ნაწილში, რომელიც ნაწილობრივ მიწას არის ამოცილებული, კვამლის გამოსასვლელად სამი „სათვალეა“ დატანებული. კარგად გამოშრალი, „დასაწველად მოსული“ ქვევრების ქურაში ჩასალაგებლად ოსტატი სხვებსაც მოიშვე-

ლიებს. ათა-თხუთმეტი კაცი მაინც დასჭირდება დიდრონი ქვევრების ქურაში ჩაწყობას. დიდი ქვევრების შესაზიდად ჩათოს მოიშევლიერებენ.

ჩათო ცაცხეს „ხრალია“, შოლტის მსგავსად მსხვილად დაწყოლი გრძელი ერთი ბოლო გაწვრილებული აქცეს, მეორეზე კი ყური ანუ ყულფი აქცეს გაკეთებული. ქვევრის აწევას ერთი ამგვარი მსხვილი და გრძელი, ათა-თხუთმეტი მასზე საგრძნობლად წვრილი და მოკლე ჩათო დასჭირდება. გრძელ ჩათოზე პატარებს აასამენ, ააგებონ და ასე შემკულ დიდ ჩათოს ქვევრს ძირზე შემოარტყამენ, მის წვერს ყულფში გაუყრიან და საიმედოდ შეკრავენ. გრძელ ჩათოზე ასმშულ ხელჩათოებს გამართული კაცის ზომზე დაყუნებონ და ქვევრს იჩვლივ შემოერტყმიან მზიდავნი; „აქეთ-იქიდან მოუდგებან“, ხელჩათოების თავისუფალ წვერებს ხელს წავლებენ, ქვევრს „ციმციმ ასწევენ“ და ქურაში შეიტანენ.

ქურაში ქვევრები სათითაოდ თიხის კოლტებზე ანუ კვალთებზე დაიღვება. „კოლტი ქვევრის ქუსლივით არის, წინდაწინვე გაეკეთებული და დამწვარი“. ფეხზე მდგარ ქვევრებს თარაზოში გაასწორებენ. პატარა ქოცოებს ქვევრების თავზე დაალაგებენ, ფეხზე დააყენებენ, მუცლით დააწვენენ, ზოგს იატაზზე დადგამენ, ზემოდან სხვებს მოაპირქვავებენ. ქოცა-ქვევრების ჩაწყობის დროს აკეირდებან, რომ ქვეშ მოქცეული ჭურჭლის პირი მთლიანად არ დაიფაროს; გამოწვის დროს ქვევრმა „ისუნთქოს“. სავსე ქურაში ექვსი დიდი ქვევრი და ერთი-ორი ათეული ქოცა დაეტევა.

გამოსაწვევი ჭურჭლით ავსებულ ქურას წინა კედლის პირს ამოუშენებენ. აგურითა და ლამით და კედლებში „მიწის პირად“ სიგანეზე სამ სათვალეს, ანუ შეშის შესაკეთებელს დაუყოლებენ.

თანდათანობით გამოწვავნ ქურაში ჭურჭლს. ჯერ ბოლს მისცემენ, შემდეგ კი ძლიერ ცეცხლს გაუჩაღებენ. სათვალეების პირდაპირ, შორიახლოს დაანთებენ ფუტურო შეშის ცეცხლს და ქურას „ჩუმი ბოლით“ გაათბობენ. ცეცხლს თანდათან სათვალეს მიუახლოებენ და ნელ-ნელა გააძლიერებენ კიდეც. ბოლთან ერთად ქურაში უკვე ალიც „მისწვდება“, ქურაში ცხელი ბოლი დატრიალდება. მეოთხე დღეს ცეცხლს სათვალეების ძირში დაანთებენ. დაბოლოს, სამივე სათვალიდან შიგ ქურაში შეუკეთებენ აღლიან შეშას და თანდათანობით ქურას უკანა კედლამდე მიიტანენ. კვამლის გამოსასვლელი უკანა სათვალეებიდან კი წვრილად დაპობილ შეშას შეყრიან ქურაში, რომ უკანა ქვევრები რიგიანად გამოიწვას.

დროდაბრო ქურას შეასვენებენ: დააცდიან, რომ ერთ ჯერზე შეკეთებული შეშა „სულ ჩაწვას, ნალექდა იქცეს, ალი ჩატკდეს ქურაში“. გამოწვის დროს ქურას „შვიდი მუხლი მაინც უნდა შეისვენოს“.

შეკეთების დროს უკანა სათვალეები ჩაიკეტება, შესცენების დროს კი გა-  
სახლება. ამ დროს ქვერი დუღი და ოუ დროდადრო სათვალე არ გადაესხო და  
გარედან შემოსულმა პატარა „ნალვერდალი არ შეპარა“, — ქვევრი და მულები გა-  
რი“ ასე თრ-სამ დღეს იწვება ჭურჭელი. როცა ქვევრს „კვერცხის გულის ჯუ-  
რი“ მიეცემა, და მის „პირს ხალები გაუჩნდება“, ჭურჭელი უკვე გამომწვარია.  
ახლა კი ქურას შეშას გამოუკეთებენ და მის გასაციცებლად სათვალეებსაც გა-  
დახსნიან.

ორ-სამ დღეში ქურა გაციცება. მას პირს ჩამოუქცევენ, წინა კედელს ჩა-  
მოუშლიან და გამომწვარ ჭურჭელს გამოალავებენ. პატარა ქოცოებს ხელით  
გამოიტანენ, დიდ ქვევრებს კი გამოაგორებენ. ვაკე ადგილზე მოთავსებულ  
ქვევრებს ციფი წყლით გამოაჭროთობენ: წყალს შიგნითაც გამოავლებენ, გარე-  
დანაც გადავლებენ.

და, აი, უკვე მზეს ეფიცხება ახალთახალი საღვინე ჭურჭელი.

მექვევრეთა ნახელავს მყიდველი არ დაცევა. მეტადრე სართვლოდ აქვს  
გასავალი ქვევრებს. ზოგჯერ ოსტატი თვითონ გაიტანს ბაზარზე ჭურჭელს, ან  
სოფელ-სოფელ ჩამოატარებს. მეტწილად კი მას მყიდველი თვითონვე მოად-  
გება ახალი ქვევრის შესაძნად. გულისურით შეიჩინევა საღვინე ჭურჭელი:  
ქვევრი სრულიად უხინვიც უნდა იყოს და კარგად გამომწვარიც. გამომწვარ  
ქვევრს „ლურჯი ლერი“ უნდა დაპირავდეს, რეინის შემოკაუნებაზე „სპილენ-  
ძივით წურალებდეს“.

პატარა ქოცოებს გადასაზიდად წნელის ჯინებით ცხენებს აპკიდებენ, დიდ  
ქვევრებს კი, ჩვეულებრივ, ცხენის ან ხარის ურეშზე დაუდებენ.

ახალი ქვევრი განა მაშინვე მოხელება მარაზმი. მიწაში ჩამარხვამდე უხ-  
მარ ჭურჭელს შიგნიდან გაქონავენ. ვერ ჭურჭელს გაახურებენ. დიდ ქვევრში  
ნამგას ან წალამს ჩაყრიან და ცეცხლს წაუკიდებენ. ქოცოს კი ზედაღარზე და-  
ბიძევავებულს, ქვემოდან „ცეცხლს მისცემენ“. ზომიერად გახურებულ  
ქვევრში ძროხის, ხარის ან კამების აღულებულ ქონს ჩაასხამენ და გრძელ  
ჯოხშე დახვეული ტილოს ნაცრით მოუსვამენ.

ქოცოს კი მიწაზე გააგორ-გამოაგორებენ, რომ ქონი „ყველგან მოხვდეს“.  
ბილოს ჭურჭელს გარედან ციფი წყალი დაესხმება, რომ „ქონი არ დაწვას  
სამხსრვალემ“. ამგვარად გაქონილ-გაპოხილი ჭურჭელი ღვინოს „არ დაიშ-  
რობს“ და არც „გვმოს მისცემს“ სასმელს.

ამავე მიზნით ძველად წმინდა სანთლით, ცვილით გასანთლვაც სცოდნიათ  
ქვევრებისა.

გაქონილ ქვევრს მარაზმი შეაგორებენ. აქ უკვე საქვევრე ორმოა ამოთხ-  
რილი. ქვევრს თოკებს ან თხის ბალნის საბელებს მოუბამენ და მძიმე-მძიმედ

მიწაში ჩაუშებენ. ჭურჭელი საქვევრის ძირში ბრტყელ ქვაზე დაებინება — მიწას ვეღარ გვრის წაწვეტებული ქუსლით. ქვევრს მიწაში „თარაზოში გაასწორებენ“. მას პირზე ტაბაკს ან შიშვას დაადებენ წყლიანი სინით ან ჭიქით, დააკვირდებიან: „სათაც გადაყირავებულია, იქ აუწევენ, გაუსწორებენ პირზე“.


ამის შემდეგ ქოცოს მიწას შემოაყრიან, ორმოს დატკეპნილი მიწით ამოავსებენ. დიდი, საღული ქვევრი კი, ჩვეულებრივ, დაიკირება, ირგვლივ დუღაბი შემოერტყმება. საქვევრეში ქვიშანარევ კირს ჩაასხამენ, თან დროდადრო რიყის ქვას ან კრამიტის ნატეხებს მიაყოლებენ. მიწასაც შემოატეპნიან. ამგვარად დაკირული, დაღულაბებული ქვევრს მტრიცეა და სიმედო. მას ადვილად ვეღარ დააზიანებს მიწისძრა, მეწყერი თუ ხის ფესვები, ვერც წლების მანძილზე ხშირი რეცხვა-ხეხვა დაკლებს რამეს.

მიწაში დამარხული ქვევრებიდან ღვინის ამოსაღებად საგანგებო ჭურჭელი იხმარება.

ქართლ-კახეთში საამისოდ უმთავრესად სპილენძის ხელჩაფასა და თუნგიანს იყენებენ. ერთიცა და მეორეც ძირშა ქვეტებულია, რომ ქვევრში თავისუფლად გაეტიოს, ყელთან კი გრძელი ხის ტარი აქვს შებმული ჭურჭელში ლრმად ჩასაყოფად. ამათგან შოზრდილი — რეაცხრასელადინი ხელაჩა დიდი ქვევრისთვისა განკუთვნილი, მასზე ერთი-ორად პატარა. თუნგიანი კი საშუალო ზომის ქვეჭრებისა და ქოცოებისათვის გამოიყენება.

ზოგჯერ მათ მაგივრობას ღვინის ამოლება-გადაღებაში თიხის ჭურჭელი ეწევა: პირგანიერი და დაბალყელიანი ჩაფურა, ოთხ-ექვს ხელადის რომ იტევს, მისი მომდევნო — ორ-სამხელადინი ცალყურა და ორჩარექიანი ხელადა.

ღვინის ქვევრიდან ჯერ მოზრდილი ჩატურათი ამოილებენ, შემდეგ კი წვრილი ჭურჭლით „ამოსწურავენ“. თიხის ჭურჭელს ყურზე წნელს ან თოქს ჩაბამენ, როგა „ხელით ვეღარ დაწვდებიან ქვევრში ღყინოს“.



მეტად თავისებურია დასავლეთ საქართველოში ხმარებული ორშიმო ანუ ხრიკა. ეს არის „ყელინი კვახის“ ჭურჭელი, რომელსაც ხის გრძელი ტარი აქვს დაგებული. იმერულ ორშიმოს მაღალი ყელი აქვს. ცარიცა ფარაონის კვახის ყელი ღვინის გადმოსასხმელი ტუჩის მოვალეობას ასრულებს. იმომ მოს მუცელზეც „პირია“ ამოჭრილი, აქედან ისება ორშიმო ღვინით. ორშიმოს ყელის გაყოლებით მუცელში ტარია გაყრილი, სატარე ნაჩერეტის კიდესთან გამოდებული და რიკით გამაგრებული, ყელთან კი მანეულის წერელით ან ბაჭრით „მიუსკვნილი“. რაჭული ხრიკა თუ გურული კოპე დაბალყელიანია, მას ღვინის გადმოსასხმელი და ჩასასულელი ტუჩ-პირი ერთად აქვს გამოყვანილი; მუცლის ღრუში მთლიანად გაყრილ ტარს, მეორე მხარიდან პაჭია რიკი ამაგრებს. ხრიკის ტუჩთან ორ-საც ნაჩერეტს, „სასულეს“ შევნიშნავთ. მათი შემწეობით ღვინოში ჩაყოფილი ხრიკიდან დაუყოვნებლივ ამოღის ჰერი და გოგრის ჭურჭელიც მყისევ ისება ღვინით.


დასავლეთ საქართველოს მარნებში მხავლადა სხვადასხვა სიდიდის თრშიმო. პატარა, ჩარექიანი ორშიმო ღვინის „მოსართმევია“, ხუთ-ექვს ჩარექიანი—საშუალო ჭვევრიდან ღვინის ამოსალები. ვეებერთოელა ორშიმო-ხრიკა კი, რომელიც ჩვეულებრივ უტარა და ათ-თორმეტ ლიტრამდე ღვინოს იტევს, ჩასავალი ჭურისათვის მოიხმარება.

ლიხთმერეთში მწარე კვახის ბარდს ბევრგან დაინახავთ: ვენახში, ბოსტანში, ჭურისათვეზე — კაპებიანი ოლიხი, ხალახინი რომ უსევა.

სექტემბრის ბოლოს, როცა მწარე კვახს ბარდი გაუმაგრდება, თეთრი ფერი დაედება, მოწყვეტენ და მზეზე გაახმობენ. გამომშრალი ხაბისაგან ორშიმო-ხრიკას გააკეთებენ. საორშიმე, სახრიყე კვახს დამრეცად, ცერად წაჭრიან თავს და ამოფხეკას შეუდგებიან. გარედან დანით გაფხევენ, შემდეგ კი ორკაპა წარაფული ჯოხით, ან ბროჭეულის ფაჩით გამოიფხევენ შიგნიდან, ამოასუფთავებენ. მას შემდეგ, რაც ტუჩისა და პირს გამოუყვნენ, შუაწელში ღვინის შესასვლელსაც ამოაჭრიან. სიმწარის გამოსაცდელად მას ნაცარწმენდილით შეზაფხულ წყალში გამოხარშავენ, „გამოადულებენ“. ბოლოს საორშიმე კვახს „გულს ამოაჭრიან“ და ზომაზე გადაჭრილ ოზილის ტარს დაუგებენ.

დაბოლოს, ღვინისა და ტკბილის შორ. მანძილზე გადასატანი ტრადიციული ჭურჭელიც მოვიხსენიოთ.

საქართველოს მარნებში იშვიათად კიდევ გვხვდება ტყავის ტიკი ანუ კუპრიელი. ტიკი-კუპრიელი, ჩვეულებრივ, თხის, ვაცის ტყავისაა. აქედანაა წარმომდგარი მისი ძეველქართული სახელწოდება — „თხიერი“. ტიკი — საქონლის ტყავის საღვინე ჭურჭელია ნაგლისხმევი ხალხურ გამოცანაში: „ცოცალია — ბალახსა სძოვს, მოკვდება და — ღვინოსა სვაშს“.



მთლიანი ტყავის ტიკს ხებ  
ნაწილებიც აქვს. მას კორ-  
ერთ წინა ფეხთან ჩარჩოში  
გამოყვანილი „მასრა“, „სა-  
თოუე“ აქვს გამაგრებული  
ღვინის გადმოსასხმელად,  
ჭიათუ და უკანა ტანში კი  
ფიცრის მრგვალი ხარატუ-  
ლი ანუ პოლორჭიყია ჩაღ-

მული მჭიდროდ. თუ ტიკს ღვინის ჩასასმელ პირს, ყელს გადავუწევთ, შიგნი-  
დან ყელის კალებზე კუპრის სქელ ფენას შევნიშნავთ. ბეჭვით შიგნით ჩაბ-  
რუნებული საქონლის ტყავის ზედაპირი მთლიანად მოყუპრულია. ამიტომაა,  
რომ დასავლეთ საქართველოში ტიკს „კუპრიელი“ ჰქვია.


ტიკთან ერთად ძველთაგან ღვინის გადასატანად მსხვილფეხა საქონლის  
ტყავის ვეება „რუმბებიც“ გამოიყენებოდა. თუ ღვინით საესე ტიკებს ცხენიც  
მოერობდა, ღვინიანი რუმბები მხოლოდ ურმით გადაჰქონდათ. ამ ნახევარი  
საუკუნის წინ ხშირად ნახავდა კაცი კახეთიდან თბილისისაკუნ მომავალ ურ-  
მებს, რომლებზედაც ღვინით საესე რუმბები იღვია.

საღვინე ტყაი-კუპრიელი დღეისათვის იშვიათობად ქცეულა. ეს მსუბუქი  
და მარჯვედ მოსახმარი, მაგრამ ადგილად დასაზიანებელი ჭურჭელი თანდათა-  
ნობით ადგილს უთმობს ხის კასრს, რომელიც მასზე უფრო საიმედოა და თა-  
ნამედროვე ტრანსპორტისათვის უფრო შესაცერისიც. დღეისათვის იშვიათად  
თუ დაიკვლება სოფელში სატრიედ პირუტყვი.

ძველთაგან ყურძნის წვენის, ტყბილის შორ მანძილზე გადასატანად ხარის  
ტყავის მოუკუპრავი ქეშელი ანუ კოლოტი იხმარებოდა.

ქეშელ-კოლოტი დღეისათვის მხოლოდ რაჭველთა სამეურნეო ყოფას შე-  
მორჩია. ზემო რაჭის მცხოვრებლებს რიონის პირას გაშენებულ ვენახებში და-  
წურული ყურძნის ტკბილი, ჩვეულებრივ, ქეშელებით გადააქვთ შინ, „მთავარ  
მარნებში“. ნართვლებს ახლაც ნახავთ მთა-რაჭის მკვიდრს, ცხენისათვის ტკბი-  
ლით საესე ქეშელი რომ აუკიდნია.

ასეთია მეღვინეობის უმთავრესი იარაღ-ჭურჭელი. ზოგი მათგანი უკვე  
გაქრობის გზაზეა დამდგარი, ზოგი კი უთუოდ მომავალშიც დიდხანს გაჰყვება  
ქართულ მარანს.



## და შეიქნა ხშირი რთველი

შემოდგომა ბარაქიან კალთას დააბერტყაცს საქართველოს ვენა-  
ხებს. მწიფე მტევნებით დაიხუნდლება ვზები. დამკრახული ყურძენი სართვლოდ  
იწვევს გლეხეაცს. კახეთში რთველი სექტემბრიდან იწყება და ოქტომბრის ბო-  
ლომდე გასტანს. იმერეთში ოქტომბრიდან, „მწიფობისთვიდან“ ნოემბრამდე  
მოდის რთვლის აღმ. ძველად გურია-სამეგრელოში კიდევ უფრო ვინან იქრი-  
ფებოდა ძალარი ვენაზი, დეკემბრამდე დაუკრეფავ ვაზებს ხშირად დაათოვდა  
კიდეც...

რთველს წინ ხანგრძლივი სამზადისი უძღვის.

შეთვალდება თუ არა ყურძენი, საკრელების და ყურძნის გადასაზიდი  
გოლორ-ძარების წვნა განაბდება სოფლად. ქართლ-კახეთში სართვლოდ უმ-  
თავრესად გოლდები იწვნება. მამაპაპური საკრეფელი — წნელის კალათა თუ  
ცალყურინი გოგროხა ბოლო ხანგბში თითქმის მთლიანად განდევნა ხმარებიდან  
თუნუქის ვედრომ.

გოლორი შინდის ან თხილის წნელისაგან იწენება. მეგოდრე წნელის ყა-  
ლიბის გარშემო მიწაში მსხვილ მანებს დაასობს, შემოამჟარივებს. შემდეგ  
ყალიბს მაღლა ასწევს, საქამის სიმაღლეზე თოკით მანებს მიუმაგრებს, ბო-  
ლოებსაც შეუკრავს მანებს. ორ-ორი წნელით გოლორს პირს შემოუწინებს,  
ნაიძედოდ გადააბაშს და „წნელის“ ამოყვანას შეუდგება. ჩოცა სასურველ,  
„სამყოფ“ სიმაღლემდე ამოწნავს, ყალიბს მოაშორებს, შეკრულ თავსაც გა-

დაუსხსნის მანებს. ამის შემდეგ მანები თაღებივით გადაიქნება წელში და წინ და წნელით ძირი ამოეშვნება გოდორს. ბოლოს მას ორ სახელურს, ყურს ჩა-  
აბაშს, მიწაში მანებით ჩარჭობილს გადმოაბრუნებს, წვეროებს თანამდებობა აჭრის, გააკოტავებს და ათ-თხუთმეტზუთანი გოდორიც შაბადა.


ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოში უმთავრესად ტკების გოდორ-საკრეფელია ხმარებაში. გამოცდილი მოხუცები, „მეკალათე-ები“, სართვლოდ მუხის ან ხის ტკეჩებისგან „დაქსოვენ“ ხელკალათებს, წოწოლა გიდლებს, ხელით გადასაზიდ თუ საზურგე გოდრებს.

სწორ და უკორძო წნელს „დატკეჩავენ“: დანის წვერით თავს აუჩენენ და აატყავებენ. ანატკებს, ნახადს, გასწორდენ და ბრტყლად გამოიყვანენ. ხელკა-ლათასა თუ გოდორს ჯერ ძრო, ძირი, გამოეშვნება უკრედებად, შემდეგ — გვირდები ამოქსოვება. კალათას ხელი ანუ რკალი ტკეჩისავე დაეგება, გო-დორს კი ღლევჭის, თოკის ან თასმის სამხრეულები გაუკეთდება.

უურძნის შორ მანძილზე ურმით გადასაზიდად ვება ძარაც დაიწვენება შემერისა ან თხმელის წნელისაგან.

როგორმაც ერთი-ორი კვირით აღრე ქვევრების რეცხვას შეუდგე-ბიან.

პატარა ქვევრების გასარეცხად „საზედაო სარცხი“ იხმარება. თხილის ან შინდის გრძელი ტარის ბოლოზე შეკიდროდ ასხმულია ბალამწარის ან არყის ხის ქერქის — ჭიმის, ოფიკოს ფურცლები, ზემოდან და ქვემოდან წნელის რჩოლებით ან ხის ბრტყელი კოლოებით, ქუდებით გამაგრებული. მრეცხავი ზემოდან დაადგება ქოცო-ქვევრას გრძელტარიანი სარცხით. გამეტებით დაუ-შეებს ჭურჭლის კედლებს სარცხით ხეხეს, ზემოდან ქვევით იქნებს სარცხს და თან ყოველ დაქნევაზე ქვევრის ძირში ჩასხმულ, ჩაყენებულ წყალში ამოავ-ლებს თავით. „სვე და სვე დაყოლებით“ გახეხას ქვევრის კედლებს, ასე სამ-ჯერ შემოვლის შემდეგ ქვევრს წყალი გამოეცვლება. ჭურჭლიდან წყლის ამო-საქცევად მხრტლი, მაგრამ გონქამბავილური ხელსაწყო — ხაპირი ანუ რჩხელი იხმარება. ესაა აყირო გოგრის ან სპილენძის ჭამი, რომელსაც თოკით თრი გრძელი ტარი აქვს შებმული: ერთი — პირზე, მეორე კი ძირზე. ჩაპოლეს ქვევრში ხაპირს, ზედა ტარით დააწვება და ხაპირის ჭამი წყალში ჩაყურყუმე-ლავდება, შემდეგ წყლით საესე ხაპირს ორივე ტარის შემწეობით ქვევრიდან ამოიტანს, ძირზე მობმულ ტარს ამოპერავს და წყლიან ჭამს გვერდზე მოაპირ-ქვავებს. წყლის გამოცვლის შემდეგ მრეცხავი კვლავ სამჯერ შემოვცლის ქვევ-რის კედლებს ხეხვა-ხეხვით... როცა ქვევრი საქმარისად გაირეცხება, ჭურჭლის კედლებსაც შეეტყობა და შიგ ჩასხმული წყალიც დაწმინდავდება, ქვევრიდან



წყალს ამოაქცევს და გრძელ ტარზე დახვეული ტილოთი, ანუ მაწაწურით ქვევრს ამოამშრალებს...

დიდი ქვევრებისათვის განკუთვნილი „საქვედაო სარცხი“ ნაირგვარია. კა-  
ხეთში „საქდომი“ ქვევრი კრაზანით იხეხება. კრაზანა მინდვრის ეკლიანი ბალა-  
ხია, მქლავის სიმსხოდ შეკრულ-შეკონილი, მშვილდივით მოხრილი და თავებ-  
თან სვით ან წნელით გადაბმული. ხოლო დასავლეთ საქართველოში „ჩასაგა-  
ლი ჭურის“ გასარეცხად ბლის კანისაგან შეკრული მოკლეტარიანი სარცხი  
ანდა ეკლოვანი თაგვისარას ცოცხი გამოიყენება.

ფეხშიშეველი, ჩეულულებრივი, წელზევთ ტიტველი ჩადის მრეცხავი ჭურ-  
ქვევრში. დიდი ქვევრის გახეხვა-გარეცხვას მთელ დღეს მოანდომებს. ერთი-  
ორგვერ ამოვა კიდევ ქვევრიდან სულის მოსათქმელად, დასანაურებლად.

ძველად უზარმაზარ ქვევრებში კიბეებით ჩადიოდნენ გასარეცხად. ზოგ-  
ჯერ ერთდროობულად ორი-სამი კაცი რეცხვდა ქვევრს. მძმე შრომის შესამსუ-  
ბუქებლად სიმღერასაც დააგუგუნებდნენ.

გარეცხეს შემდეგ, გაბზარულ-გატეხილ ქვევრს გახიზავენ. ხიზი — ერთად  
მოღლულებული თხის ქონი, დაფქვილა აგური და ნაცარია. ბოლო ხანებში და-  
ზიანებული ქვევრების დაცემებრებასაც მიმართავენ.

სართვლოდ საწინახლებიც გამოირეცხება, სხვა ჭურ-  
ჭელ-ხელსაწყოც გასუფთავდება, გამზადდება...

ლინითიმერეთში ჭურისისავის დასაგოზად აყალო მი-  
წასაც მოიმრავებენ...


ამასობაში რთველობაც მოაწევს. თვალდათვალ შეეტ-  
ყობა ყურძენს სიმწიფე. მწიფე ყურძენი ღულის დაიწ-  
ყებს, კანი გაუთხელდება, გამშვირვალე გაუხდება. ყურ-  
ძენი „ჩაშავდება“, თეთრი — „ჩაქათქათდება“, ზოგი სხვა  
ნიშნითაც შეატყობენ სიმწიფეს დასკრეფ ყურძენს:  
მტევანი „მუხლში მოფამვალდება“, „ბუზი მოედება“,  
ხელში გაჰკულეტილი მარცვალი „დუდკოს, წებოს გაი-  
კეთებს“... ზოგი ჯიშის მრცვალი „გარხევაზე ძირს ჩა-  
მოცვივა“...

და აი, რთველიც დაიწყო კახეთში.

მზემ დახედა მტევნებით დახუნდლულ ვაზებს, დილის  
ნამი შეაშრო მწიფე ყურძენს და მერეფავთა ერიამუ-  
ლიც მოედო ვენახებს. მერეფავი უმეტესად ქალია. მათ-  
თან ერთად ყმაწვილები, მოხუცი მამაკაცებიც ინაწილე-  
ბენ ყურძნის კრეფის არცთუ მძიმე ტვირთს. მეზობლე-  
ბიც, მოკეთებიც მოუწვევიათ რთველში დასახმარებ-  
ლად. ვენახის ცალი მხრიდან, ღობურად მიპყვებიან ვა-  
ზის მწერივებს საკრეფლით ხელში. პატარა ჯიბის დანით  
ჯუნწში აჭრილი ყურძენი ჩაიკრიფება თუნუქის ვეღრო-  
ებში, კალათებში, გოგროხებში... ყურძნიან საკრეფლებს  
ვენახის შარების თავსა და ბოლოში ვეება გოლრები  
ელოდება, ძირში ჩაფენილი ვაზის ფოთლებით. მათ ახ-  
ლომახლო ჯან-ღონით საესე მამაკაცები, ბიჭები —  
„მეგოღრები“ ტრიალებენ. თუ მრანი ახლოა, ზურგით  
მიწიდავენ ყურძნიან გოლრებს, თუ არადა, ურმებზე  
დაუდებენ.

საკოლმეურნეო ზერებში დაკრეფილ ყურძენს კი სა-  
ტვირთო მანქანებით გადაზიდავენ...

არც საჭმელი ყურძნის მორჩევა აღიწყდებათ. ცალკე  
ჩაკრეფენ კალათებსა თუ გოგროხებში სათვალიო, ლა-  
მაზ მტევნებს. წყვილმტევნიან აკიდოებს, გრძელ-გრძელ  
ჩხებსაც აჭრიან, ხელით თუ საკიდრით ციმციმ მიიტანენ  
საჭმელ ყურძენს შინ.





დღესასწაულს მიაგავს რთველი. „დიღ-პატარა სულ მხიარულობს“, „პატარას თვალს მოსავალი და ყურძენი იტაცებს, დიდის თვალს კიდევ ის ახალებს, რომ თავისი ჯაფის, გაზაფხულ-ზაფხულის შერმის ნაფასურს, მონაგარს ხედავს“. ზოგჯერ სიმღერაც გაისმის ვენახებში...

ერთხანს მიწყდება ვენახებში ერიამული. პურის საჭმელად დასხდებიან მკრეფავები, მეგოლტეები. მალე ისევ გჩალდება რთველი, ისევ გაიჭიმება სოფლის გზებზე მარნისაკენ მიმავლი გოლტებით დატვირთული ურმების ქარავანი...

მთელი დღის შერმას საღამოს მასპინძლის სახლში ლინი აგვირგვინებს. ტრადიციისამებრ, რთვლის მონაწილეთათვის შავი თხა დაიკვლება.

უმაღ სოფლის ბოლოზე გადაჭმული დიდი ვენახები დაიკრიფება, შემდევ შინა-ვენახებზეც მიდგება ჭერი.

რთვლის შემდევ ყმაწვილები დაკრეფილ ვენახებს „მოიგონგორავებენ“ „დადიან მჴკრივებში, შემთხვევით დარჩენილ ყურძენს ექცები და თან მღერიან: „წინ გონგორავ წინ ყურძენი“...

როცა კახეთში თითქმის მიიღევა რთველი, დასავლეთ საქართველოში მაშინ გაჩაღდება ყურძნის კრეფა. მწიფობისთვიდან გამოცოცხლდება სერებსა და მთის კალთებზე შეფენილი უნახები. სოფლის გზებზე აჭრიალდება ყურძნიანი გოლტებით, ძარებით დატვირთული აჩახა ურმები.

ცოტა მოგვიანებით კარ-მიღმოზე შემორჩენილი თითო-ოროლა მაღლარი ვაზიც გაიკრიფება.

ძევლად გურია-სამეგრელოში მაღლარი ვენახის დასაკრეფად „ნადს შეიწევდნენ“. მაღლარის კრეფა საშამაკაცო საქმე იყო. ნადი დილიდანვე მოიყრიდა თავს. მკრეფელი თავისი გიდლითა და ბაწრით მოდიოდა. ისაუზმებდნენ და მაშინვე ვენახს მიაშურებდნენ. მკრეფავი ხეზე თან გიდელს იტანდა ქამარში გარჭობილი კაქვით, ღვარლვალით. გიდელს ნის ტოტზე ჩამოჰკიდებდა და გამა-



ლებით ყურძნის კრეფას შეუდგებოდა. „პოვიხაში“ — უნაგირა ადგილას მარჯვედ ჩამჯდარი მკრეფავი ვაზის ღაშორებულ ტორებს კაცის მეშვეობით მოიწვედიდა.

ხების ძირში, „ნადის შუაგულში“, გოდორი იდგა, იქვე „გიღლის მცვლელი“, 12-16 წლის ყმაწვილი ტრიალებდა. — „ა, გიღელი“, — გაისმოდა დროდადრო ხის კენწეროდან და ყურძნით სავსე გიღელი ჩამოეშვებოდა თოკით. ნაცნობი შეძახილის გაგონებაზე გიღლის მცვლელი სავსე გიღელს მიაშურებდა, მას კაცვიდან ჩამოხსნიდა და სანაცვლოდ ცირიელ გიღელს ჩამოჰკიდებდა, თან მკრეფავს შესძახებდა, — მშვიდობით ჩამოდიო. (ამით გიღლის გამოცვლას ანიშნებდა), სავსე გიღელს კი გოდორში ჩაცლიდა.

ნაშუადღევს მკრეფავები მუშაობას შეწყვეტდნენ და მასპინძლის ოჯახში საღილად მოიყრიდნენ თავს. ნასაღილევს კვლავ ვენანს მიაშურებდნენ. მკრეფავები ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ. ვინც პირველ გიღელს ჩამოეშვებდა, ან ხეს ყველაზე აღრე გაკრეფდა, მისთვის ჭილდოდ ვახშამზე ღორის თავი იყო დაწესებული.

გურიაში მალლარის კრეფას თან ახლდა სიმღერა-გადაძახება და „ლექსობა“. მკრეფავები ერთმანეთს „უბას უქცევდნენ“ — საქილიკო ლექსებით ეხმაურებოდნენ. ხშირად ერთო ნადი ასე მეორესთან ლექსობდა. „კრეფაზე“ მთავარი მაინც იყო „ა, გიღელი“ გადაძახება, ზოვგერ სოფლიდან-სოფელსაც რომ გადასწედებოდა ხოლმე.

აი, გადმოუშვა მკრეფავმა ყურძნით სავსე გიღელი და თან სიმღერით გადმოსძახა:

„ა, გიღელა, თოხისტარა“.

სხვა მკრეფავებმა კი ერთხმად დასჭირებულია:




ჰომ, ჰომო, ჰომო და ვიო...  
ლორმა ჭური მოგითხარა,  
ჰომ, ჰომო, ჰომო, ვიო...  
სახლის გეერდზე მოგიტანა  
ჰომ, ჰომო, ჰომო, ვიო...


პირველ ნაღს შეზობელი ნაღი აპყვა, მას კიდევ სხვა... „ა, გიდელას“  
გადაძახილმა შორეულ სოფლამდე მიაღწია...

ერთი ნაღის მერეფავმა მეორისას საქილიკო ლექსი გადასძახა, დანარჩენ  
ნებმა მიაყოლეს „ეიო“... ახლა მეორე გამოელექსა პირველს...

თანდათან გაიკრიფა ყურძენი ხეებზე... მაღლიდან ხშირ-ხშირად გაისმის  
მხიარული შეძახილი:

ა, გიდელი ხარაბუა,  
დავკრიფე და არ აბია...





## იაგუნდის მარანშია ღვინო დგება ლალისფრისა

როველში დაკრეფილ ყურძენს კახეთის მარნებში უმეტესწილად ფაბრიკული საწურავი მანქანით მოერთს დაწურვა. მხოლოდ ზოგ მარანში ჭერაც არ გაუქმებულა მამაპაპური საწნახელი. იშვიათად კიდევ ვნახავთ ძველებურად ყურძინის წურვას.

ყურძინიანი გოდორზე ჩაცალეს საწნახელში. მის ძირში თავისებური საწურავი გამართული. გარდიგარდმოდ გადაწყობილ ხის რიყებზე გადებულია წმინდად დაწნული ლასტი, ტუპკირი, რომელზედაც ჩადუნა ან ვაზის ფოთოლია გაშლილი. დაწურევის დროს ყურძენი მოჩადულ ლასტზე „ზედ არ გაილესება“, თანაც რიყებზე მალლა მდგარი ლასტი ქვეშ თავისუფლად გაატარებს ჭაჭაშეურეველ წმინდა წუვნენს.

აი, გაიკო მწიფე ყურძინით საწნახელი და მწურავმაც საგულდაგულოდ დაიბანა ფეხები. ურყევი ტრადიციით, ყურძინის წურვა სამამაცო საქმეა. ფეხშიშველი, მუხლებამდე შარვალ „აკვალთავებული“ ჩადგა მწურავი ყურძინით თავმობმულ საწნახელში.

ძველად დიდ საწნახელებში ერთდროულად ორი-სამი კაცი სწურავდა ყურძენს. დაწურვის დროს დინჯი, „მუხლის ამყოლი“ სიმღერა სცოდნიათ:



მწურავი თავდაპირველად აუჩქარებლად გაუვლ-გამოულის ყურტკული ცხლილი ნელა დააყოლებს ტეპნით.“ როცა ყურქენი დაბლა დაიწევს, გამოსტობით მისი რად „ჩასცემს ფეხს, გათქვეფამს“, ბოლოს კი ყურძნის ჭავა ქუსლებით გაისრისება, „გაიქუსლება“. რაკი საწნახელში წვენი დაგუბდება, ჭავას გადაუქცევს: ცალი მხრიდან მიჰყება, გრძელტარიანი ხის ნიჩბით გადაბრუნებს. ერთხანს წვენი გაიურება, გაიწირტება, შემდეგ კი ჭავა კვლავ გამეტებით გაქუსლება...“

ნავ-საწნახლის ძირში დატანებული ხის ან თიხის მიღიდან, ინდურიდან, ჯერ მღვრი და ძალზე თხელი წვენი, „წინწააქარი“ გამოდგაფუნდება, მას რაკრავა და წმინდა „შუაწვენი“ მოჰყება. ბოლოს კი სქელი და ძალიანი „უკანა-წვენი“ ანუ „გამონაქაზი“ წამოვა...“

ძელად სხევადასხევა ღირსების მქონე წვენისაგან დიდი ვენახის პატრონები ცალ-ცალკე აყნებდნენ ღვინოს.

დაწურული ყურძნის წვენი, ტკბილი, მოელინება ინდურის ქვეშ შედგმულ ცალკეს ღარზე, რომლის თავი ქვევრის პირამდეა გადებული. ღარს „უკან თავისივე ქუსლი აქვს შერჩენილი, რომ წვენი უკან არ წავიდეს“, წინ, ტუჩთან კი ქვევედან ფოთოლი აქვს ამოკრული, — წვენი „უკან არ აიხვევს“ და არ დაიცვა.

ქვევრს დაწურული ტკბილით მხოლოდ ბეჭებამდე დააცლიან გავსებას, იმ ვარაუდით, რომ ჭავის, „დედის“ მიღების შემდეგ პირამდე ერთო-ორი მტყა-ეელი დააკლდეს; ამგვარიდ „საღულზე დაყენებულ“ ქვევრში ღვინო „დუღილ-ში არ დაიღვრება“.

ტკბილს ქვევრში ჭავა მთლიანად დაყრება, „თავის ნაწურს თავისი ჭავა მეიცემა“. წითელიცა და თეთრი ღვინოც მთლიანად ჭავაზე დაღულდება. სწორედ ამიტომა ასე ფერიანი, სქელი და მაგარი კასური ღვინოები.

საფერავის ტკბილს დედას დაწურვისთანავე მისცემენ, თეთრი ყურძნის წვენს კი, ჩეელუებრივ „ღამეგამოტარებულ“ ჭავაზე დაღულდება. საწნახელში ჭავას ნაპირზე მიტკპნიან და დილამდე დატოვებენ. ამ ხნის განმავლობაში ჭავა გაყვითლდება. დილით მას აჩეჩავენ და ტკბილიან ქვევრში ჩაყოლებენ, ღამეგამოვლილი დედა „გააყვითლებს, გაალამაზებს“ თეთრ ღვინოს.

ზოგი ქვევრი თავდახურული იღულებს. ჭურჭელს „სასულე“, ანუ „საქარე“ აქვს დატოვებული: ქვის სარქველის ქვეშ დაგრეხილი წნელი, უინულილია მოყოლილი — ღულილის ღროს „პარის სამუშაოდ“, „ოხშივარის გამოსასელელად“. მცირე საღულზე დაყენებული ქვევრები კი თავლიაა. მხრებში ჭარე-დინად ჭოხები, „ხიდები“ აქვს გადებული, რომ ჭავამ ღულილში „ძალზე არ ამოწიოს და ღვინო არ დაიღვაროს“.

ქვევრში ტკბილი „სამი-ოთხი დღე მაგრა დუღს, ერთი გახურება — გახურება, ჩახახებს, მერე დაშოშმინდება — ერთ კვირამდე ჩუჩუნებს, ჩუჩუნებს და გაცივდება, დადგება“.

„ხშირი დასახედია დუღილში“ ქვევრები. დღეში ორჯერ მაინც დამუშავებული ქვევრს გრძელტარიანი დასარევით, რომელსაც ბოლოზე „გვარედინად ჩხარები იქვს გაყრილი, რომ ჭაპა წაილოს ძირს“. ქვევრის პირზე ქუდივით შეკრულ ჭაპის დასარევით გატეხავენ და მაგრად დაურევენ. „დაბლა ჩაბრუნებული ჭაპა ფერს უკეთეს გამოსცემს“, არც ღვინო დამჟავდება.


მიიღია რთვლობა კახეთში. დაიკრიფა ზვარ-ვენახები. ყმაწვილებმა ყურძნიც მოიმცრიეს, მკრეფავის თვალს რომ გადაურჩა. მერე სიჩუმემ დაისადგურა ვენახებში. ღვინობისითვე ეწვია კახეთი. გლეხეცაცის მთავარი საზრუნავი ეხლა ღვინოა: წამდაუშუმ შეიღება მარნის კარი...

ქალებასაც გასჩენით საქმე: საჭმელ ყურძნებს ლასტებით მზეზე ფენენ, ჩინარებით თორნეში ჰყიდებენ და აჩამიჩებენ, თათარას აღუღებენ, ჩურჩხელებს ავლებენ...

ვეებერთელა სათათარე ქვაბი შემოუდგამთ ტკბილით ცეცხლზე. როცა ტკბილი მოღულდება, ჩანახევრდება — მობადაგებულს ცეცხლიდან გამომოლებენ, გააცივებენ და გამტკაცულ პურის ფქვილს მოუკიდებენ. შემდეგ ისევ ცეცხლზე დაღხანს აღუღებენ, თან დიდი ხის კოვზით ამოზელენ.

აი, მოღულდა, მოშუშლა თათარა. ახლა კი ნიგვზის, ჩამიჩის ჩურჩხელების ამოვლებას შეუდგებიან. დაჭრილი ნიგვზის ლებნები, თორნეში „ჩამიჩიით შემწვარი“ ყურძნის მარცვლები ასხმულია ნართის ძაფზე, ამას კი ნართის ან ორწევრი ძაფის სათაური აქვს შებმული, ჩურჩხელის ამოვლების ღროს ხელის წასავლებად და ხარიხაზე ასაცელ-გასაკიდებლად.

ცხელ-ცხელ თათარაში ნიგვზისა თუ ჩამიჩის ასხმას ჩაპყოფენ, თან კოვზით პირს მოუშუობენ, ამგვარად თათარაში ამოვლებულ ჩურჩხე-



ლებს საჩქაროდ ერთიმეორებზე ხარიხებზე ასსხამენ და ბოძებზე გასაღებენ. ოდნავ შემურალ ცალპირ ჩურჩხელებს თხელ თათარაში ხელმეორედ მერავლებენ და კვლავ ხარიხებზე გაჟიდებენ. კარგად გამომშრალ ჩურჩხელას წრდინებული ეპიზოდი შეინახავენ, ჩაშაქრდება და გათეთრდება ტკბილი და გემჭველი ჩურჩხელა.

მარტებში კი კვლავ ქვევრებს დასტრიალებენ... თანდათან წელდება დუღილი. დაწურვიდან მეცხრე-მეთერთმეტე დღეზე უკვე დაშოშმინდება ქვევრებში მაჭარი.

უკანასკნელად დაურევენ ქვევრებს, სარევით ჩატეხავენ ჰურჭლის პირზე მომდგარ ჭაჭას და ძირისაკენ დაბრუნებენ...

ერთ-ორ დღეში კიდეც გადაიღებენ ღვინოს. მეტადრე წითელი ღვინო საჭიროებს დაღულებისთანავე გადაღებას — „თხლის გამორიდებას“, რომ კლერტმა არ „გაყრიცხს“, ფური არ დაუკარგოს. საგრძნობლად უფრო მტანი თეთრი ღვინო კი ერთ-ორ კვირასაც დარჩება ჭაჭაზე. ზოგჯერ მას „თხლეზეც გადაავსებენ“ და გადაუღებლად დატოვებენ გაზაფხულამდე. სანაქებოა თხლეზე და მაღალა ღვინო: „ჭაჭაზე ღვინო კეთდება, მაგრიც არის და სათვალიოც“.

1 გადაღებამდე წინდაწინ ქვევრები დაირეცხება, საგულდაგულოდ დაიხეხება გრძელტარიანი სარცხითა თუ კრაზანის კონებით... აუჩქარებლად, ფრთხილად ამოიღებს მეურნე ქვევრიდან ღვინოს, რომ მის ძირში თხლე არ ამიმვრეს და გადაღებულს თან არ შეპყვეს. ჯერ პატარა, ორჩარექიანი ხელადით მოამხობს ღვინოს, შემდეგ თიხისავე ცალყურას ან ჩაფურას და სპილენძის ხელჩაფას თუ თუნგინას მოიშველიებს. ჩაპყოფს ღვინოში გრძელტარიან ჰურპელს, ტარს დააჭირს, ჩაყურყუმალავდება, ამოიღებს სავსეს და მეორე ქვევრის პირზე დადგმულ სპილენძის საწურში ან აყირო გოგრის ვეება ძაბრში მოაპირევავებს, რომ წიპწა არ შეპყვეს გადაღებულ ღვინოს. შემდეგ უფრო წვრილი ჰურჭლით მოსწურას ღვინოს: წნელს ჩააბამს ორ-სამხელადიან ცალყურას... ბოლოს კი თვითონ მოუხდება ქვევრში „ჩაჯდომა“. ქვევრის ძირში ფილს გააეთებს: „ჭაჭას ამოანგრევს, ამორჩუტნის“, ქვევრის კედლებზე შემთაყრის, ძირს გამოუჩენს და ცალყურით, ჭამით, თასით, ამოსწურას სანაქებო, მაგარ ფილის ღვინოს.

ღვინის გადაღების შემდეგ ქვევრს „გაწყობილი საფარებელი“ სპირდება. ქვევრის პირზე ვაზის ფოთოლს დააფენენ, ან ქვის ხავსს დაუგებენ, ზედ ქვის სარქველი დაედება, დაეხურება, მას კი ზემოდან მიწა დაეყრება და დატკეპნება.

ზოგჯერ სარქველს აყალო მიწით დაგოზავენ: „თიხა-მიწას დაასორსლებენ,

შვერის პირზე დააკრავენ, მერე სარქველს დაადებენ და დაეკვრება ვშე-  
ნიკრად“.

ერთი გადაღება როდი კმარა ლვინისათვის. წლამდე დატოვებულ ლექის მიზანი არის მოსახლეობის გადასაცემი. თუ პირველ გადაღებაზე „გამოარიდეს“, შემდეგ მას ძირში დალექილი როქი, ლექი უნდა მოსცილდეს. გადასაცემი ლვინონ აიმღვრევა, გადაბრუნდება, ერთიანად აირევა დურდი და ლექი, ასეთ ლვინოზე „არავის მიუვა თვალი“. ლვინოს მეორედ ერთი თვის შემდეგ გადაიღებენ, „მესამე გადაღება გაზაფხულის პირზეა, ერთი გადაღება ზაფხულშიაც დასჭირდება...“ სანამ როქს არ გამოილებს, არ მოსცარბდება გა-  
დაღება“., „რაც ჩქარ-ჩქარა გადაიღებენ, უკეთესია, ლვინონ რომ იღლება, უფრო კარგი გამოდის“.

ლვინოს ხშირად დახედავენ. თუ პირზე ბრკე აქვს მოგდებული, მოაშორებენ. განსაკუთრებული სიფრთხილე ზაფხულში მართებთ. ამ დროს მარანი ხშირად ირწყვება, კიდეც, რომ სიცხემ არ „დაძალოს“, არ დაამჟავოს სასმელი...

კახეთში „მხიარულმა მატრობამ უკვე მოქამა თავისი დრო“, ლიხთიმერეთის მარნებში კი კიდევ მიუსწრებთ ყურძნის წურვას. აქ დღესაც მამაპაპურად საწნახელში სწურავენ ყურძნენს. საწნახელში ჩაცლილ ყურძნენს მის ფაკერზე მოჩადული წნელის ლასტი არ დახვდება. მის მაგივრბაზ ეწევა ვაზის ლერწის კონა ან თავისიარას პატარა ცოცხი, „ციცხვი“ — საწნახელში ტკბილის გამო-  
სასვლელ ხერელთან მოთავსებული.

საწნახელში ჩამდგარი მწურავი ყველაზე ბოლოს ყურძნის წინა პირს მოტკეპინის, რომ „ციცხვს არ დაწვეს და წვენი არ დააკავოს“. მას შემდეგ, რაც ჭაჭაპის მთლიანად „ჭაჭალის გაგდებით“ დახმარებას, დიდი ნიჩბით ჭაჭაპ უკან შესწევს და ნიჩაბს „გაუგდებს“, — ნიჩბის ტარს საწნახელზე გარდიგარდ-  
მოდ გადებულ ჯოხს გამოსცებს, თვითონ კი ჭაჭაზე შედგება. ერთხანს „იწბელე-  
ბა“ ასე ჭაჭა, შემდეგ კი მას ნიჩბით ნაწილ-ნაწილ „ჩამოჩეხავს“ და ჭუსლით  
გასრესს. რამდენჯერმე კვლავ უკან შეაქუჩებს ნიჩბით ჭაჭას, შემდეგ ისევ ჩამო-  
ჩეხავს — „ერთი ბიმბილიც არ დაჩჩება დაუჭყლეტავი“...

დაწურული ტკბილი საწნახელის ინდურთან შედგმულ თიხის პირგართო  
ისარხა-სატებილები გროვდება ან ხის ლარით პარდაბირ ჭურში ჩადის...

იმერეთში მეტწილად ლვინოს ჭაჭაზე აყენებენ. ოღონდ, კახური წესის-  
გან განსხვავებით, ტკბილს ჭაჭას მცირე ნაწილს მისცემენ, ტკბილს ჭაჭა „შე-  
მოზომილად“, „წყვით“ დაეყრება: თეთრ ლვინოს საპალნეზე ერთ ბაომანამდე,  
ხოლ წითელ ლვინოს ერთ საპალნეზე ერთიან — ოთხ ფუთამდე ჭაჭა.

შავ ყურძნენს, ზოგჯერ რამდენიმე ჭიშს ერთად დაწურულს, თავისავე ჭა-  
ჭას მისცემენ, „თავის ფერში აყენებენ“, იციან. თეთრი ყურძნის ტკბილის წით-  
ლად შეფერვაც შავი ყურძნის ჭაჭათ...

თეთრ ღვინოს, ჩვეულებრივ, „ღამენათევ“ ჭაჭას ჩაყოლებენ. ახლად დაწურულ ჭაჭაზე დაღულებული ღვინო „თეთრია, ფერში ულამზო“, საწიაველში გაჩერებული, „დამწინილ“ ჭაჭა კი ღვინოს „კაი ზომიერ ფერსტო მუქუმდება“. წიცყვითალო, ბატის ჭუყის ფერი გამოპყავს“.

იმერელი მეურნე მხოლოდ ჭაჭაზე დაყენებულ ღვინოს არ დასჭრდება. ოჯაში, ჩვეულებრივ, ფერქი ანუ ჩევფი ღვინოც ისმება. ფერქი უჭაჭოდ დაღულებული ღვინოს: ნაზი და სასიამოვნო დასლევია, არც სიმაგრე აკლა, ღლონდ ვერ ძევლობს, დიღხანს ვერ ინახება ეს მოწონებული ღვინო.

რა თავისებურად აყენებენ წითელ ღვინოს, თუ საკარგო, საძელოდ განკუთვნილ, თეთრ ღვინოს რაჭა-ლეჩხუმისა და გურია-სამეგრელოში. ჭურში ჩაწურულ ტბილს ისევ საწნახელში დაბრუნებენ, აქ დატოვებულ ჭაჭაზე დაღულებენ. ღვინოს ღროდაღრო ფეხით შეზელენ. სახელგანთქმული რაჭული ხეანქარა სწორედ ხორგო-საწნახელში „გაყენებული“ ღვინოა.

გურია-სამეგრელოში ამ წესით სხვადასხვა ფერის ღვინოს აყენებენ. ერთხელ შეზელით, „დაწნებით“ ვარდისფერი ღვინო „გამოვა“, მეორედ „ღაჭნებენ“, სამ ღლეს დაცდიან, აღულდება, „ხანს მოითევს“ და შავ ღვინოს „გამოიღებენ“. „უშავესი“ ღვინის მისაღებად შავ ღვინოს „კარდალში“ მოადულებენ, შემდეგ საწნახელში გაღუშებენ, დანარჩენ ღვინოში შეურევენ, „გამოვა ზედმიწევნით შავი ღვინო“.

დაწურა ლიხთმერეთის მარნებში ყურძნენი... ზოგან ღვინო ჭურებში ღლულებს, ზოგონ საწნახელში დამაჭრდება. ტბილით საჟე ჭურები თავდახურულია, ხის ბაღიმს ზემოდან აყალო მიწა აქვს დაგლესილი. მის შუაში კი თიხის ან ლერწმის მასრას, „სასულეს“ ამოუყვია თავი.

ტბილი მეორე ღლესვე გაიღვიებს, ამბოხად იქცევა, ამოძრავდება, წვრილ ბუშტულებს დაიყრის, პირზე რქეს მოიყენებს. თანდათან შეხურდება: შუშხუნებს, იქბინება, ბუშტებს დაიმსხვილებს. აბუყბუყდება, აფოვინდება, შფოთავს, დუღს. მესამე-მეოთხე ღლეს ნელ-ნელა ჩაიქმინებს, ქაფს გადაიწმენდავს და მიიძინებს. ამბოხი დამაჭრდება. მაჭარს სიმწარე აქვს, ენას ეთამაშება.

მევენახე მოღულიარ ჭურებს დასტრიალებს. ღროდაღრო თავს მოხდის ჭურს, გრძელტარიანი სარევით დაურევს. თავზე მომდგარ ჭაჭას კვლავ ძირში დააბრუნებს. საწნახელში გაყენებულ ღვინოსაც მიხედავნ ღულილში. ორჯერ-სამჯერ საწნახელში ჩადგებიან შიშელი ფეხით. ჭაჭას შეზელენ ღონივრად: ღვინო უკეთესად შეიღებება...

ავერ თუთის ხესათ ვებრა ვებერთელა ჭაბრაკიანი საქაჩივი აუწყვიათ. მორჩენილი ჭაჭას დაქაჩის შესდგომიან. ორი მამაკაცი ატრიალებს ჭაბრაკს შიგ გაყრილი სახელურის შემწეობით, მერეტაფაში ჩადგმული ხის კოდის ნაპრალე-



ბილან „ნაშენი“ „ნაწებერი“ მოქონავს... მოკლეტარიანი ორშიმოთი ხაპავენ  
ნაწებერს, ჩატუში ასხამენ: ცალკე ჭურში დაყენებენ ნატაფარ ღვინოს, რომელიც

არც ქალები არიან ამ დროს გულხელდაკრეფილი. მორჩეულ საფრენი მარტინი  
ძენს აიგნებზე ფენენ, მზეზე შემცვენარს ჭაგნებად ასხამენ... საფრენმუშედ  
ცაცხლზე შემოუკიდით სპილენძისა თუ თუქის ვეება ქვაბი... მზეს ეფიცხება  
გაკადული თხილის, ნიგზის, ხილის ჩურჩხელა-ჯანჯუხები... სამცეხა  
სუფრაზე თხლად დასხმული ტკბილი კვერი...

უკვე დადუღდა მაკარი ჭურებში, საწნახელში. „გაყენებული ღვინო“ საწ-  
ნახელიდან ჭურებში გადააქვთ. ჭურში დადუღებული ღვინო კი იმავე ჭურებ-  
ში დარჩება, ოლონდ პირამდე შეიცვება ჭურქელი მონარჩუნებული ღვინით ან  
ტკბილით. ღვინით სავსე ჭურებს თავი სამედოდ დაეხურება. ჭურს პირზე სა-  
ჯენს — ბის, ვაზის, კაცის ან ატმის ფოთლებს დააფარებენ, ზემოდან სარქვე-  
ლი, ბადიმი დაეხურება და თიხით დაიგოზება, აყალო მიწას, რომ არ დასკდეს,  
ზედ ფხვიერი მიწა, „ხვარხვალი“ წაეყრება...

ღვინოს, ჩვეულებრივ, გაზაფხულზე გადაიღებენ. ღვინო ჭურიდან ორში-  
მოთი ამოკეთ, ჩაფეხში ასხამენ და წინდაწინ გარეცხილ ჭურში გადააქვთ. ჩა-  
სავალი ჭურებიდან უფრო მომცრო ჭურებში განაწილდება ღვინო.

„საძველო ღვინოს“ მეტადრე ნაყენებს, ხმირი გადაღება სჭირდება. პირველ  
წელს მას სამჯერ მაინც მოუწევს გადაღება, „გადახალისება“.

საქართველოში, ტრადიციისამებრ, საპატიო სტუმარს ძველი ღვინით უმას-  
პინძლდებიან. ახალ ღვინოსთან შედარებით, ძველი უფრო სასიმოვნო დასალე-  
ვიცა, მარგებელიც და ყუათიანიც.

ძველ ღვინოდ წელგამოვლილი ღვინო ითვლება, ზოგან კი ღვინოს დაძვე-  
ლებულად ხუთი წლის შემდეგ მიიჩნევენ. ძველ ღვინოს მეორე-მესამე წელს  
ერთი-ორჯერ ახალ ძველებში გადაღება-გადაწმინდავება სჭირდება. შემდეგ კი  
ხელუხლებლად რჩება წლების მნიშვნელება.

ღვინის დაძველებას თავისი საზღვარი აქვს. სასმელი საუკეთესო თვისებებს  
ოც-ოცდასუთ წლამდე ინარჩუნებს. ამის შემდეგ კი ღვინო „ბერდება“, — ძა-  
ბუნდება და „წყალდება“. რაჭველი მეურნის სიტყვით: „ღვინო კაცივითაა, —  
დაიბაღება ტკბილია, მისი ბავშვობა მაჭრობაა; მერე სიმაგრეს იკიდებს და ვაკ-  
კაცდება; ერთხანს ძველობს, კაი ჭანიანი მუშავაცივითაა. მერე — ბერდება, ძა-  
ლა ყლდება და სული ძრება“.

ძველ ღვინოს ხალხური ლექსები ქებით იხსენება.

ანდაზადაც ხომ თქმულა: „პურ-ღვინო ძველი სჭობსო“..

ისტორიულ საბუთებში, სიგელ-გუგრებში თუ ნასყიდობის ნუსხებში ხშირად იხსენიება „ქველი ღვინო“, რომელიც ერთო-ორად უფრო ძვირაა „მწვარეთან“ და „ღვინოსთან“ შედარებით.

ქართველი მეურნის სიტყვით „ღვინო მაღალი (სათუთა) შესანახა“. „ღვინოს უთქვამს — მომიარე და მეც მოგვილიო“. მხოლოდ გულმოდგრენ და წესიერი მოვლით დგება უზადო და საღი ღვინო. მაგრამ გულხელდაკრეფილი არც მაშინ არის მეურნე, როცა ღვინოს ესა თუ ის ზაღი თუ „ხელი“ ომშიჩნდება. ხანგრძლივმა გამოცდილებამ მევენახეთა თაობები ღვინის სხვადასხვა და-ავადებათა მიზეზებსაც მიახვედრა და მათ სასმელის „გამოკეთების“ ხერხებიც უკარნახა.

ლიხთომერეთში დაბშულ, უჰაერო მარნებში დიდხანს შენახულ ღვინოს ზოგვერ „ხელი“ უჩინდება — შემირის სუნი და გემო მიეცემა. ასეთ ღვინოს ღია მარანში გადატანა და ხშირ-ხშირად გადაღება-გადაწმინდავება თუ უშველის.

არასაქმარისად გარეცხილმა ქვევრმა იცის ქვევრის ანუ ჭურის ხელი. ღვინოს „კეცის და ჭუპუსის სუნი დაჭრავს“. ასეთ ღვინოს „ხელი უნდა შეუწყო“, — ხშირ-ხშირად გადაიღო, „გადამწმინდა“.

დიდი ხნის უხმარ „დახამებულ“ ჭურში ღვინოს ხმელის გემო მიეცემა: ხშირი გადაღებით „ხელი თუ უწყვე, შეიძლება მოიხადოს“.

ნაკლულ ქვევრში ღვინო პირზე ბრკეს, ობს მოიკიდებს. ბრკე უჩინდება აგრეთვე ნამიანში ან ნაწვიმარზე დაკრეფილი ყურძნის ღვინოს. ღვინოს ხშირ-ხშირად უნდა მოშორდეს პირზე მომდგარი ბრკე. ასეთი ღვინის ახალ ქვევრში გადაღება ან შეესებაც იციან.

უსუფთაო ჭურმა ანდა არასაკმარი სიგრილეში შენახვამ „მოლბობა“ იცის. მომბალი „ღვინო ლორწონინი გახდება, წებოსვითა: კი არ ჩაწყდება, ჩაეკიდება როგორც თაფლი“. ღვინო ფერსაც იცვლის: თეთრი ღვინო თითქმის გამჭვანდება, წითელი კი თითქოს მოშავონ ხდება. „უნდა სცადო საცადი. ახალ ჭურში გადაიღო, ქვევრს გადაღებამდე გოგირდი ჩაუკიდო, ან ღვინოში შექონილი ბერლის ჭყორი ჩაღო“.

გაზაფხულზე, თუ ღვინოს გადაღება დაუგვიანეს, „ღვინის ლექი მზის ძალას გაიგებს“, ძირიდან წამოვა, მაღლა მოექცევა, „გადაბრუნდება“, „უმსურვალოდ ააღუდებს“ ღვინოს. ღვინო ფერს კარგავს, იძლვრევა. „გადაბრუნდებულ ღვინოს“ თუმცა გემოთი არაფერი უჭირს, სიმაგრეცა აქვს, მაგრამ ისეა „ამღრეული, ადღლუმპული, პირთან მიტანა შეგვზარება“. „ხშირი გადაღებით, გადაწმინდავებით შეიძლება გამოკეთდეს გადაბრუნდებული ღვინო, დაშოშმინდეს, დადგეს თავის ჭკუაზე“.

ზაფხულის მოჭარბებული სიცხე ღვინის მოჭანგვას ანუ მოკანჭვას იწვევს.  
ნაკლუმა ქვევრმაც იცის მოჭანგვა. „მოჭანგულ“, „პანჭანერავ“ ღვინის არაფერ-  
რი ეშველება, საჩქაროდ დალევის, დახარჯვის მეტი.

საქართველოში ბოლო დრომდე შუმი, თავანკარა ღვინის გარდა წყალნარე-  
ვი ღვინოც იყო მიღებული. წყალნარევ „სახარჯო ღვინოს“ წყლის მაგივრად,  
„საწყურვალოდ“ მოიხმარდნენ. ლიხთიმერეთში ნაირგვარი სახარჯო ღვინო  
მზადდებოდა.

ხშირად, საწნახელში დატენილი ჭაჭასაგან ნაქაჩის დააყენებდნენ. ჭაჭას  
წყალს დაასხამდნენ, ან იმდენს, რამდენიც ტებილი გამოწურა, ან მის ნახევარს,  
შესამედს, მეოთხედა... წყალსა და ჭაჭას ერთმანეთში კარგად აურევდნენ „გა-  
ძეიაქებდნენ“, დასარევით. ნაქაჩი სამ-ოთხ დღეს იღულებდა საწნახელში, დუ-  
ლოლში დროდადრო ნიჩბით აურევდნენ ან ეკხით შეზელდნენ. ჭურში გადა-  
დებულს ზედ წყალდაუსხმელი, „შუმი“ ჭაჭა დაეყრებოდა.

ნაქაჩის „ზამთარში ხმარობდნენ წყლის მაგივრად, ნაქაჩი „ლუქმას გადაგატა-  
ნინებს“, „ფხაჭუნა დასალევია“, „თუმცა მშლატე გემოც აქვს“... ნაქაჩი „სტუ-  
მარს არ მიეტანება“.

ზამთარ-ზაფხულ სახარჯოდ „შუა ღვინო“ იყო განკუთვნილი. „შუა ღვინო  
ნახევარი წყალია, ნახევარი ღვინო“. ნაქაჩი ტებილს დაასხამდნენ, ორ-სამ დღეს  
საწნახელში აღულებდნენ, შემდეგ ჭურში გადაიტანდნენ და მცირეოდნენ ახალ  
ჭაჭას ჩაყროლებდნენ.

სახსიათ — შუა ღვინოს ხშირად მუშასაც დაალევინებდნენ.

იმერეთში „წყალმაჭარას“ დამზადებაც იცოლდნენ. გარეცხილ ჭურში წყალს  
ჩაასხამდნენ და მომჟავო ყურძენს (რკოს, ციცქას) დააყრილნენ დაუჭილებტა-  
ვად, მტევნინად. საპალნე წყალს ერთი-ორი გოდორი ყურძენი დაეყრებოდა.  
წყალმაჭარა დიდხანს არ დაიღულებს, ზოგჯერ „ნაახალწლევამდე არ წაუგლეს-  
დნენ ჭურს სასულეს“. სასიამონო დასალევ, „საფხაჭუნო“ წყალმაჭარას, ნაქა-  
ჩის მსგავსად, ზამთარში „ხარჯობდნენ“.

წყალნარევი ღვინო არც ქართლ-კახეთისათვის იყო უცხო. შუაღვინის  
მსგავსია ქიზიყურა „ტოპკირა“. ყურძნის დაწურვის შემდეგ ნაესაწნახლის ძირ-  
ში დაგებულ ლასტს, ტოპკირს „წყალს გადაავლებდნენ, ტებილში აურევდნენ  
და მასაც ღვინოდ დააღულებდნენ“.

აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ხმარებაში იყო შამანი, რომელიც ნა-  
ქაჩის მსგავსად მზადდებოდა. ძველქართულ წერილობით ძეგლებში და ისტო-  
რიულ საბუთებში მოისხენიება „შამანი“ და აგრეთვე, მისთვის განკუთვნილი  
ქვევრი — „ჭური შამანისაი“.

ქართველი გლეხები მხოლოდ ჩინებული მეღვინე როდია, ის დაზულოვნებული მეტაშნიერება — ღვინის ღირსება-ნაცლოვანებების მცოდნე და „შემთავსებული“ ბელი.

რაჭული მონაცემებით, ღვინის დაჭაშნიერება ყოველი „უხადი კურნის მიხედვის დროს იციან. ჭურიდან ამოღებულ ღვინოს ჭიქაში ჩასხამენ, მეტაშნიერებული „მზეზე გახედავს“ — ფერს გაუსინჯავს, შემდეგ დაყნოსვით ღვინოს „სულს“ (სუნს) შეუმოწმებს, ბოლოს კი გმოს გაუსინჯავს.

ღვინის ფერი, რაჭელი მეურნის დაკვირვებით, კარგად დამზიდებულ ყურძნის ფერს უნდა ემსგავსებოდეს. მაგალითად, ალექსანდროულის ღვინო „ალექსანდროულის ბიმბილივით გიშრისფრად უნდა იყურებოდეს“, მწვანის ღვინო „მწვანედ კამკამობს“, წულუკიძის თეთრა „ყვითლად ჭვივა“, მცვივანი „კრიალა თეთრია“...

თუ ღვინოს ჩეეული ფერი არ გამოჰყავა, ის „ფერნაცვალა“. ფერნაცვალობას შესაძლოა „ამლროულობა“ მოპყვეს, ბოლოს კი — „აიშრას“, „აჭრილი ღვინო“ გაფუშებულია.

„ყოველნაირ ღვინოს თავისი სული“ (სუნი) აქვს. კარგი „მეღვინე სულით ტყობილობს ღვინო რომელი ყურძნისგანა დაწურული“.

გემოთი ღვინო ტკბილი, მუავე, მწარე ან ძელგა. ეს ოვისებები ღვინოში მეტნაცლებობს. ზოგი ღვინო „გემოტკბილია“, — სიმჟავესთან ერთად სიტტბოც აქვს. მიმტეტებით ტკბილი ღვინო „თაღლის ნაწურივითაა“, ვაღავარბებით ტკბილი კი „ლუურტია“, „პირს ლენტყვავს“, „გულს ნოყაეს“. ზოგი ღვინო „მომწაროა“, ზოგიც — „უიხა“ ძალზე მწარე, გადჭარბებით მუავე ღვინო — „ტყემდლის წვენივითაა“, „კბილებს კვეთავს“. ასეთზე იტყვიან: „მამალს თვალს მოთხოვთ“.

მძიმე, უსიამოვნო დასალევი ღვინო „ძელგია“.

ზოგი ჯიშის ყურძნის ღვინო სქელია — „ხორციანი“, „წიალიანი“, „ძარღვიანი“, „ზოგი კი თხელია — „დაცრეცილი“, „უხორცო“, „უწიალო“...

ძალზე სქელი ღვინო „მოლელვილია“, ხოლო ძალზე თხელი — „გაპარული“. თხელი ღვინო „მჩატეა“, სქელი — „მძიმე“.

ღვინოს ხორციანობა ჭიქაში ჩასხმა-გაღმოსხმისას შეეტყობა. ჭიქაში ღვინო ზეთივით კი არ უნდა ჩაიღვენთოს“, არმედ „ცინცხლად“ ჩავიდეს, გაღმოსხმისას ისე უნდა „გაღმოეჩუროს“, რომ კედლებსა და ფსკერზე მისი კვალი არ დარჩეს.

მაგარი ღვინო დამათრობელია, „ფინთიხივითაა“, სუსტი — „ძაბუნია“, „საქალებო საშელია“.

ღვინო სხვადასხვანაირად ათრობს. „ზოგი მალე მოგვიდებს ხელს, ზოგი შემპარავია“.

ახალი ღვინო „ენას კორტნის“, „პირს შუშხაეს“, „ციცხინაა“, „ჩინჩინანა“, „ფხიანი“ ღვინოა. „ძელგი ღვინო“ პირს „აშრობს“, „შაბავს“, ხოლო შცელი, გვ-მოტყბილი ღვინო „პირს ხავერდივით ედება“.

ფეოდალურ საქართველოში მეფე-დიდებულთა კარზე ღვინის დევესტაცია საგანგებო მოხელეს—მეღვინეოთუხუცესს ევლებოდა. ხალხის ხსოვნას შემოუნახებს გამოჩენილ მეჭაშნივეთა სახელები. საქართველოს ზოგ კუთხეში მათ შესახებ გადმოცემებიც არსებობს. — ა, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მწერალ თე-დო სახოკიას გურიაში ჩაუწერია:

„გურიელს ერთი მეღვინეოთუხუცესი ჰყოლია, გვარად ანთაძე. კაცი მეტად დახელოვენებული ღვინის ღირსების გამოცნიბაში, რითაც თავი დიდად მოჰქონდა თურმე გურიელსა. ერთხელ სასახლეში უცხო სტუმრებთან ჩიმოვარლნილა მის შესახებ ლაპარაკი და გადაუწყვეტიათ, გამოვცალოთო. აურევიათ ერთმანეთში სამნაირი ღვინია: ორი მეხუთედი ფერსათული (სოფელია), ორი მეხუთედი ოსეთური (სოფელია) და ერთი მეხუთედი ჩაქვური... მოუხმიათ მეღვინეოუცემისი ანთაძე და უთქვემთ — გმოიცანიო. იძასაც გემო უნახევს თუ არა, შემდეგი პასუხი მოუხსენებია მთავრისთვის:

ფერად ფერსათულიო,  
გმოდ ოსტურიო,  
ცოტას მოიჩაქვურებსო...“





# აგუნა, აგუნა, გადმოიარე!

ამ ნახევარი საუკუნის წინ გურიის სოფლებში ახალ წელს, „კალანდის სალამოს“, ასეთი რიტუალი სრულდებოდა:

შებინდებისას სახლის უფროსი ოჯახის წევრებს ღილიან-პატარიანად მარნისკენ გაუძლვებოდა. ანთებული სანთლებით შეეკიდოდნენ მარანში, თან მიიტანდნენ საჭაპურით, ღორის თავითა და ღვინიანი ღოქით გაწყობილ გობს. ოჯახის უფროსი შუა მარანში, ჭურის თავზე დაღვამდა გობს და ზედ სანთლებს დამაგრებდა. ამის შემდეგ გობს სამეცრ წალმ შემოატრიალებდა და დაილოცებოდა, სასმისით ღვინოს დალევდა, ზედ ხაჭაპურს და ღორის ხორცს დაყოლებდა, მერე დანარჩენებიც ასევე დაილოცებოდნენ. ამას მოჰყვებოდა „აგუნას გადაძახება“: ყველანი საწნახელთან ჩამწერივდებოდნენ, ხელში ყურძნის საჭყლეტ კობულოს, ცულს, ნაჯახს, ხევდას, მსხვილ ტუქს მოიმარჩვებდნენ. ერთი მათგანი ზურგზე პატარა ბიჭს შემოისვამდა და ხმამაღლა გადასძახებდა:

აგუნა, აგუნა, გაღმოიარე,  
ბახვი, ასეან გაღმოიარე!  
ჩვენს მამულში ყურძენიო,  
სხეის მამულში ფურცელიო.  
ჩვენს მამულში გოლორ-გოლორიო,  
სხეის მამულში კიმპალ-კიმპალიო...

„მოლექსე“ თან საწნახელს ღორის თავს უკაკუნებდა, დანარჩენები კი პანს  
აძლევდნენ:

ჰო, ჰო, ჰო, ჰო... იო

და ისინიც ხელში მომარჯებდებულ საგანს საწნახელს ურახუნებდნენ. მოლექსე  
რომ დამთავრებდა, ყველაზი ერთხმად დასძახებდნენ: „აგუნაა, უუუ...“

ამგვარი გადაძახება გურიის სოფლებში ყველგან ერთდროულად იცოდნენ.  
კალანდის საღამოს „მთელი კუთხე-მიღამო“, მთელი გურია აგუნას გადაძახება-  
ში იყო, ახლო მეზობლები ერთმანეთს ეხმიანებოდნენ, ერთი რომ ერთ მუხლს  
იტყოდა, შემდეგს მეზობელი განაგრძობდა.

ამავე საღამოს იცოდნენ „აგუნაზე სირულიც“; ათი-თხუთმეტი კაცი მოიყ-  
რიდა თაეს, მეზობლების ჩამოივლიდნენ გაწყობილი გობით, მიულო-  
ცავდნენ, საწნახელს გამეტებით ურტყავდნენ, თან ერთხმად „აგუნას“ გადას-  
ძახებდნენ. რამდენიმე სახლის შემოვლის შემდეგ ერთ-ერთ ოჯახში ლხინი იმარ-  
თებოდა.

მსგავსი საახალწლო რიტუალი სამეგრელოსა და ლეჩხუმშიც სრულდებო-  
და, ლეჩხუმში ვენახის საახალწლოდ მილოცვის ღროს გურული „აგუნას“  
მსგავს ლექსს გაიგონებდით:

ანგურამ ჩამეიირა ილითა და მილითა,  
ორშიმით და ხრივითა,  
ჩეენი მაშულ ჩაიარა, წიეი მეიტეხა,  
ისხა, ისხა, ისხა . . .  
გამოლმა ყურძერი, გალმა ფურცელი . . .

უკვე გასული საუკუნის ავტორებმა, რომელთაც აგუნას რიტუალის აღწერა  
დაგვიტოვეს, გამოთქვეს ვარაუდი, რომ აგუნა მელვინეობის ღვთაებაა, რომელ-  
საც საახალწლოდ ვენახის სიუხვეს შესთხოვენ. მათვე შენიშვნეს საგულისისხმი  
დამთხვევა აგუნას ლექსში მოხსენიებული გურიის სოფლების — ბახვისა და ას-  
კნის სახელებსა და ძველი ბერძნული ღვინის ღმერტის ბახუსისა და მისი შთა-  
მომავლის ენეასის ვაჟის ასკანის სახელებს შორის.

პროფ. ვ. ბარდაველიძის გამოკვლევით აგუნას კულტს თავისი ფესვებით  
წარმართული სარწმუნოების შორეულ ხანაში მივყავართ. მევენახე ხალხმა თა-  
ვის რელიგიურ პანთეონში იმთავითვე ვაზისა და ღვინის მფარველ ღვთაებასაც  
მიუჩინა ადგილი.

უძველესი რელიგიური აზროვნების ნაყოფია მევენახეობასთან დაკავშირე-  
ბული, მაგიურ-მისინური ქმედებების შემცველი სხვა წეს-ჩვეულებებიც, რომლე-  
ბიც ბოლო ღრომდე ჩართული იყო ხალხურ ღლეობათა კალენდარში.



ლითო-იმერეთის სხვა მხარეებშიც ახალი წლიდან იბედებდნენ ყურძნისა და ღვინის უხვ მოსავალს.

საგულისხმოა, რომ საახალწლო რიტუალის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი, მზის ემბლემის გამომსახველი „სამკელოვაბრი გერგვი“, ერთმანეთზე შეგრეხილი ვაზის ჩქებისაგან კეთდებოდა.

ახალი წლის დილას გვერგვითა და ზედაშეთი სავსე ღოქით „კერის მოლცვას“ მოსდევდა „ვენახის მოლოცვა“. „ვენახის ბარაქას“, „ლერწის გამრავლებასა და გახარებას“ შესთხოვდა მეკვლე მამულის ანგელოზს.

ამავე დღეს იცოდნენ „ჭურისთავის შემოლოცვაც“.

ვენახსა და ჭურ-მარანს ახალი წლის შემდეგაც არა ერთხელ მიუღლოცავდნენ ღვინითა და ყურძნის მტევნის გამომხატველი პურით — „მტევანათი“. ჭურ-მარნის მილოცვის რიტუალი სიტყვიერ ფორმულებთან ერთად შეიცავდა მაგიურ ქმედებებს ღვინის სიწმინდისა და ჭურების სიმრთელის უზრუნველსაყოფად.

ხალხის რწმენით, ვენახი „ავი თვალისაგან“, მავნე სულებისაგან დაცვას საჭიროებდა. დიდ ხუთშაბათს — „კუდიანების დღეს“ — ვენახში ასკილისა და მწარე ბლის ტოტებისაგან გაკეთებულ ჯვარს დაასობდნენ. ჯვართან ერთად ავი სულებისაგან განმწმენდავ ძალად ცეცხლსაც მიიჩნევდნენ. შებინდებისას ვენახის თავში გაჩალებული კოცონით, ან ვენახში მუგუზლების სროლით აფრთხობდნენ კუდიანებს.

მავნე სულებისაგან ვენახის დასაცავად იცოდენ აგრეთვე „ვენახის დარკინგა“, ვაზის ძირში რკინის — წალღის თუ სასხლოვის ნატეხის ჩაფლვა...

ვენახის ყოველი მნიშვნელოვანი სამუშაოს წინ გარკეცული „წესი“ სრულდებოდა, ყურძნის დაკრეფას კი მოსალევდა „რთვლის ჩალოცვა“. ვენახში მსუქან ბაგშვს გააგორებდნენ, ხან კი ვაზზე თამამ მტევანს შეაკულეტდნენ, ამით მომავლისთვის ვენახის „ულევ ბარაქას“ იბედებდნენ.

ხალხს ღვინო „წმინდა“ სასმელად წარმოდგინა. ამიტომაც იყო ჩართული სხვადასხვა სარწმუნოებრივ წესებში ღვინის ხელის განახვის, ღვინის მოსხურებისა და ღვინის შესხმის რიტუალები. საგულისხმოა, რომ ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას: შეილის დაბადებას, ქორწილსა თუ დასულავებას, სხვადასხვა დღეობა-დღესასწაულებს — აუცილებლად ღვინის სმა აგვირგვინებდა.

ღვინო — წმინდა სასმელი — სხვადასხვა წმინდანებისა და ღვთაებების — სოფლისა თუ საგვარეულო, სათემო თუ სახევო მფარველი „პატრინების“ შესაწირავიც იყო. შესაწირავ ღვინოს — ზედაშეს საგანგებო ქვევრებში ინახავდნენ.

საზღდაშე ქვევრები ზოგჯერ მარნებში ჰქონდნენ, ხშირად ცალკეც იყო დამარხული, ხისა თუ ქვიტერის ნაგებობაში.

ასე, შავალითად, კახეთში საზედაშე ქვევრებს ნახავდით ეზოში, ვენახში, ეკლესიის გალვანში. ზედაშეს სალოცავის მნიშვნელობა ერიშებოდა. ავადმყოფის გამოვანსაღებასა თუ შევილიერებას ზედაშეს შესთხოვდნენ. შეთქმული საჭავი ზედაშეზე იკვლებოდა.

გარკეცული წესის შესრულების შემდეგ ოჯახის წევრები ზედაშეს მარანში შესვამდნენ, ხშირად სალოცავში დღესასწაულზე ხარჯავდნენ იმ წმინდანის დღეობაზე, რომლის სახელზეც იყო შეწირული. საგვარო თუ სათემო ზედაშე საერთო ქვევრ-ჭურში ინახებოდა. დანიშნულ დღეს მევვარეები ერთად შეიყრებოდნენ, თან სახოვავეს მიიტანდნენ. ზედაშიან ქვევრის თავზე საკლავს დაკლავდნენ, დაილოცებოდნენ, ქვევრიდან ღვინოს ამოიღებდნენ, ამის შემდეგ საერთო პურობა იმართებოდა...

აღსანიშნავია, რომ ხალხს მარანიც „წმინდა“ ნაგებობად წარმოედგინა. მას ფაქტზად იცავდნენ მავნე სულებისა და ავი თვალისაგან. ზოგი რიტუალი მარა-



ში სრულდებოდა, აქ იკვლოდა შესაწირავი ცხოველი, ქორწილსა და ნათლობა+  
საც ხშირად მარანშივე იხდიდნენ.

დროთა ვითარებაში საფუძველი შეერყა უძველეს მაგიურული ტექნიკის  
ჩამონა-წარმოდგენებს. ღვინო კარგავს პირვანდელ საკულტო კულტურული მდგრადი გაუქმებულია ზედაშეები, თანდათან დავიწყებას ეძლევა მევენახეობა-მეღვინე-  
ობასთან დაკავშირებული მამაპაპური წეს-ჩვეულებები.





## ამავსებ ლგინით, აგავსებ ლხინით

დღეისათვის ქართულ სუფრაზე თანამედროვე მინის სალვინე ჭურჭელი ვა-  
ბარინებულა. იშვიათად თუ გამოჩნდება მათ შორის მამაპაპური საწდე-სასმისი.

ტრადიციული სალვინე სუფრას ჭურჭელი მუზეუმების კუთვნილება გამხდარა...  
საქართველოს მუზეუმების საგამოფენო დარბაზებსა და საცავებში სათ-  
ვალავი არა აქვს ხის, თიხის, რქის, ოქროსა და ვერცხლის ძეველებურ საწდე-  
სასმისებს. ზოგი მათგანი მეფე-დიდებულთა ნადიმების მონაწილეა, ზოგი კი  
გლეხებაცის სუფრას ამშვენებდა. ცოტა როდია განათხარი სალვინე ჭურჭელიც,  
ათაწლეულები რომ დაუყვით მიწის წიაღმი...

საქართველოში ძეველთაგან სუფრაზე ღვინის მისატანად უმთავრესად თი-  
ხის ჭურჭელი იხმარებოდა. ზოგი მათგანი ქართულ სუფრას დღემდე შემორჩე-  
ნია, მთელ საქართველოშია გავრცელებული თიხის ღოქი — მოხდენილი ჭურ-



ჰელი მოლერებული ყელითა და აშვერილი ტუჩ-ნისკარ-ტით. საღვინე დოქი, ჩვეულებრივ, წითელია — მოცუქიძებული ვი. ხშირად ყელსა თუ მუცელზე სადა ან ფაქტობრივ რგოლები შემოუყვება, ყურსა და ტანზე კი ღილისებური კოპლებითა ჩაჭიდვისებული. იმერულ დოქებში, „შუროს-უმტროსობით“ ერთურთისაგან რომ გამოირჩევიან, ყველაზე მოზრდილი „ხარა-დოქია“.

დოქს აღმოსავლეთ საქართველოში „საღვინეც“ ჰქვია. ეს ჭურჭელი ამავე სახელით მოიხსენიება ძველ ქართულ მატიანეებსა თუ მხატვრული მწერლობის ძეგლებში.

გათხრების შედევრად მიწის წიაღში უქვე ხუთი-ოთხი ათასი წლის წინანდელი ტუჩნისკარტისა დოქებია ნაპოვნი. ზოგი მათგანი უთულ „სამაჭრეა“. ჭურჭლის ნისკარტის წინ დატანებული თავისებური საწურავი, როგორც ჩანს, ჭაჭა-წიპრების დასავავებლად იყო განკუთვნილი.

სამუზეუმო კოლექციებში დოქებს მხარს უმშვენებს ქართლ-კახური გოზაური — ტანმაღალი, მუცელასხლე-ტილი; მაღალი, ვიწრო ყელითა და მორკალული, კამარისებური ყურით. ზოგი მათგანის მაღალ ყელზე ქართულ კაბში გამოწყობილი ქალია გამოსახული. გოზაური, ჩვეულებრივ, მოჭიქულია, ქაშანური. თვალს ეამება მოლივლივე ჭურჭელი, სხვადასხვა სახეებით — „ალოებით“, „გრეხილით“, „წინწკლებით“ უხვად მოხატულ-დაჭრელებული.

ს. ოჩბელიანის „ქართული ლექსიკონის“ თანახმად, „გოზაური — დიდი საღვინეა“.

მას დავით გურამიშვილიც მოიხსენიებს „დავითიანში“:

გოზაურით ლეინო,  
გულით სილიინო  
დაუღვა წინა...

ქართლ-კახეთში ბოლო დრომდე ლხინში სუფრაზე გოზაურებთან და დოქებთან ერთად დვინოს ხელადებითა და ჩარექებით ჩამოამწერიებდნენ. ორივე ჭურჭელი დაბალი, ძაბრისებური ყელითა და ფართო, გადაშლილი პირით გამო-

ირჩევა. ჩარექა ხელადაზე სავრძნობლად უფრო პატარაა, ერთ ლიტრ ღვინოს იტევს მხოლოდ. ხელადა-ჩარექას, ამ შეღარებით წვრილ ჭურჭელს, „გასურებული სმის“ დროს ხსირად სასმისადაც იყენებდნენ.

ქართულ მატიანებში იხსენიება ძვირფასი ლითონის საღვინე ჭურჭელი — „სამშდეონი“ „ტურფანი“ და „პატიოსანი“. მხატვრული მწერლობის ძეგლების თანახმად შეფელიდებულთა ნადგმობის განუყრელ მონაწილედ სურა წარმოგვიდგება:

ნადგმად მსხდომთა სალინოდ საქმე გაესინჯოთ სურისა...

### ანდა

ღვინომ თქვა: მგონი ამ საქმეს არავინ დამიუზება,

ვერცხლის თაშედა ყირშიზად გარდმოვსდიოდე სურებას...

ოქრო-ვერცხლის სურა ხშირადაა დასახელებული ძველი მზითვის წიგნებსა და ქრების ნუსხებშიც.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციებში არა ერთ მაღალყელიან ვერცხლის სურა ნახავთ: მათი უმრავლესობა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა თბილისელ ოქრომჭედელთა ნახელავია.

ერთი ნიმუში უფრო საპატიო ხნიერებისაა. ეს შეღარებით მოზრდილი სურა, როგორც წარწერა მოწმობს, მეფე გიორგი მესამის (თბილის მამის) ნაცონია.

მუზეუმის კოლექციებში მრავლადაა ამოტვიფრული ორნამენტებით, სხვადასხვა სცენებით შემკული ვერცხლის დოქებიც. ვერცხლის, ისევე როგორც ოქროს დოქები შეძლებულთა ოჯახებში ზოგჯერ სარწყულად, ზოგჯერ კი საღვინე-საწდედაც მოიხმარებოდა.





აქევნებოდა მარტინის განათხაზე ვერცხლის ჭურჭელს, რომელიც ქართლის უძველესი დადაქალაქის, მცხეთის სამარხებშია აღმოჩენილი. ეს კვერცხისებური დაბალყელიანი, ცალყურა „ხელადები“ ოდესლაც ძველი იბერიის მეფე-დიდებულთა, პიტიაქშთა სანადიმო სუფრას ამშვენებდა, ამავე სამარხებში ნაპოვნ საუცხოო ვერცხლის თასებთან ერთად.

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის ნაქონია ერთი თავი-სებური საწდე. ეს არის მოზრდილი ვერცხლის ჭამი (ბადია), ფეხიანი და ორყურიანი. წარწერა გვამცნობს, რომ ეს ჭამი მთავარს ერთგული აზნაურისათვის უბოძებია: „მე, დავით დადიანმა გითავაზე შენ, ჩემ ერთგულ აზნაურს, ერმა-

ლოზ გელოვანს, ეს ჯამი სახსოვრად, მრავალნი რბიან ასპარეზზედა და ერთმან  
მიიღოს ნიჭი“.

ამგვარი საღვინე ვერცხლის ჯამი მეორამეტე საუკუნის გულებულის მიერთ  
ლულს გულდეშტერედტს რაჭაში ერთ წვეულებაზე უნახავს: „მაგიდის შუაში იდ-  
გა ღვინით სავე ვერცხლის დიდი საწდე. ყველას წინ ედგა ვერცხლის ბრტყე-  
ლი თასი, რომელსაც თითოეული აესებდა საწდეში ჩაშვებული ვერცხლისავე  
დიდი კოვზით...“

საქართველოს მიწა-წყალზე ჭერ კიდევ ხუთი თასი წლის წინანდელი ნა-  
ირი თიხის სასმისია ნაპოვნი. თიხის სა-  
სმისი უკანასკნელ ხანებამდე შემორჩია  
ქართულ სუფრას, მეტადრე გლეხეა-  
ცურს. ქართლ-კახეთში „ძალიან მიღე-  
ბული იყო“ მოჭიქული თიხის ჯამებით  
სმა:


დაიცა, მივალ გრილოში,  
ჯამი დარიგდეს თიხისა...

„სალალობო“, ხმანი სასმისია თი-  
ხის მაღალყელიან ჭინჭილა, მის ვიწ-  
რო ყელში გადმოსული ღვინო რაკრა-  
კებს, „კრუალობს“. მას საქართველოს  
სხვადასხვა კუთხეში შეხვდებით. ჭინ-  
ჭილა მეტადრე ლიხთ-იმერეთშია მოწო-  
ნებაში.

იმერეთში, მოხდენილი ჭინჭილია  
გარდა, ხმარებაშია სამცეხა ანუ სამლი-  
ტრიანი. სამ ჭინჭილას, ერთმანეთთან და-  
კავშირებულს, ზემოდან მეოთხე ჭინჭ-  
ილა ადგას.

კიდევ უფრო რთული შედეგენილობისაა მარანი — უძველესი სარიტუალო  
ჭართული სასმისი. მარნის ზედა ნაწილში ათამდე ჭინჭილაა შემომწყრივებული.  
ურთ-ერთი ჭინჭილა ღვინის ჩასასხმელია, სასმისის წინ მოთავსებული ყოჩის ან  
ტრიმის თავი კი მარნის პირია, დასალევია. მთელ საქართველოში გავრცელებული  
ეს სასმისი, როგორც გისი სახელიც მოწმობს, მარანს განასახიერებს. იმერულ  
მარნის ნიმუშებზე ხშირად ჭინჭილა-ჭურებთან ერთად საწნახელი და ვაზის ტა-  
ლავერიც არის გამოყეანილი.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მარანს უმთავრესად ქორწილში



ხმარობდნენ. გარკვეულია, რომ „მარანი თავისი ორნამენტურით და სხვადასხვა სახეებით ნაყოფიერების სიმბოლოს გამომზარეული იყო. იგი ქართული წარმოშობის თული ქორწილის კომპლექსში შედიოდა და ქორწილის წესების შემთხვევაში შემთხვევაში შეიძლება“ (ვად. გ. ჩიტაია).

დასაცლეთ საქართველოში ხის სასმისებიც იყო ხმარებაში: გლეხებაცის სუფრაზე ჩამოარიგებდნენ რსტატურად გათლილი, ჩარხზე მოხარატებული, ლამაზად მოჩუქურთმებული სასმისების მთელ წყებას: მაღალფეხიან კათხებს, სალაღობო ორთვალიან ან სამოვალიან კვატუშებს, პატარა ფარფალებს, ხელიან კვანჩხებს, გრძელტარიან პირფართ ქვიშინებს, ოთხუთხვან კოთხობებს, ყელ-წვერილ ჭინჭილებს... მათ შორის მთავარი მაინც კათხა იყო. კათხები ნაირი სიღიღისაა, პაწია ხამანწყიდან მოყოლებული ვეება სარიოშომდე, რომელიც ეჭვს ლიტრამდე ღვინოს იტევს.

ღვინის სმას პატარა კეთხებით იწყებდნენ. რომ შეხურდებოდნენ, თანდა-თან დიღრონ კათხებსაც მოაყოლებდნენ. სულ ბოლოს სარიოშოთ დაილო-ცებოდნენ. მოზრდილი სარიოში არცთუ იშვიათად საღვინე-საწდის დანიშნულებასაც ასრულებდა სუფრაზე.

ქართულ სუფრაზე ღლესაც ხშირად ნახავთ ტრადიციულ სასმისს — გარე-ული თხის, აჩჩენის, ჭიხვისა თუ ქორნის და ხარის რქის ყანწებს. მეტაც მოხდე-ნილია ზარისა და ჭიხვის რქის მოზრდილი ყანწები, ვერცხლით მოჭედილია, ზარნიშითა და სევალითაა შემკული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და-ცული ვეელი ყანწები, ყელსა და წვერში ვერცხლისავე ძეწვევით გადაბმული. ეს მოხდენილი სასმისები ხომ, ჩეცულებრივ, სასტუმრო დარბაზების კედლებს აქვენებდა.

მეოცენიერე-მეცხრამეტე საუკუნეების თბილისელ ოქროშედელთა ნახე-ლავია ვერცხლის თასები და ფიალები. თასებზე, ჩეცულებრივ, სხვადასხვა სა-ხეებია ამოტვიფრული. თვალს იზიდავს სევალითა და მინანქრით შემკული პა-ტარა ფიალები.

უცხოელი მოგზაურები, რომელიც საქართველოში მეფე-დიდებულთა ნა-დიმებს დაწრებიან, ღვინის სასმისთაგან უმეტესწილად ოქრო-ვერცხლის თა-



სებს მოიხსენიებენ. ქართული მწერლობის ძეგლებშიც, ნადიმების აღწერისას, ჩვეულებრივ, სურასთან ერთად თასია დასახელებული.

მარვალი ძეგლთაძეველი თასია ნაპონი არქეოლოგიური გათხრების შედეგი გად. ოქრომჭედლობის საუცხოო ნიმუშებს წარმოადგენს განათხავის ადგინდებით ხანისა, მცხეთის სამარხებიდან, და აგრეთვე სამი ათას ხუთასი წლის წინანდელი, ძეირფასი თვლებით მოჭედილი და სხვადასხვა გმილსახულებებით შემკული ოქროსა და კურცხლის ორი თასი, რომელიც თრიალეთის ყორდანშია აღმოჩენილი.

ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ქართულ სუფრაზე ხშირად ნახევდით სალალობო სასმისს — კულას. კულა — ნმის გამომცემი, რაკრაკა სასმისია, განიერი მუცელი და ვიწრო, გრძელი ყელი აქვს.

ოდენი, ოდნის ოდენა,  
თავი აქვს გოგრის ოდენა,  
ხმაცა აქვს შერტხლის ოდენა.

ნათქვამია ხალცურ გამოცანაში.  
ხალცური ლექსებიც ხშირად იხსენიებს ამ სასმისს:

მარნეული ღვინო შისკამის,  
კულით მირაჟრავებია...

ა6

კაბურო ღვინო, წითელო,  
ყოლმოჭედილო კულაო...

ძეგლთაგან გლეხობა ხისა და ყელიანი გოგრის კულას  
ხმარობდა, თავადაზნაურობა კი ოქრო-ვერცხლით მოჭე-  
დილს.

ძეგლი მზითვის წიგნებში და ქონების ნუსხებში იქ-  
როვერცხლით მოჭედილ კულებთან ერთად ზოგჯერ  
„ოქროს კულაც“ მოიხსენიება.

მეტადმეტე საუკუნის გამოჩენილ ფრანგ მწერალს,  
ა. დიუმას საქართველოში ყოფნის ძროს ქართველებთან  
ნადიმებზე ღვინო ამ სასმისილანაც უგემნია. მწერალი კუ-  
ლის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „მათ გამოიგონეს  
სასმისი, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ უღვინოდაც  
ათრობს. ეს არის ერთგვარი ამფორა, რომელსაც კულას  
ეძახიან. კულა წარმოადგენს განიერმუცლიან და გრძელ-  
ყელიან ზოთლს, რომელიც ერთბაშად მოიცავს ცხვირსა  
და პირს, ისე, რომ სმის ძროს არ იყარება არც ერთი



შვერი ლვინო და აჩც იოტისოდენა მისი ოხშივარი. ამის გამო, საწმე ლვინო  
კუჭში ჩაეიდოდეს, ძალა თავში ურტყამს“...


ვერცხლის ყარყარაც ხმიანი, რაკრაკა სასმისია, დაგრეხილი, გვერდის მოქალაქე  
ცეული მაღალი ყელით. მუზეუმში დაცულ რელ ყარყარებზე უხვადა ამის გამო  
გიფრული სხვადასხვა სახეები და სცენები, უმეტესწილად კი საქორწინო ნადი-  
მების სურათია გამოსახული. ყარყარის სხვნება ძველ ქართულ წერილობით  
ძეგლებსა თუ ისტორიულ საბუთებში არსად ჩანს. საგულისხმოა, რომ ხალხური  
გაღმოცემა მის გაჩენას ერეკლე მეფის სახელს უკავშირებს. ერთხელ, ნადიმო-  
შის დროს მეფისათვის მოუსხენებიათ: — „კარს მტერი მოგვადგაო, ქვეყანა  
საურთხეშიაო“. ამ ამბის გაგონებაზე განრისხებულ მეფეს მის წინ სუფრაზე  
მდგარი სურისათვის ყელი მოუგრეხია — „ასე მოვუგრეხ მტერს კისერსო“. სუ-  
რას ამის შემდეგ მოგრეხილი ყელი შერჩენა.

დაბოლოს, კიდევ ერთი ტრადიციული სასმისიც მოვიხსენით. გასულ სა-  
უკუნეში თავად-აზალურთა თუ შეძლებულ მოქალაქეთა სუფრაზე, ჩვეულებ-  
რივ, ვერცხლის გრძელტარიანი აზარფეშაც ტრალებდა. გასული საუკუნის  
გერმანელი მეცნიერის პეტცოლდტის სიტყვით, აზარფეშა, „ნახევარი ლიტ-  
რის ჩამტევი კოვზისებური სასმისი“, საქართველოში ჩშირად დამბაჩის ვერ-  
დით ქამარში გარკობილი უტარებიათ.

ოქრო-ვერცხლის სხვა სასმისების მსგავსად ჩვეულებრივ აზარფეშებზეც  
წარწერილია მოკლე „სალხინო“ ლექსები. სასმისის გრძელ ტარზე ამოკი-  
თხავთ: „აზარფეშა ვარ სირმისა, მოწადინე ვარ ლხინისა“, ანდა, „აზარფეშა ვარ  
ლხინისა“.

აზარფეშა დამშეენა ნიკოლოზ ბარათაშვილის პატარა ლექსმაც:

ამავსებ ლვინით,  
აგავსებ ლხინით,  
შესვეო?  
გამოს!



## შ ი ნ ა პ რ ს ი

სადაც „ვენახის ჭეშმარიტი სამშობლო“ ეგულებათ . . . . .	5
ათისწლეულების სიღრმეში . . . . .	11
და იქო ქართლს შინა პური და ღვინო ფრიადი . . . . .	15
არა მხოლოდ სახარებლად გულისა . . . . .	18
პალესტინაში, საბერძნეთში, საქართველოში . . . . .	20
ჭამა-სმანი მათნი ფერნი . . . . .	24
ვაზი მაინც ხარობდა . . . . .	26
თუ გადავფურცლავთ „ქართლის ცხოვრებას“ . . . . .	28
არს ესე ქვეყანა ვენახოვანი . . . . .	31
სტუმართმოყვარე ქვეყანაში . . . . .	34
ასგვარი და ასფერი . . . . .	41
ნეტავ სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო? . . . . .	53
ვაზო, შვილივით ნაშარდო! . . . . .	62
ჩემი ხორგო და მარიანი . . . . .	74
და შეიქნა ხშირი რთველი . . . . .	96
იაგუნდის მარანშია ღვინო ღვება ლალისფრისა . . . . .	103
აგუნა, აგუნა, გადმოიარე! . . . . .	114
ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით . . . . .	119

289/1356



Лекишвили Андрей Семенович  
В СТРАНЕ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ

(На грузинском языке)

Художник В. Орбеладзе

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули», Тбилиси, 1972

რედაქტორი ვ. ძიმიგური  
გამომცემლობის რედაქტორი  
ნ. ქართველიშვილი  
მხატვარი. რედაქტორი  
შ. დოლიძე  
ტექნიკაქტორი  
ნ. შვერიძე  
კონტრალორ-კორექტორი  
მ. კალანდარიშვილი  
კორექტორი  
ი. უშვილიძე

ნეღომწერილია დასაბეჭდად 22/IV-71 წ.  
ქაღალდის ზომა 60×841/16<sup>o</sup> ნაბეჭდი  
თაბახი 9,36, საალიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 8,5, ტირაჟი 20.000, უკ 00284,  
ფასი 75 კაპ., შეკვ. № 6421

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი,  
ვაჩანიშვილის ქ. № 5

Изд. «Накадули», Тбилиси, ул. Мар-  
джанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კო-  
მიტეტის მთავარმოღარუშებელობის  
სტამბა № 2, „ნაკადული“, თბილისი,  
ფურცელის ქ. 5

Типография № 2, «Накадули», Главпо-  
лиграфпрома Государственного Ко-  
митета Совета Министров Грузин-  
ской ССР по печати, Тбилиси, Пур-  
целадзе 5

-65982





Ազգային գրադարան

ՀՀ մշակույթի նախարարության